

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „მასწავლებელთა განათლება“

სალომე კილასონია

ქართულ ენაში სწავლების სტრატეგიების გამოყენების პრაქტიკის  
კვლევა ზმნის სწავლების მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია მასწავლებლის განათლების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი  
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში საუბარია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე მრავალფეროვანი სწავლების სტრატეგიების გამოყენებით ზმნის სწავლების მნიშვნელობაზე. თანამედროვე სკოლაში გრამატიკის სწავლებას მთელი რიგი ხარვეზები აქვს და ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული სწავლების თანამედროვე მიდგომებზე გრამატიკის შესწავლისას. თანამედროვე მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ფაქტობრივად არ არსებობს ზმნის კატეგორიის სწავლების ერთიანი მოდელი.

თემის **აქტუალობას** განსაზღვრავს ქართულ ენაში ზმნის კატეგორიის აქტიური სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ არსებული სამეცნიერო და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების სიმწირე.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გავაანალიზეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები და აქამდე არსებული კვლევები, რამაც ცხადყო რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის დონეზე გრამატიკის სწავლება თანამედროვე სტრატეგიების გამოყენებით ზმნის მაგალითზე არ არის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული, ასევე ქართულ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში არ იძებნება კონკრეტულად ზმნის კატეგორიის სწავლების მოდელი. აქედან გამომდინარე წინამდებარე კვლევა ორიგინალურია და წარმოადგენს **სიახლეს**.

სამაგისტრო ნაშრომის **კვლევის მიზანია** ქართულ ენაში სწავლების სტრატეგიების გამოყენების პრაქტიკის კვლევა ზმნის სწავლების მაგალითზე, ზმნის სწავლების თანამედროვე მიდგომარეობის კვლევა, დაადგინოს რომელ სწავლების სტრატეგიებს იყენებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, იყენებენ თუ არა თანამედროვე სტრატეგიებს გრამატიკის, კერძოდ ზმნის სწავლებისას. ასევე კვლევის მიზანია არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების მოძიება სამუალო სკოლაში. პრობლემების ანალიზის საფუძველზე მეთოდოლოგიური გზამკვლევის შემუშავება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენ დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- ✓ სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, საკანონმდებლო ბაზა;
- ✓ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;

- ✓ კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ✓ ემპირიული კვლევის ჩატარება;

კვლევის საგანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ზმნის გრამატიკული კატეგორიის სწავლება.

კვლევის ობიექტია ზოგასაგანმანათლებლო სკოლაში ზმნის გრამატიკული კატეგორიის სწავლების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, დოკუმენტაციის ანალიზი (სამაგიდე კვლევა) და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ დაწყებითი და საბაზო საფეხურების მასწავლებლებთან.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსთვის რესპონდენტებად მიზნობრივად შევარჩიეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მემორანდუმგაფორმებული კერძო და საჯარო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურის 35 მასწავლებელი.

**Salome Kilasonia**

**Study on the use of teaching strategies in Georgian language on the study  
of verbs**

**Annotation**

The master's thesis concerns the practice of teaching in the primary school and the basic level. The work is intended to find out how to teach the names on the primary and basic level, which methods and strategies are employed by teachers. That's why the topic in the Master's paper is relevant, since scientific and methodical manuals on the methods of active teaching in the Georgian language are scarce.

The elaborated literature has shown that in the Georgian language the practice of the name of the general education school does not have an existing research work on the primary and primary level. Therefore, this research conducted on the abovementioned subject is original and represents the novelty.

The Masters theme aims at researching the practice of the teaching of the general school at primary and basic level, for the following tasks:

- Desktop research: existing research, legislative base;
- Determination of research methodology;
- Development of research tool;
- Data analysis

The subject of research is the name of teaching at the primary and primary level of secondary school, and the object - the process of teaching the names at primary and primary level of primary school.

In the master's thesis we used the qualitative research method, namely semi-structured interviews, developed as a research tool for questioning orientation questions. 35 teachers in primary and primary school in Tbilisi private and public school were selected as the respondents.

## სარჩევი

შესავალი.....	6
I თავი	
საკითხის განსაზღვრისათვის .....	8
§1.1. გრამატიკის სწავლების გზები, მეთოდები და ხერხები .....	8
§1.2. ზმნის სწავლება .....	10
II თავი	
ქართული ენის სწავლების იტორიისათვის .....	54
III თავი.....	58
ქართული ენის სწავლების სამართლებრივი ასპექტები .....	58
IV თავი	
ზმნის სწავლების მეთოდური ტენდენციები გრიფირებული სახელმძღვანელოების მაგალითზე .....	62
V თავი	
ზმნის სწავლების თანამედროვე მიდგომები, მეთოდური გზამკვლელების ანალიზი.....	70
VI თავი	
მცირე მეთოდიკური გზამკვლევი .....	78
კვლევითი ნაწილი .....	83
დასკვნები: .....	89
რეკომენდაციები: .....	91
გამოყენებული ლიტერატურა: .....	93

## შესავალი

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტში აღნიშნულია, რომ: „*ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები წარმოადგენს არა შემთხვევით ნაკრებს, არამედ ერთ მთლიან სისტემას. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა. სწავლების ძირითადი პრინციპია საგნის (ენისა და ლიტერატურის) შინაარსობრივი ერთიანობა.*“

ქართული ენის გრამტიკიდან ზმნა არის მეტყველების ნაწილებს შორის ურთულესი თავისი უამრავი კატეგორიით. წლების განმავლობაში სკოლებში გრამატიკა, ფაქტობრივად, არ ისწავლებოდა და ამან კიდევ უფრო გაამწვავა აღნიშნული პრობლემა. დღესდღეობით, ფაქტობრივად, აღარ იქმნება მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები.

სამაგისტრო ნაშრომში საუბარია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე მრავალფეროვანი სწავლების სტრატეგიების გამოყენებით ზმნის სწავლების მნიშვნელობაზე. თანამედროვე სკოლაში გრამატიკის სწავლებას მთელი რიგი ხარვეზები აქვს და ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული სწავლების თანამედროვე მიდგომებზე გრამატიკის შესწავლისას. თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურაში ფაქტობრივად არ არსებობს ზმნის კატეგორიის სწავლების ერთიანი მოდელი.

თემის **აქტუალობას** განსაზღვრავს ქართულ ენაში ზმნის კატეგორიის აქტიური სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ არსებული სამეცნიერო და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების სიმწირე.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გავაანალიზეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები და შევიმუშავეთ ინდიკატორები, რომლის საფუძველზეც დავამუშავეთ დაწყებითი და საბაზო საფეხურის

გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები, ჩვენი ინტერესის საგანი ამ შემთხვევაში გახლდათ, უშუალოდ ზმნა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის დონეზე გრამატიკის სწავლება თანამედროვე სტრატეგიების გამოყენებით ზმნის მაგალითზე არ არის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული, ასევე ქართულ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში არ იძებნება კონკრეტულად ზმნის კატეგორიის სწავლების აქედან გამომდინარე წინამდებარე კვლევა ორიგინალურია და წარმოადგენს **სიახლეს**.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **მიზანია** ქართულ ენაში სწავლების სტრატეგიების გამოყენების პრაქტიკის კვლევა ზმნის სწავლების მაგალითზე, ზმნის სწავლების თანამედროვე მდგომარეობის კვლევა, დაადგინოს რომელ სწავლების სტრატეგიებს იყენებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, იყენებენ თუ არა თანამედროვე სტრატეგიებს გრამატიკის, კერძოდ ზმნის სწავლებისას. ასევე კვლევის მიზანია არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების მოძიება საშუალო სკოლაში. პრობლემების ანალიზის საფუძველზე მეთოდიკური გზამკვლევის შემუშავება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენ დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- ✓ სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, საკანონმდებლო ბაზა;
- ✓ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ✓ კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ✓ ემპირიული კვლევის ჩატარება;

კვლევის **საგანია** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ზმნის გრამატიკული კატეგორიის სწავლება.

კვლევის **ობიექტი** ზოგასაგანმანათლებლო სკოლაში ზმნის გრამატიკული კატეგორიის სწავლების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, დოკუმენტაციის ანალიზი (სამაგიდე კვლევა) და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების მასწავლებლებთან.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსთვის რესპონდენტებად მიზნობრივად შევარჩიეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მემორანდუმგაფორმებული კერძო და საჯარო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურის 35 მასწავლებელი.

## I თავი

### საკითხის განსაზღვრისათვის

#### §1.1. გრამატიკის სწავლების გზები, მეთოდები და ხერხები

##### ა) გზები

გრამატიკული მასალის შესასწავლად გამოიყენება ორი გზა: ინდუქცია და დედუქცია. გრამატიკული სწავლების ორი გზა საკმაოდ ცნობილია პრაქტიკაში. სწავლების გზა ინდუქციურია, როცა ახალი მასალის სწავლება მიემართება კერძო, კონკრეტული ფაქტების ანალიზიდან ზოგადისაკენ, წესისაკენ. ხოლო თუ სწავლება საპირისპირო მიმართულებას იღებს. ე.ი. ჯერ სათანადო გრამატიკული წესი ისწავლება და შემდეგ ხდება კონკრეტული მაგალითების ანალიზი, მაშინ სწავლების გზა დედუქციურია. სინამდვილეში სწავლების ეს ორივე გზა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ავსებს ერთმანეთს, მათი ასეთი გამოცალკევება რამდენადმე პირობითია. გრამატიკის ელემენტარული კურსის სწავლებისას უპირატესობა ენიჭება ინდუქციას, რამდენადაც იგი უკეთ მიესადაგება, როგორც შესწავლილი მასალის ხასიათს, ისე მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას (თალაკვაძე, მ. 1959).

##### ბ) მეთოდები

ტრადიციულად გრამატიკის სწავლებაში ორ მეთოდს - საუბარსა და თხრობას - გამოყოფენ. თხრობის მეთოდი უძველესია. მას ჯერ კიდევ მაშინ იყენებდნენ სწავლების პროცესში, როცა სახელმძღვანელო არ არსებობდა და მოსწავლეს ყველაფერი მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი გადმოცემით უნდა ესწავლა. ერთგვარი არაა სწავლებაში ამ მეთოდის გამოყენება სხვადასხვა საგნის მიმართ. მის გამოყენებას უპირატესობას აძლევენ ლიტერატურის, ისტორიის სწავლებისას. მას მრავალი პლუსი აქვს: 1) ასახსნელი მასალა მოსწავლეებს გადაეცემათ მთლიანობაში, დალაგებული გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით; 2) მასწავლებლის გაბმული მეტყველება დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეზე; 3) შედარებით ეკონომიურია დროის თვალსაზრისით. აქვს უარყოფითი მხარეც - ამ დროს მოსწავლე უშუალოდ არ მონაწილეობს ახალი მასალის ახსნის პროცესში და მხოლოდ პასიური მსმენელია. მისი ყურადღება იფანტება, ვერ ახდენს მის კონცენტრირებას, დუნდება და ხშირად ითიშება კიდევ გაკვეთილის პროცესიდან, სწორედ ამიტომ გრამატიკის სწავლებისას იგი



შედარებით ნაკლებად გამოიყენება „განსაკუთრებით კი – ადრეულ ეტაპზე. თუმცა არის ზოგიერთი საკითხი, რომელთა ახსნა მხოლოდ თხრობის მეთოდით არის შესაძლებელი (ანბანის რიგი, ასოთა სახელწოდებები...). თხრობის მეთოდს იყენებს, აგრეთვე მასწავლებელი შემაჯამებელი საუბრისას – დასკვნების გაკეთებისას. რომელი მეთოდითაც არ უნდა ვაწვდიდეთ გრამატიკულ მასალას, გრამატიკული წესებისა და განსაზღვრებათა ფორმულირება მაინც თხრობის მეთოდით ხდება. ამგვარად, ის ყოველთვის გამოიყენება გაკვეთილზე ცალკე თუ სხვა მეთოდთან ერთად. მასწავლებლის სიტყვა, მისი თხრობა გრამატიკული განსაზღვრებების მიწოდების საუკეთესო საშუალებაა.

გრამატიკის ელემენტარული კურსის სწავლებისას უფრო ეფექტურია საუბრის მეთოდის გამოყენება. თხრობის მეთოდის მსგავსად იგი უძველესია. განასხვავებენ მის ორ სახეს: ევრისტიკულსა და კატეხიზურს. პირველი უფრო ახალი მასალის ახსნისას გამოიყენება, მეორე კი - ახსნილის ცოდნის განსამტკიცებლად.

**ევრისტიკული მეთოდი** (შდრ. ბერძნული: ევრიკა – აღმოჩენა) გულისხმობს მასწავლებლის მიერ წინასწარ გონივრულად შერჩეული კითხვების გამოყენებით მოსწავლის თანდათანობით მიყვანას ახალი მასალის გაცნობიერებამდე. ყოველი კითხვით მოსწავლეებს ვაყენებთ ახალ-ახალი, ადვილად მისახვედრი ამოცანის წინ და ასე სიძნელეთა ნაწილ-ნაწილ დაძლევის გზით მიგვყავს ისინი მათთვის უცნობი ინფორმაციის „აღმოჩენამდე“. ევრისტიკული მეთოდი ძალზე აქტიურად გამოიყენება ბოლო წლებში, როდესაც დღის წესრიგში დადგა ე.წ. „ინტერაქტიული“ სწავლება, ანუ ისეთი სწავლება, როდესაც მასწავლებელთან ერთად მოსწავლეა გაკვეთილის წამყვანი. ამ მეთოდის გამოყენებამ უზრუნველყო მოსწავლის აქტიური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, იგი პასიური მსმენელიდან მასწავლებლის პარტნიორად გადაიქცა. ევრისტიკული მეთოდი ძალზე ეფექტურია გრამატიკის სწავლებისას, მაგრამ იგი მასწავლებლისაგან დიდ პედაგოგიურ დახელოვნებასა და თეორიულ განათლებას მოითხოვს. მთავარ სირთულეს აქ ქმნის კითხვების გონივრულად შერჩევა. ევრისტიკულ მეთოდს ახლავს სხვა სირთულეებიც, კერძოდ, დიდ დროს მოითხოვს, არ ხერხდება მასალის მთლიანობაში მიწოდება; ახსნა ზოგჯერ მოკლებულია საჭირო სიზუსტეს და ა.შ. მიუხედავად ამისა, ეფექტურობის თვალსაზრისით მას სხვა მეთოდი

ვერ შეედრება. ევრისტკული მეთოდით შეძენილი ცოდნა, როგორც კვლევის, ძიებისა და მსჯელობის შედეგი, უფრო დამაჯერებელი და მტკიცეა. მისი გამოყენება აჩვევს მოსწავლეებს დამოუკიდებელ მსჯელობას, საკუთარი აზრის დასაბუთებას, უმუშავებს ენობრივი მასალის ანალიზის უნარს. იგი იწვევს მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალების მაქსიმალურ ამოქმედებას. რაც შეეხება **კატეხიზურ მეთოდს**, იგი გულისხმობს წინასწარ მოცემულ კითხვებზე პასუხების დაზეპირებას. ამგვარი კითხვები, როგორცწესი, ყოველი შესასწავლი პარაგრაფის ბოლოს არის მოცემული და იგი ძირითადად გამოიყენება განმეორებისა და ცოდნის განმტკიცებისათვის.<sup>1</sup>

### გ) ხერხები

ხერხებად, ჩვეულებრივ, მიიჩნევა გაკვეთილის ამა თუ იმ მომენტშია ხალი მასალის ასახსნელად გამოყენებული საშუალება. გრამატიკის სწავლების ხერხებად მიიჩნევენ: გრამატიკულ გარჩევას, ენაზე დაკვირვებას, შედარება-შეპირისპირებას, კითხვების ხერხს, ჩასმის (ჩანაცვლების) ხერხს...

გრამატიკის სწავლების ეს ხერხები თან ახლავს როგორც თხრობის, ისე საუბრის მეთოდს. სწავლებაში ამ ხერხების გამოყენების მნიშვნელობა მეტად დიდია. ისინი აადვილებენ, უფრო ნათელსა და გასაგებს ხდიან მოსწავლეთათვის შესასწავლ კატეგორიას და ხელს უწყობენ მათი აზროვნებისადა მეტყველების განვითარებას (მაღლაკელიძე, ნ. 2013).

## §1.2. ზმნის სწავლება

საზოგადოდ ცნობილია, რომ ზმნა არის ქართული გრამატიკის ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ნაწილი, გამომდინარე მისი მრავალფეროვანი კატეგორიებიდან. ამის დასტურად მარტო ის ფაქტიც კმარა, რომ ქართულ ზმნას შეუძლია ერთდროულად თოთხმეტი კატეგორია გააჩნდეს. გარდა ამისა, ქართულ ზმნას ახასიათებს ბევრი ის ნიშან-თვისება, რომლის ანალოგიის დაძებნა სხვა ჯგუფის ენებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ვერ ხდება პარალელის გავლება. ეს მომენტები, ბუნებრივია, ქმნის მთელ რიგ მეთოდოლოგიურ პრობლემებს სწავლების პროცესში.

---

<sup>1</sup> მაღლაკელიძე, ნ. ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია/დიდაქტიკა I-VI კლასები, თბ., 2013

სამაგისტროს წერისას ჩვენი მიზანი გახლდათ ზმნის კატეგორიის მეთოდოლოგიური კუთხით შესწავლა. გვინდოდა დაგვეშემავებინა ისტორიულად თუ ამჟამად არსებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, რომლებიც მოიცავდა ზმნის კატეგორიის სწავლების მეთოდოლოგიურ დამუშავებას. შევეცადეთ სისტემაში მოგვექცია ზმნის ყველა კატეგორია. აღმოჩნდა, რომ 1959 და 1975 წელს გამოცემული მარიამ თალაკვაძის „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია“ იყო ერთადერთი სისტემური მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია მეთოდოლოგიურად დამუშავებული ყველა მეტყველების ნაწილი და ზმნა თავისი ყველა კატეგორიით. რაც შეეხება თანამედროვე ლიტერატურას, 2013 წელს გამოიცა ნათელა მაღლაკელიძის „ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია/დიდაქტიკა“, რომელიც ეყრდნობა ზემოთ ხსენებულ სახელმძღვანელოს.

ჩვენ შევეცადეთ, მარიამ თალაკვაძის წიგნიდან შემცირებული და მცირედ გადამუშავებული სახით წარმოგვედგინა მეთოდოლოგიურად დამუშავებული ზმნის კატეგორიები. ჩვენი ნაშრომი ეყრდნობა მარიამ თალაკვაძის მეთოდოლოგიურ ხედვებს, რადგანაც მარიამ თალაკვაძის სახელმძღვანელო გახლავთ ერთადერთი ქრესტომათიული ტიპის სამეცნიერო დონის სისტემური ნაშრომი.

### **ქართული ზმნის თავისებურებები**

როგორც აღვნიშნეთ, ქართული ზმნა ის კატეგორიაა, რომელიც ხასიათდება უამრავი თავისებურებით და ვფიქრობთ, რომ ეს თავისებურებები დიდწილად განსაზღვრავს ზმნის სწავლების სირთულესაც.

**გარდამავლობა.** გარდამავლობა არ არის მხოლოდ ქართული ენისათვის დამახასიათებელი, ის სხვა ენებსაც ახასიათებთ, მაგრამ ქართული ზმნა გარდამავლობის მიხედვით არსებითად განსხვავდება სხვა ენებისაგან. ქართული ზმნის გარდამავლობისათვის დამახასიათებელია ზმნასთან შეწყობილ პირთა, კერძოდ, პირდაპირი ობიექტის ბრუნვაცვალებადობა სერიების მიხედვით. ქართული გარდამავლი ზმნის თავისებურება აჩენს ეგრედწოდებულ ერგატიულ კონსტრუქციას, ანუ მოთხრობითბრუნვიან კონსტრუქციას. ბრუნების ეს თავისებურება გამოწვეულია უღვივლების თავისებურებებით- კერძოდ, გარდამავალი ზმნის თავისებურებებით.

**ქცევა.** ქცევა ქართველური ენების თავისებურებაა და სხვა ენებში „ეს კატეგორია აღნიშნული არ არის“ ა.შანიძე ქართული გრამატიკის საფუძვლები 1953.

**კონტაქტი.** კონტაქტი ანუ ე.წ კაუზატივი ინდოევროპულ ენებთან შედარებით ქართული ზმნის თავისებურების ახალ მომენტს ქმნის, თავისებურებას ქმნის აგრეთვე თურმეობითის ფორმები, ინვერსია და სხვა, მაგრამ განსაკუთრებით ზმნის პირიანობა.

**პირიანობა.** პირიანობის თვალსაზრისით გახლავთ ქართული ზმნა ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური კატეგორია. ეს ორიგინალურობა მის პოლიპერსონალიზმში (მრავალპირიანობაში) ვლინდება. ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანიც. შესაბამისად ერთპირიან ზმნაში ერთი პირის ნიშანი გაჩნდება (**ვ-ლაპარაკობ**), ორპირიანში ორი (**მ-ხვდებ-ა**).

სამპირიანი ზმნები მხოლოდ ზმნასთან შეწყობილ პირთა რაოდენობით განსხვავდებიან. ზმნაში პირთა ნიშნების მიხედვით მათ შორის განსხვავება არაა. ზმნაში რეალურად მხოლოდ ორი პირი, სუბიექტი და ობიექტი, აისახება. მეორე, ობიექტი ჩვეულებრივ პოტენციალურად იქნება წარმოდგენილი.

თავისებურია ქართული ზმნა რიცხვის წარმოების თვალსაზრისითაც , ზმნის პირველ და მეორე პირის ფორმებში ცალკე ფორმანტი გამოიყოფა. ეს ფორმანტია **თ**, რომელიც ზმნას ბოლოში დაერთვის (**ვკრავთ-თ, დავრბივარ-თ**) მესამე პირის ფორმებში პირისა და რიცხვის ნიშანი ერთადაა წარმოდგენილი: **ან, ნენ, ენ, ნ, ეს (გუნდაობ-ენ, ხუმრობ-ენ, გშალ-ეს).**

### **ზმნის კატეგორიათა თანმიმდევრობა**

ძალიან მნიშვნელოვანი საინტერესო მეთოდოლოგიური მითითება აქვს ავტორს ზმნის კატეგორიათა სწავლების თანამიმდევრობასთან დაკავშირებით.

ზმნის კატეგორიათა თანმიმდევრობა ზმნის სწავლებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური საკითხია. ზმნის სწავლებისას კატეგორიათა შემდეგი თანმიმდევრობაა დაცული: **პირი, რიცხვი, ზმნისწინი, ასპექტი, დრო, კილო, მწკრივები (სერიები და მწკრივები), ფუძე და თემა, თემის ნიშნები, გარდამავლობა, გვარი, ქცევა, კონტაქტი, უღლების ჯგუფები, მონაცვლე ზმნები.**

ასეთი თანმიმდევრობით სწავლება გამართლებულია იმით რომ პირი და რიცხვი ზმნის ძირითადი კატეგორიებია და მათი შესწავლის გარეშე ზმნის სხვა კატეგორიებში ორიენტირება შეუძლებელია.

შემდეგი ადგილი ზმნისწინს აქვს დათმობილი, ზმნისწინი დასასწავლად რთული საკითხი არ გახლავთ. განსაკუთრებით მისი მთავარი ფუნქციის (მიმართულების) გამოხატვის თვალსაზრისით. ზმნისწინის ცოდნას ეფუძნება შემდგომში ასპექტის სწავლება, ზმნისწინიან ფორმათა უმრავლესობა დასრულებულ ასპექტს გამოხატავს, უზმნისწინო კი დაუსრულებელს. მაგალითად: ხატავს, დახატა, დახატავს, ყიდის, გაყიდა, გაყიდის და სხვ.

შემდეგი კატეგორია სწავლებისას გახლავთ დროის კატეგორია. ზმნისწინისა და ასპექტის შეემდეგ დროზე უნდა გადავიდეთ იმიტომ, რომ მომავალი დრო ახლანდელისაგან ძირითადად ზმნისწინით ე.ი ასპექტით განსხვავდება. დროსვე უკავშირდება კილოც, რომლის გაგება დროის კატეგორიის გარეშე გაჭირდება.

შემდეგი კატეგორია თანრიგში გახლავთ მწკრივები. მწკრივი ერთ-ერთი ყველაზე რთული ფორმაა. მიუხედავად ამისა მას მე-6 ადგილი უჭირავს, ეს გამოწვეულია შემდეგით: სერიებისა და მწკრივების სწავლებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების ათვისებისათვის, როგორცაა: თემა, თემის ნიშნები, ფუძე და ძირი, აგრეთვე გარდამავლობა, რომელთა ცოდნის გარეშე გაჭირდება გვარის, ქცევისა და სხვა მომდევნო კატეგორიების შეგნებულად სწავლა. სერიებსა და მწკრივებს მოჰყვება თემა და ძირი, შემდეგ გარდამავლობა, ხოლო გარდამავლობას მოსდევს გვარი. გარდამავლობა საფუძველია გვარის შეგნებულად შესწავლისათვის: ყოველი გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა, გარდაუვალ- ვნებითი ან საშუალო.

ქცევა და გზა (კონტაქტი) გვართან შედარებით მარტივი კატეგორიებია. მიუხედავად ამისა ორივე ეს კატეგორია გვარის შემდეგ უნდა გავიცნოთ, რადგანაც ქცევისა და გზის საფუძვლიანი სწავლება მხოლოდ გვარის შემდეგ შეიძლება. „სათავისო ქცევა მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზნებს აქვთ.“

გვარის შემდეგ ქცევის სწავლება აუცილებელია გვარების მიხედვით ქცევათა დაჯგუფებისათვის. მოქმედებითი გვარის ზმნებს სამივე ტიპის ქცევა მოეპოვებათ, ვნებითისას და საშუალოს ორ-ორი.

ამ კატეგორიათა შესწავლით ჩვენ ვამზადებთ ნიადაგს უღლების შესასწავლად, ყველა ეს კატეგორია( პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი და სხვ.) თავს იყრის უღლებაში.

მოქმედების აღნიშვნა ზმნის ძირითადი ფუნქციაა, ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოში მხოლოდ ეს ფუნქციაა დასახელებული და არაფერია ნათქვამი მდგომარეობის შესახებ, ეს იმით აიხსნება, რომ მდგომარეობის აღნიშვნა არაა ზმნის ძირითადი ფუნქცია. მდგომარეობა არ უპირისპირდება მოქმედებას. მაგალითად, როდესაც ვამბობთ ნახატი დახატულია. აქ დახატულია მიგვითითებს არ მხოლოდ მდგომარეობაზე, არამედ მოქმედების შესრულებაზეც მაშასადამე, ზმნის ფორმაში მოქმედება დაკავშირებულია მდგომარეობასთანაც. ამის გამოა, რომ სახელმძღვანელოში ზმნის რაობის განმარტება მხოლოდ მოქმედებითაა განსაზღვრული.

მაგრამ რამდენადაც მოსწავლეებმა დაწყებითი საფეხურიდან იციან, რომ ზმნა მოქმედებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვებია და თან ქართულში მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები მრავლადაა, ცხადია, ზმნის განსაზღვრაში ისიც უნდა შევიდეს.

ზმნის რაობის შესწავლას უნდა დაუკავშირდეს მისი ფუნქცია მეტყველებაში. მისი როლი წინააღმდეგობაში. ზმნის სინტაქსური ფუნქცია მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ ზმნის ყველა ფუნქციის განსაზღვრა დაწყებით საფეხურზე ვერ მოხერხდება, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ შემდეგ საფეხურზე სინტაქსის შესწავლასთან დაკავშირებით. ამ საფეხურზე მხოლოდ ძირითად ფუნქციაზე - შემასმენლის როლის შესრულებაზე- გამახვილდება ყურადღება. ზმნის ამ ფუნქციის შესახებ მოსწავლეებს წარმოდგენა დაწყებით საფეხურზე ეძლევათ.

### **პირი და რიცხვი**

ზმნის პირიანობის შესწავლის ძირითადი დანიშნულებაა, მოსწავლეებისათვის გასაგები გახადოს ქართული ენის თავისებურება პირიანობის მიხედვით და შეასწავლოს მათ პირიანობის მიხედვით ზმნების გარჩევა.

ქართულში პირიანობის სწავლებისას პირველი მეთოდოლოგიური საკითხია - რა თანმიმდევრობით გავაცნოთ ზმნის პირიანობა, რა გავაცნოთ პირველად: რომელი პირია, რამდენი პირია, თუ რა და რა პირია?.

დიდაქტიკური პრინციპების მიხედვით საწავლება მარტივიდან რთულისკენ უნდა მიდიოდეს, მაშინ პირიანობის სწავლებას ასეთი თანმიმდევრობა ექნება: პირველი ადგილი უნდა დაეთმოს რომელი პირია, რამდენი პირია და როგორია. ამისათვის საჭიროა მოსწავლეებს გავამეორებინოთ პირის ნაცვალსახელები.

### **სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში**

სუბიექტური პირის გაცნობისას ჯერ მოქმედი პირი უნდა გავიცნოთ, შემდეგ ის, რომელსაც მოქმედება მიეწერება ან რომელიც განიცდის მოქმედებას.

სუბიექტური პირისა და მისი ნიშნების გაცნობა უნდა მოხდეს ერთპირიანი ზმნით. ასეთ ზმნაში მოქმედი პირის რაობა და მისი ნიშნები უფრო გამოკვეთილია და ადვილად მისაწვდომი მოსწავლისათვის.

ამის შემდეგ გავაცნობთ სუბიექტური პირის ნიშნებს. ამისათვის საჭიროა, მოსწავლეთათვის გასაგები გავხადოთ, რომ ზმნა ნაცვალსახელის გარეშეც მიგვითითებს ამა თუ იმ პირზე, რომ ნაცვალსახელის ხმარება ამა თუ იმ პირის ფორმასთან ყოველთვის არ არის საჭირო.

**ვნატრობ მე და ვნატრობ:** ორივე პირველ პირზე მიუთითებს, მიუხედავად იმისა ნაცვალსახელს დავამატებთ თუ არა. ამგვარადვე : **ნატრობ შენ და ნატრობ; ნატრობს ის და ნატრობს.** პირის ნიშნების გასაცნობას ზმნა ჩამოიწერება სვეტში პირის ნიშნების გამოყოფით:**ვ-ნატრობ ნატრობ ნატრობ-ს.**

ზმნის საერთო ნაწილოს ფუძის გამოყოფით გაირკვევა რომ ამა თუ იმ პირის ფორმის აღსანიშნავად ზმნას დაერთვის ნიშნები: პირველ პირში **ვ**, მეორე პირში **ხ** (მხოლოდ ორ ზმნაში, **ხ-არ** და **მო-ხ-ვალ**) **0** , ხოლო მესამეში **ს**. სუბიექტური პირის ნიშნები პირველი და მეორე პირის ზმნას თავში დაერთვის, მესამე პირისას ბოლოში, ე.ი. პირველი და მეორე პირის ფორმები თავსართებია ხოლო მესამისა ბოლოსართი.

გაირკვევა, რომ თანამედროვე ქართულში არ გვაქვს მეორე სუბიექტური პირის ნიშანი და ის შემორჩენილია მხოლოდ ორ ზმნაში: **ხ-არ** და **მო-ხ-ვალ** (**მო-ხ-ვედი**).

რიცხვის გამოხატვა ზმნაში საზოგადოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის კატეგორიასთან: მხოლოდ პირი შეიძლება იყოს ამა თუ იმ რიცხვის მქონე . ამიტომაც, რომ მრავლობითი რიცხვის, პირის ნიშნებისა და საერთოდ პირიანობის საკითხის

ერთმანეთისაგან დაშორება ვერ ხერხდება. ზმნის პირიან ფორმებს ორი რიცხვი აქვთ: მხოლობითი და მრავლობითი.

ნაცნობიდან უცნობისაკენ გადასვლის მოთხოვნისდა მიხედვით პირველად უნდა მივცეთ ვისეთი ზმნები, რომელსაც მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად მოუდის **ენ** ან **ან** შემდეგ კი სხვები **ნ, ნენ, ეს**.

მხოლობითისა და მრავლობითი რიცხვის ზმნათა შინაარსისა და ფორმის მიხედვით შეპირისპირებითა და გაანალიზებით გაირკვევა ის თავისებურებანი, რაც მესამე პირის მრავლობითის ფორმების წარმოებისას ახასიათებს ქართულ ზმნას.

მრავლობით რიცხვში სუბიექტური პირის ნიშანთა შესწავლის შემდეგ ზემოთ მოყვანილი სქემა შეივსება და საბოლოოდ ასეთ სახეს მიიღებს:

**სუბიექტური პირის ნიშნები:**

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1.ვ.....	1.ვ.....თ
2.0,ხ.....	2.0,ხ.....თ
3.....ს, ა, ო.	3.....ენ,ან,ნენ,ნ,ეს

ობიექტური პირის ნიშნები სამივე პირში თავსართებია. ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ამათ პირველსა და მეორე პირში ერთნაირი ნიშნები აქვთ, განსხვავებაა მესამე პირში. პირველი ობიექტური პირის ნიშანია მხოლობითში **მ-**, მრავლობითში **გვ-**: **მ-ხატავს, მ-ხედავს, მ-აქვს...** **გვ-ხატავს, გვ-ხედავს, გვ-აქვს...** მეორე ობიექტურ პირს მხოლობითში **გ-** თავსართი აქვს, მრავლობითში ამ **გ-**ს ემატება **-თ** ბოლოსართი: **გ-ხატავს, გ-ხედავს, გ-აქვს...** **გ-ხატავ-თ, გ-ხედავ-თ, გ-აქვ-თ.**

მესამე ობიექტურ პირს, თუ ის პირდაპირია, ნიშანი არ უნდა, ხოლო თუ ირიბია და ზმნა თანხმოვნით იწყება, ორივე რიცხვში ექნება **ჰ-** ან **ს-** თავსართი; **ს-** გვაქვს ცხრა თანხმოვნის წინ (ესენია: **დ, თ, ტ, ძ, წ, ც, ჯ, ჩ, ჭ**): მისწერა (მას), სთხოვს (მას)... დანარჩენი თანხმოვნების წინ ჩვეულებრივ **ჰ** გამოიყენება: **ჰკითხა (მას), ჰგავს (მას).**



ზმნა შეიძლება იყოს წარმოდგენილი სუბიექტური წყობით (როდესაც ჩანს სუბიექტური პირის ნიშნები) ან ობიექტური წყობით (როდესაც ჩანს ობიექტური პირის ნიშნები); შეიძლება ზმნის გადაყვანა სუბიექტური წყობიდან ობიექტურზე და პირიქით: **ვხატავ - მხატავს, ვწერ - მწერს, ვეუბნები - მეუბნება.**

პირი	პირდაპირი	ობიექტი	ირიბი	ობიექტი
	<i>მხოლოდითი რიცხვი</i>	<i>მრავლობითი რიცხვი</i>	<i>მხოლოდითი რიცხვი</i>	<i>მრავლობითი რიცხვი</i>
I	მ—	გვ—	მ—	გვ—
II	გ—	გ—თ	გ—	გ—თ
III	—	—	ჰ-,ს-,0—	ჰ-,ს-,0—(თ)

### სუბიექტური პირის ნიშნების ორმაგი გამოხატვა

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არის ზმნები, რომელებიც პირის აღსანიშნავად იშველიებენ დამხმარე მეშველ ზმნას, მეშველ ზმნებად გამოიყენება **ვარ, ვიყავ, ვიყო.**

აქ უნდა განვასხვავოთ ორი შემთხვევა; პირველი, როდესაც მეშველი ზმნა მხოლოდ პირველ და მეორე პირში დაერთვის და მისი დართვის გამო პირველ და მეორე პირში ზმნას სუბიექტური პირის ორმაგი წამროება ახასიათებს **ვ-დგა-ვარ, ვ-ზი-ვარ** და მეორე, როდესაც მეშველი ზმნა ყველა პირში დაერთვის.

სწავლებისას პირველად უნდა მიეცეს ისეთი მეშველზმნიანი ფორმები, რომელთა ძირითადი ზმნა პირის ნიშნიანია: მაგალითად **ვზივარ ვდგავარ** და სხვ. ამ ზმნებში სუბიექტური პირის ნიშნების გაცნობისას მესამე პირის ფორმების პირველი და მეორე პირის ფორმებთან შეპირისპირებით გაირკვევა, რომ მესამე პირში ამ ზმნას ჩვეულებრივ **ს** მოუდის პირის ნიშნად, მეორე და პირველ პირში ძირითად ზმნას **ვდგა დგა** დართული აქვს მეშველი ზმნა **ვარ ხარ**, რის გამოც მიღებულია რთული აგებულების ზმნები **ვდგავარ დგახარ** ამ ფრომათა გაანალიზებით ნათელი გახდება, რომ მათ პირველსა და მეორე პირში ორ-ორი სუბიექტური პირის ნიშანი აქვთ. ერთი მათგანი აწარმოებს ძირითად ზმნას **ვდგა** მეორე კი მეშველ ზმნას **ვარ ხარ**, ამიტომ ამ ტიპის

ზმნებში პირის ორმაგ წარმოებასთან გვაქვს საქმე. მესამე პირში ეს ზმნები აღარ დაირთვენ მეშველ ზმნას.

### **პირთა რაოდენობა ერთ ფორმაში**

ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანიც. ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტური პირია, ორპირიან ზმნაში ერთი სუბიექტური პირია მეორე კი ობიექტური (პირდაპირი ან ირიბი). სამპირიან ზმნაში ერთი პირი სუბიექტურია ორი ობიექტური ამათგან ერთი პირდაპირია მეორე კი ირიბი.

ზმნაში წარმოდგენილ პირთა რაოდენობის გასარკვევად ერთმანეთს უნდა შეუპირისპირდეს ერთი, ორი და სამპირიანი ზმნები. მაგალითად: ნამცხვარი ცხვება, დედა ნამცხვარს აცხობს, დედა ნამცხვარს უცხობს შვილებს. სათანადოდ შერჩეულ ნიმუშებზე დაკვირვების შემდეგ უნდა გავაცნოთ პირიანობის გამორკვევის ხერხი-ნაცვალსახელის შეწყობა. იყენებენ ცხრა ნაცვალსახელს: **მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი, იმან, მას, მათ.**

### **ზმნაში წარმოდგენილ პირთა გარჩევა**

ზმნაში წარმოდგენილ პირთა გარჩევა უნდა მოხდეს ორპირიანი გარდამავალი ზმნის ნიმუშზე. ასეთ ზმნაში კარგად ჩანს რომ სუბიექტური პირის მოქმედება უშუალოდ ეხება ობიექტურ პირს. შემდეგ სამპირიანი ზმნის ნიმუშებზე მოსწავლეთათვის გასაგები გახდება, რომ ზმნაში ერთი პირი სუბიექტურია მეორე სამოქმედო, რომელსაც უშუალოდ ეხება სუბიექტის მოქმედება, ხოლო მესამე უშუალო მოქმედების საგანი კი არ არის, არამედ მოქმედება ხდება მისთვის ე.ი. სუბიექტის უშუალო მოქმედების საგანი განეკუთვნება მას.

მხოლოდ ამათ შემდეგ გაეცნობა პირები ორპირიან გარდაუვალ ზმნებში. ასეთ ზმნებში სიბუქეტის ობიექტზე და ობიექტისთვის მოქმედება კი არ ჩანს, არამედ სუბიექტის ობიექტისადმი განკუთვნება მაგალითად: **ეწერება მას წერილი წერილი** სუბიექტია ის განეკუთვნება ობიექტს, ეს კი მოსწავლეებისათვის შედარებით რთული გასაგებია.

**მართლწერის საკითხები ზმნის პირიანობის სწავლებასთან დაკავშირებით**

სუბიექტური პირისა და მათი ნიშნების შესწავლასთან დაკავშირებით საჭიროა მართლწერის შემდეგ საკითხებზე გამახვილდეს ყურადღება:

**ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრა ზმნაში**

I სუბიექტურ პირში ორი ვ- იწერება, თუ ზმნის ფუძე ვ- თანხმოვნით იწყება: ვ- ვარდები(თ), ვ- ვარაუდ-ობ(თ). ვ- უნდა შენარჩუნდეს უ ხმოვნის წინ: ვურეკავ, ვ-უთხარი, ვ-უთვლი.

ბ. ორი მ- იწერება მაშინ, თუ ერთი ფუძისეულია, მეორე კი - I ობიექტური პირის ნიშანი: მ-მაღავს ის მე, მ-მართებს ის მე.

გ. გვ-თი დაწყებულ ზმნას მრავლობითი რიცხვის I ობიექტურ პირში ორი გვ მოუდის: მო-გვ-გვარა, და-გვ-გვიანებია, გვ-გვრის.

დ. თუ ზმნის ფუძე გ-თი იწყება, მხოლოდითი რიცხვის II ობიექტურ პირში ორი გ- იწერება: გ-გუდავს, გ-გლეჯს, გ-გონია, გ-გზავნის.

ე. თუ ზმნის ძირი ა ხმოვნით იწყება და ფორმა ნაწარმოებია ა თავსართით, გა/და ზმნისწინების დართვისას ფორმაში სამი ა მოიყრის თავს: გა-ა-ათმაგებს, გა-ა-ანალიზებს, გა-ა-ავებს.

ვ. თუ ზმნის ძირი ე ხმოვნით იწყება და ფორმა ნაწარმოებია ე თავსართით, ორი ე მოიყრის თავს, ხოლო თუ შე- ზმნისწინიც დაერთო, ფორმაში ზოგჯერ სამი ე მოიყრის თავს: შე-ე-ხება, გა-ე-ერთიანებინა, შე-ე-ერთებინა.

ზ. თუ ზმნის ძირი დ თანხმოვანზე მთავრდება, -დ სუფიქსის დართვისას ფორმაში ორი დ უნდა დაიწეროს: დაავად-დ-ება, გადიდ-დ-ება, გათავად-დ-ება, შედედ-დ-ა, ადიდ-დ-ა, დაბინდ-დ-ა.

ჰ- და ს- პრეფიქსებთან დაკავშირებული მართლწერის წესები: III ირიბობიექტური პირის ნიშანი ჰ- გვხვდება ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ თანხმოვნების წინ, ხოლო ს-გვხვდება -დ,თ,ტ,ძ,ც,წ,ჯ,ჩ,ჭ თანხმოვნებისწინ.

1) თუ ზმნას ერთი პირი შეეწყობა, ეს ერთი პირი სუბიექტია, ამიტომ ჰ- ან ს- ნიშანი ზმნაში ზედმეტია: ქრის (ის), წუხს (ის), ზრუნავს (ის), დუმს (და არა: ჰქრის, სწუხს, ჰქრის, ჰზრუნავს, სდუმს). შენიშვნა: ს- თავსართი უნდა დარჩეს იმ ზმნებში,

რომლებშიც ის ფუძესთანაა შეხორცებული: გასტანა (კრებამ დიდხანს), გასწია (მან სახლისაკენ), ასწია, მოსწია.

2) თუ ზმნა ორპირიანია, ერთი პირი სუბიექტია, მეორე - პირდაპირი ან ირიბი ობიექტი.

ა. პირდაპირი ობიექტი აწმყოსა და მყოფადში მიცემით ბრუნვაშია, წარსულში (წყვეტილში) - სახელობითში, ე.ი. ბრუნვაცვალებაა. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, პირდაპირობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა: თქვა (მან ის), დატოვა (მან ის), გადაწყვიტა (მან ის) და არა: სთქვა, დასტოვა, გადასწყვიტა და ა. შ.

დაიმახსოვრეთ: ს- თავსართი შეხორცებულია ფუძესთან შემდეგ ზმნებში: მისწია, მისწევს, ასწია, ასწევს, გამოსცა, გამოსცემს, გასცა, გასცემს.

ბ. ირიბი ობიექტი ყველა დროსა და მწკრივში მიცემით ბრუნვაშია, ბრუნვაუცვლელია. ირიბობიექტური პირის ნიშანი ზმნაში უნდა იყოს წარმოდგენილი: შეჰგებებია (ის მას), დაჰკარგვია (ის მას), მოჰპარგვია (ის მას), ჰგავს, ჰგონია, ჰყავს, ჰყოლია, სძულს, სცემს, სწამს, გასჩერებია.

შენიშვნა: სხვა თანხმოვნებისა (ღ, ხ, ზ, ს, ჟ, შ) და ხმოვნების წინ ირიბობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა: დალატობს, ნებავს, მართებს (ის მას) ცივა, ცხელა ზმნები ამინდს აღნიშნავს, მაგრამ თუ ადამიანს აქვს შეგრძნება სიცივისა ან სიცხისა, ზმნას სჭირდება პირის ნიშანი: მას სცივა, სცხელა. ამავე ნიშნით გაიმიჯნება ზმნათა შემდეგი წყვილები: 3) სამპირიან ზმნებს ყოველთვის უნდა ჰ- ან ს- პრეფიქსი, იმიტომ, რომ ერთი პირი ყოველთვის ირიბობიექტურია: დაჰპირდა ის მას მას, სწერს ის მას მას, სთხოვს ის მას მას, შესწირავ შენ მას მას, შესჩივლა მან მას ის.

ზოგჯერ III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ნენ ნიშნის ნაცვლად შეცდომით ხმარობენ -ენ დაბოლოებას: დაიმალენ, დაესწრენ. ეს შეცდომაა. უნდა იყოს: დაიმალნენ, ეწვივნენ, დაესწრნენ.

## ზმნისწინი

ქართულ ზმნისწინს მრავალფეროვანი ფუნქცია აქვს დაკისრებული: იგი გამოხატავს მოქმედების მიმართულებას, გვიჩვენებს დასრულებულ მოქმედებას, აწარმოებს აწმყოსგან მომავალსა და წარმოქმნის განსხვავებული მნიშვნელობის ან ზოგჯერ სრულიად ახალი შინაარსის ზმნას.

ზმნისწინის სწავლებისას მისი მრავალგვარი ფუნქციებიდან პირველად უნდა ვასწავლოთ მიმართულების აღნიშვნა, შემდეგ კი ზმნისწინი, როგორც ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნის საშუალება ან მისი მნიშვნელობის შემცვლელი. შემდეგ კი ამას დაემყაროს მისი სხვა ფუნქციები( ასპექტის დროისა და მწკრივის წარმოება).

ზმნისწინთა სწავლება ძირითადად შეპირისპირებას უნდა დაემყაროს, იქითა და აქეთა მიმართულების ზმნისწინები შეუპირისპირდება უზმნისწინოს; მაგალითად: ფრინავს-მოფრინავს, მიფრინავს; დადის-მიდის, მოდის და სხვ.

ზმნისწინიანი ფორმების უზმნისწინოსთან შედარება-შეპირისპირებითა და მათი შინაარსისა და ფორმის მიხედვით გაანალიზებით გაირკვევა მათ შორის სხვაობა: ფრინავს საერთოდ, გარკვეულ მიმართულებაზე მიუთითითებლად, მიფრინავს-იქით, მოფრინავს -აქეთ, სადაც მოუბარი პირია. განსხვავებულ მიმართულებას ამ ზმნებს აძლევს თავსართები მი და მო მი იქით ამიმართულებაზე მიუთითებს, მო აქეთაზე. მიეცემა დასკვნა: „ზმნის წინ დართულ ნაწილაკს, რომელიც მიმართულებას აღნიშნავს ზმნისწინი ეწოდება“. გაირკვევა ტერმინის ზმნისწინი შედგენილობაც. ზმნისწინი-ზმნის თავში დართული ნაწილაკი.

ზმნისწინთა ამ ძირითადი ფუნქციის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან ზმნისწინს, როგორც წარმოქმნის საშუალებას. ამ ფუნქციის გასაგებად მიეცემათ ზმნა და დაევალებათ დაურთონ სხვადასხვა ზმნისწინი, დააკვირდნენ რა ცვლილება განიცადა ზმნის შინაარსმა; მაგალითად წყვეტს ზმნაზე სხვადასხვა ზმნისწინის დართვას სხვადასხვა გაგება შეაქვს ზმნის შინაარსში: **წაჭრის, გაჭრის, დაჭრის, შეჭრის, ამოჭრის, გადაჭრის** და ა.შ.

ზმნისწინის ეს ფუნქცია ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად. ამ ფუნქციის შესწავლისთვის საჭიროა სხვადასხვა სავარჯიშოების ჩატარება:

1. სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნის ფორმებისგან, ზმნისწინთა გამოყოფა და გარკვევა რა ცვლილება განიცადა შინაარსმა ზმნისწინის ჩამოშორებით ან მისი შეცვლით;
2. ისეთ ზმნათა დასახელება, რომლებიც ზმნისწინის დართვით შინაარსს იცვლიან;
3. ტექსტიდან ზმნისწინების გამოყოფა და გარკვევა რა როლს ასრულებს ზმნისწინი.

ზმნისწინის ფუნქციათა და შედგენილობის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობთ, რომ:

1. ძველად ზმნისწინების შედგენილობა განსხვავებული იყო ( წა-წარ, გა-გან, ა-ად, ჩა-შთა, გადა-გარდა).
2. ძველი ზმნისწინების სახეცვლილება გამოწვეულია ფონეტიკური პროცესებით, ბგერის დაკარგვითა და ბგერათშეწყობით.
3. ძველი ზმნისწინები შენახულია ზოგიერთ სიტყვაში ( განვითარება, წარმოდგენა, აღდგენა, გარდატეხა).
4. ზოგიერთი ზმნისწინი განსხვავებულ მნიშვნელობას აძლევს სიტყვას; მაგალითად: წარსული დრო და წასული კაცი, აღდგომა რელიგიური დღესასწაული და აღდგომა საწოლიდან.
5. ეს ძველი ზმნისწინი უზმნისწინო ფორმას მთლიანად უნდა ჩამოშორდეს და უნდა იყოს: ზრდის, ავითარებს, კურნავს, და სხვა.

ზმნისწინთა სწავლებისას ყურადღება უნდა მიექცეს მართლწერის საკითხებს. სხვადასხვა დიალექტურ ფორმებზე დაკვირვებით და მათი სალიტერატურო ფორმებთან შედარების საფუძველზე მოსწავლეებისათვის გასაგები უნდა გახდეს, რომ დაუშვებელია ზმნისწინის ხმოვნის შეცვლა (მო-ი-წია და არა მე-ი-წია, მო-ი-ზომა და არა მე-ი-ზომა) გადატანისას დაუშვებელია ზმნისწინთან ფუძის თანხმოვნის დატოვება (გა-მოცხვა და არა გამ-ოცხვა).

## კილო

„კილო არის კატეგორია ზმნის სისტემაში, რომელიც გამოხატავს მოქმედების მოდალობას, ე.ი აღნიშნავს მოქმედების სინამდვილესთან მიმართებას, რომელიც მყარდება მოლაპარაკე პირის მიერ“.

განსაკუთრებულ სირთულეს მოსწვლეებისათვის კავშირებითი კილო წარმოადგენს. მას ხშირად ურევენ თხრობით კილოში. კილოს რაობის სწავლებამდის სხვადასხვა კილოს ზმნათა შინაარსობრივი გაანალიზებით უნდა გაირკვეს ცნებები: ფაქტია, შესაძლებელია, სავალდებულოა კილოს კატეგორიის შესწავლა თხრობითი კილოს შესწავლით უნდა დაიწყოს. თხრობითი კილოს შესწავლისას მთავარია გაირკვას, თუ როგორი ფორმები განეკუთვნებიან ამ კილოს. ეს გაიგება კითხვების საშუალებით: **რას შვრება? რას შვრებოდა? რა ქნა? რა უქნია? რა ექნა? რას იზამს?**.

თხრობითი კილოს სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომავლის ფორმებს. მოსწავლე ძნელად სწვდება მომავალში შესასრულებელ მოქმედებას როგორც ფაქტს. აქ საჭიროა მომავლის ფორმის შეპირისპირება მომავლის კავშირებითის ფორმასთან. თხრობითი კილოს სხვადასხვა ფორმის ზმნათა დროის მიხედვით გაანალიზებით მოსწავლეები გაიგებენ, რომ თხრობითი კილოს ზმნები ყველა დროის შეიძლება იყოს: ახლანდელისა: **აკეთებს, წერს**, წარსულისა: **წერდა, დაწერდა, დაუწერია**, მომავლისა: **დაწერს, გააკეთებს, იტყვის** და ა.შ.

თხრობითთან შეპირისპირებით გაირკვევა კავშირებითი: მისი კითხვები: **რას შვრებოდეს? რას იზამდეს? რა ქნას? რა ექნას?**.

კავშირებითი კილოს გასაგებად მოსწავლეს შესაძლებელია ასეთი რამ გავაცნოთ. თუ ზმნის ფორმა შეიწყობს ერთ-ერთ ამ სიტყვათაგანს: **ნეტავი, ოღონდაც, უნდა, რომ, შესაძლებელია, დაე...** მაშინ ის კავშირებითი კილოს ფორმაა.

დროის მიხედვით თხრობითი და კავშირებითი კილოს ზმნების დასახელება-გაანალიზებით ერთმანეთთან შედარებით მოსწავლეებისათვის ნათელი უნდა გავხადოთ ამ კილოთა შორის განსხვავება.

ბრძანებითი კილოს ძირითადი დამახასიათებელია მოუბრის სურვილის შესრულება. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს სურვილი შეიძლება გამოხატულ იქნას არა მარტო ბრძანების სახით, არამედ **თხოვნის, ხვეწნა-მუდარის, წაქეზებისა** და

**დატუქსვის** სახითაც. ამიტომ ბრძანებითი კილოს ფორმები შინაარსის მიხედვით მრავალგვარია.

ბრძანებითი კილოს შესწავლისას მოსწავლეთათვის გასაგები უნდა გახდეს, რომ ბრძანება ყოველთვის სუბიექტური პირისადმი მიმართული. მეორე და მესამე პირისადმი ბრძანება ყოველთვისაა შესაძლებელი; პირველი პირისადმი კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ეს პირველი პირი მრავლობით რიცხვშია. მაშასადამე ბრძანებითი კილოს ფორმას მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმა აკლია. მის გასაგებად მოსწავლეს ეძლევა ზმნა დავალებით- დასვას ის ბრძანებით კილოში და შეუწყოს ყველა პირს. მისთვის ცხადი გახდება, რომ პირველ პირს არ შეიძლება ებრძანოს, მაშინ, როცა სხვა პირებისადმი ბრძანება სირთულეს არ წარმოადგენს. ორგვარი ბრძანებითის გაცნობაც ტექსტის ანალიზის საფუძველზე მოხდება.

**„ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე,**

**ნუ მიზამ მაგას, დამითმე შვილი“**

ნუ იქ, ნუ მიზამ, დამითმე, ზმნების გარჩევით გაირკვევა, რომ ბრძანებითი ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი (აკრძალვითი). ტერმინები იწერება დაფაზე, რომ წართქმითი ბრძანებითის გამოსახატავად გამოიყენება უარყოფითი ნაწილაკები არ და ნუ.

ამ ნაწილაკთა ჩამოშორებით და ზმნის კილოს მიხედვით დახასიათებით ცხადი გახდება, რომ ნუ ნაწილკიანი აკრძალვითი ბრძანებითი იყენებს თხრობითი კილოს ფორმებს: ნუ დაწერ, ხოლო არ ნაწილაკიანი-კავშირებითისას არ დაწერო.

### **სერიები და მწკრივები**

მწკრივი ქართული ზმნის ურთულესი კატეგორიაა და შესაბამისად სწავლების თვალსაზრისითაც ის ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია. ამ სირთულეს იწვევს, როგორც მწკრივთა შედგენილობის მიხედვით განსხვავებულობა, ისე შემადგენელ ელემენტთა მრავალფეროვნება.

სირთულეს ქმნის ასევე მწკრივის მაწარმოებელი ნიშნების სხვადასხვაობა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი მწკრივი იწარმოება გარკვეული ნიშნებით და ზოგისთვის ასეთი ნიშნები დამახასიათებელი არაა.



სერიებისა და მწკრივების სწავლებისას უნდა გამოვიყენოთ ინდუქციური მეთოდი. ცალკეული მწკრივებიდან ნელ-ნელა უნდა გადავიდეთ წრეებსა და სერიებზე. მწკრივების შესწავლამდე მოსწავლეებისათვის გასაგები უნდა გავხადოთ თუ რას ნიშნავს ფორმათა წარმოება, როგორ მიიღება პირიანი ფორმების 11 ჯგუფი.

ტექსტიდან გამოიყოფა ერთნაირი ზმნები, ამოიწერება ცალკე ერთმანეთის ქვემოთ და ყოველი მათგანი დახასიათდება მასში შემავალი კატეგორიების მიხედვით: **პირის, რიცხვის, დროის, კილოს, ასპექტის.**დაეწერა: ორპირიანი, ს III პირი, მხ რ., დრო წარსული, კილო თხრ., ასპექტი სრული. დაწერდა, დაწერა, დაუწერია. გაირკვევა, რომ მოცემულ ზმნებში კატეგორიათა მიხედვით განსხვავება არ არის. შემდეგ მათ მნიშვნელობაზე მოხდება დაკვირვება და აღმოჩნდება, რომ მნიშვნელობის მიხედვით ეს ზმნები განსხვავდებიან, დაისმება კითხვა რა იწვევს მათ სხვადასხვაობას მნიშვნელობის მიხედვით, ამ ზმნათა ფორმის მიხედვით შედარება-შეპირისპირება ნათელს გახდის, რომ ეს ზმნები ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. განსხვავებული ფორმა განსხვავებულ მნიშვნელობას იძლევა. თითოეულ ასეთ განსხვავებულ ფორმას მწკრივი ეწოდება. ტერმინი იწერება დაფაზე, ქართულში ასეთი განსხვავებული ფორმა ანუ მწკრივი 11-ია: **წერს, წერდა, წერდეს, დაწერს, დაწერდა, დაწერდეს, დაწერა, დაწეროს, დაუწერია, დაეწერა, დაეწეროს.**

ჩამოწერილ ზნათა ურთიერთშედარებით გაირკვევა, რომ პირველ მწკრივში შემავალი ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით, ხოლო დანარჩენი კატეგორიები დრო, კილო, ასპექტი უცვლელია. აქ მიეცემა მწკრივის განსაზღვრება: მწკრივი არის ზმნის ფორმათა გარკვეული წყება, რომელთაც ყველა კატეგორია უცვლელი აქვთ განსხვავდებიან ერთმანეთისგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით.

### **მწკრივები და მათი წარმოება**

პირველი სერიის მწკრივებისა და სერიების შესწავლა აწმყოს წრის ცალკეული მწკრივით აწმყოს უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის სწავლებით უნდა დავიწყოთ. ამ მწკრივთა გასაცნობად საილუსტრაციოდ ისეთი ნიმუშები უნდა შევარჩიოთ,

რომლებიც უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებში ასევე ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებში ორივე მაწარმოებელს წარმოგვდგენენ **დი ოდი დე ოდე** .

თითოეული მწკრივი პირველ რიგში დახასიათდება დროისა და კილოს მიხედვით და დაესმის კითხვა მაგალითად აწმყოს აწმყოს მწკრივის სწავლებისას გაირკვევა რომ იგი დროის მიხედვით ახლანდელია, კილოს მიხედვით თხრობითი, მისი კითხვაა **რას შვრება?** ამ მწკრივს ეწოდება აწმყო. სახელი დროის მიხედვით აქვს მიღებული, აწმყო-ახლანდელი მას მაწარმოებელი არ აქვს, ამ მწკრივს განეკუთვნებიან ისეთი ზმნებიც, რომლებსაც დროის გაგება არ აქვთ, ან დროის გაგება ხან აქვთ ხან არა, **ბავშვი ზის და ჭამს- მიუტანე საჭმელი და ჭამს, ჩიტი დაფრინავს- ჩიტი ფრინავს საერთოდ.** დროის გაგება არ აქვს.

ამგვარად უწყვეტლის სწავლებისას მის შემადგენელ ელემენტთა დახასიათებასთან ერთად აუცილებელია გაირკვეს, რომ ამ მწკრივის ფორმები ისეთ მოქმედებაზე მიგვითითებენ, რომელიც წარსულში ხდებოდა, მაგრამ არ დასრულებულა, არ შეწყვეტილა. აქედანაა მისი სახელწოდებაც უწყვეტელი. ამგვარად, ამ მწკრივის დამახასიათებელია სამი ელემენტი: დრო კილო და მოქმედების დაუსრულებლობა, შეუწყვეტლობა.

უწყვეტლის აწმყოს ფორმასთან შეპირისპირება მოსწავლეებისათვის გასაგებს გახდის, რომ უწყვეტლის ფორმა იწარმოება აწმყოს მწკრივის ფორმისგან **დ-ი** ან **ოდ-ის** დართვით. პირველ და მეორე პირში უწყვეტლის მაწარმოებლებს **დი ოდ** დაერთვის. მესამე პირში კი სუბიექტური პირის ნიშნის **ა, ნენ** დართვის გამო დაკარგულია **ი** და გვაქვს: **ხატავდა ხატავდნენ იზრდებოდა იზრდებოდნენ.**

ასევე გაეცნობა აწმყოს კავშირებითიც იგი იწარმოება უწყვეტლის მწკრივისაგან და დაერთვის **ე** ან აწმყოსაგან და **დე ოდე** დაერთვის. **ე** მაწარმოებელი ყველა პირში უცვლელადაა წარმოდგენილი, ოღონდ მესამე პირის მხოლოდობით რიცხვში მას ემატება სუბიექტური პირის ნიშანი **ს დეს ოდეს**, ხოლო მრავლობითში **ნენ**, რის გამოც მრავლობითში იკარგება მწკრივის ნიშანი **ე**. ამიტომ მესამე პირის მრავლობით რიცხვში აწმყოს კავშირებითი ფორმის მიხედვით სრულად ემსგავსება უწყვეტელს. ამ მწკრივთა ერთმანეთისაგამ გარჩევა შესაძლებელია კონტექსტით: **მოსწავლეები დავალებას წერდნენ, მოსწავლეები დავალებას ყოველთვის უნდა წერდნენ.** ასევე ამ მწკრივთა

გარჩევა შესაზღვრებელია მხოლოდით ფორმაში გადაყვანით მაგალითად, **მოსწავლე დავალებას წერდა და მოსწავლე დავალებას უნდა წერდეს.** ცალკეულ მწკრივთა ამ სახით გაცნობის შემდეგ მოხდება მათი გაერთიანება და აწმყოს წრის გაცნობა.

მყოფადის წრის მწკრივთა გაცნობა აწმყოს წრის მწკრივებთან შედარება-შეპირისპირებით მოხდება. სასურველია საილუსტრაციოდ იგივე ნიმუშები შეირჩეს, ოღონდ ტაბულაში მწკრივთა მაწარმოებლებთან ერთად ზმნისწინებაც უნდა გამოიყოს.

ცალკეული მწკრივები დახასიათდება მათი შემადგენელი ელემენტების მიხედვით და განიმარტება მისი სახელწოდება. აღმოჩნდება რომ მყოფადი და მყოფადის კავშირებითი ორ-ორ ელემენტს შეიცავს - დროსა და კილოს და სახელიც ამის მიხედვით აქვთ დარქმეული. მყოფადს დროის მიხედვით კავშირებითს კილოს მიხედვით.

მყოფადის წრის შესწავლისას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ხოლმეობითის მწკრივს. ეს მწკრივი დროისა და კილოს გარდა მესამე ელემენტსაც შეიცავს ეს არის მრავალგზისობა. სახელიც ამ მრავალგზისობის მიხედვით აქვთ დარქმეული. მაგალითად **ვთამაშობდი ხოლმე ვკითხულობდი ხოლმე.** ხოლმეს დამატება საჭირო არ არის, რადგან თავად ამ მწკრივს აქვს ხოლმეს გაგება.

დასკვნა იქნება რომ საერთო ნიშნების მიხედვით ეს ორი წრე ერთიანდება ერთ დიდ ჯგუფში რომელსაც სერია ჰქვია ამ სერიას პირველი სერია ეწოდება. ამგვარად პირველ სერიაში არის ორი წრე აწმყოს წრე და მყოფადის წრე და ექვსი მწკრივი: **აწმყო უწყვეტელი აწმყოს კავშირებითი, მყოფადი ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი.**

### **მეორე სერიის მწკრივები მათი წარმოება**

მეორე სერიის მწკრივთა სწავლებისას ამოსავალია წყვეტილი. წყვეტილისა და მეორე კავშირებითის მწკრივთა სწავლებისათვის საილუსტრაცი ნიმუშებად ისეთი ზმნები უნდა შეირჩეს, რომლებიც მწკრივთა ყველა ნიშანს წარმოგვიდგენს **დავხატე გავბი დავხანი დავხატო გავთბე დავხნა.** ცალკეული მწკრივი დახასიათდება შემადგენელი ელემენტებისა დრო კილო და კითხვების მიხედვით. გაირკვევა საფუძველი სახელწოდებისა. წყვეტილი მოქმედების პროცესის შეწყვეტის მიხედვით, კავშირებითი კილოს მიხედვით.

მეორე სერიის თემის პირველი სერიის მწკრივების ამავე ზმნის თემასთან შეპირისპირება მოსწავლეთათვის გასაგებს გახდის, რომ მეორე სერიის მწკრივებში ზმნის თემა მარტივია ხოლო პირველ სერიაში კი რთული. მეორე სერიის მწკრივთა ფორმებთან პირდაპირობიექტიანი ზმნის სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია, პირდაპირი ობიექტი სახელობითში, ირიბი ბრუნვაუცველია, რჩება მიცემითში.

### **მესამე სერიის მწკრივები**

მესამე სერიის მწკრივთა სწავლებაც ინდუქციის გზით ცალკეულ მწკრივთა შესწავლიდან მათი სერიებად გაერთიანებისკენ. სწავლებისას ძირითადია ამ მწკრივთა შემადგენელი ელემენტების გაცნობა და მათი დახასიათება შინაარსის მიხედვით. პირველი თურმეობითის სწავლებისას უნდა გაირკვეს, რომ იგი გამოხატავს სხვადასხვაგვარ მოქმედებას:

1. პირველი თურმეობითი გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც წარსულში მომხდარა მაგრამ ჩვენ არ გვინახავს არ დავსწრებივართ ვიგებთ მას მხოლოდ შედეგის ან სხვისი გადმოცემის მიხედვით.
2. ამ მწკრივით გადმოიცემა ისეთი მოქმედება, რომელიც წარსულში მოხდა და ჩემსავე მეხსიერებას შემოუნახავს .
3. 3.ამავე მწკრივის ვიყენებთ თმაშინაც, როდესაც უარყოფას გადმოგვცემთ არ დაგიწერია?.

სათანადო ნიმუშების მოყვანითა და მათი გაანალიზებით მოსწავლეებისათვის გასაგები უნდა გახადოთ პირველი თურმეობითის მწკრივის ფორმათა ეს შინაარსეული განსხვავებანი და ის, რომ ამ მწკრივის ძირითადი დამახასიათებელია უნახაობა. ეს უნახავი აქტის ელემენტი განასხვავებს მას უწყვეტლისა და წყვეტილისაგან. სხვა ელემენტების მიხედვით დროის კილოს ეს მწკრივები უწყვეტელი, წყვეტილი და თურმეობითი ერთნაირია.

პირველი თურმეობითის შემდეგ მეორე თურმეობითის გაცნობა სიძნელეს არ წარმოადგენს. დროის მიხედვით მეორე თურმეობითიც წარსულია კილოს მიხედვით უმთავრესად თხრობითია, უმთავრესად ვამბობთ, რადგანაც ზოგ შემთხვევებში ამ მწკრივის ფორმები ისეთ მოქმედებასაც გადმოგვცემს, რომელიც ნამდვილად არ

მომხდარა, რომელიც ფაქტი არ იყო, მაგრამ რომელიც ივარაუდებოდა, როგორც პირობა სხვა მოქმედების შესასრულებლად. ასეთ შემთხვევაში მას პირობითი კილოს გაგება აქვს. რომ დაეწერა ზმნის ფორმით გადმოცემულია მოქმედება რომელიც ნამდვილად არ მომხდარა იგი ერთგვარ პირობას წარმოადგენს მეორე მოქმედების შესრულებისთვის, ასეთ შემთხვევაში ამ ფრომას არც უნახავი აქტის გაგება აქვს და არც თურმეს გაგებას შეიცავს. აქ წარმოდგენილ ზმნათა გაანალიზებით მოსწავლეებისათვის ნათელი უნდა გავხადოთ, რომ თუ წავიკითხე ფორმა წარსულში მომხდარ ნახულ აქტს გამოხატავს, დაუწერია, გადაუცია, მოსწონებია და გაუგზავნია აგრეთვე წარსულშივე მომხდარი მოქმედებებია, მაგრამ არა ნახული არამედ შედეგის მიხედვით გათვალისწინებული ხოლო დაეწერა ფორმა წარსულშივე მომხდარ უნახავ მოქმედებაზე მიგვითითებს, ოღონდ ეს მოქმედება წინ უსწრებდა წარსულშივე მომხდარ სხვა მოქმედებას დაუწერია გადაუცია მოსწონებია.

მეორე თურმეობითის ხმარების არე თანამედროვე ქართულში თანდათან ფართოვდება ამჟამად იგი ხშირად მესამე კავშირებით ცვლის, რის გამოც მესამე კავშირებითის გამოყენება თანდათანობით იზღუდება.

მესამე კავშირებითი დროის მიხედვით წარულია კილოს მიხედვით კავშირებითი, მისი კითხვაა რა ექნას? სახელი კილოს მიხედვით აქვს, ხილო მესამე იმიტომაა, რომ მესამე სერიაშია და ყველა სერიას თავისი კავშირებითი აქვს. იგი დღეს თანდათან ადგილის უთმობს მეორე თურმეობითს.

### **ფუძე, თემა და ძირი**

ფუძის, თემისა და ძირის სწავლებისას პირველი მეთოდოლოგიური საკითხია თვით მათი სწავლების თანმიმდევრობის საკითხი. ნაცობიდან უცნობისაკენ, მარტივიდან რთულისკენ გადასვლის მიხედვით ჯერ ფუძე უნდა გაეცნოს მოსწავლეს, შემდეგ თემა და ბოლოს ძირი. სახელისა და ზმნის ფუძის შედარებით გასაგები უნდა გახდეს, რომ ფუძე ორივე შემთხვევაში ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ერთეულია, სახელებში ის საგნობრივ მხარეზე მიუთითებს, ხოლო ზმნაში მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს. თვით ზმნის ფუძის გასაგებად მივმართავთ შეპირისპირების ხერხს, შესაპირისპირებლად ჯობია აღებულ იქნეს დროულობის

მიხედვით განსხვავებული მწკრივები აწმყოს, მყოფადისა და წყვეტილის ფუძეები, რომ გასაგები გახდეს ფუძეთა მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებულობა.

### **ვ-წერ და-ვ-წერ და-ვ-წერ-ე, წერ და-წერ და-წერ-ე, წერ-ს და-წერ-ს და-წერ-ა.**

ფუძესთან დაკავშირებით მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ ზოგიერთი ზმნის ფუძეში მომხდარი ცვლილებანი. ცვლილება ძირითადად ხმოვნის მონაცვლეობაში და კუმშვაში იხატება.

პირველი და მეორე სერიის ფორმების შედარება-შეპირისპირებით გაირკვევა, რომ ზოგიერთი ზმნა პირველი სერიიდან მეორე სერიაში გადაყვანისას ფუძისეულ ე ხმოვანს იცვლის და გადადის ი-ში. ნიმუშებზე დაკვირვებით უნდა გაირკვას, რომ ფუძისეული ხმოვნის ცვლილებას ადგილი აქვს, როგორც უთემისნიშნო **ჩხრეკს-ჩხრიკა, გრეხს-გრიხა** ზმნებში ისე ზოგიერთ ენ, ევ-ზე დაბოლოებულ ზმნებში **რქენს-ურქინა, ღრენს-ულრინა**.

### **თემა და თემის ნიშნები**

მხოლოდ ფუძის საფუძვლიანად და შეგნებულად ათვისების შემდეგ ვაცნობთ თემას და თემის ნიშნებს, სწავლების ხერხი ამჯერადაც შეპირისპირებაა. ვუპირისპირებთ ერთმანეთს პირველი და მეორე სერიის ფორმებს- თითოეულ სერიაში მწკრივთა მიხედვით საერთო, უცვლელი, მყარი ნაწილის გამოყოფით; მაგალითად **ვათბობ** ზმნის პირველი და მეორე სერიის მწკრივებში ცვლით მივიღებთ.

პირველ სერიაში: **ათბობ-ს, ათბობ-და, ათბობ-დეს, გა-ათბობ-ს, გა-ათბობ-და, გა-ათბობ-დეს.** მეორე სერიაში: **გა-ათ-ბო, გა-ათბ-ოს**

პირველის სერიის მწკრივთა ფორმებში საერთო, მსგავსი და ამ სერიის მიხედვით უცვლელი ნაწილის **ათბობ** გამოყოფით და მისი მეორე სერიის მწკრივთა საერთო, უცვლელ ნაწილთან **ათბ** შედარებით გაირკვა, რომ პირველი და მეორე სერიის მწკრივთა საყრდენი სხვადასხვაა. მოცემული ნიმუშის მიხედვით პირველი სერიის საყრდენია **ათბობ**. იგი პირველი სერიის ყველა მწკრივში უცვლელდაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე სერიის მწკრივთა საყრდენი არის **ათბ**, რომელიც მხოლოდ ამ სერიის მწკრივებშია წარმოდგენილი. რიგი ზმნების ამ სახით გაანალიზებითა და პირველი და მეორე სერიის თემათა გამოყოფის შემდეგ გამოვიტანთ დასკვნას: ზმნის იმ ნაწილს, რომელზეც დაყრდნობილია პირველი ან მეორე სერიის მწკრივთა ფორმები, თემა

ეწოდება. **ათბობ-ათბ** თემთა ურთიერთთან დაპირისპირებით გაირკვევა მათ შორის განსხვავება, ეს განსხვავება მოცემულ შემთხვევაში **ობ** ბოლოსართით გამოიხატება. სხვა ბოლოსართიან ზმნებში პირველი და მეორე სერიის თემების გამოყოფით და მათი ურთიერთთან დაპირისპირებით ცხადი გახდება, რომ პირველი სერიის თემები განსხვავდება მეორე სერიის თემებისაგან **ი, ავ, ამ, ებ, ობ** ბოლოსართებით. ამ ბოლოსართებს თემის ნიშნები ეწოდება; გაირკვევა სახელწოდება-თემის ნიშანი- და ის, რომ თემის ნიშნები ზმნებს პირველ სერიაში მოუდის, მეორეში კი არ გადაჰყვება. ამისდა მიხედვით პირველ სერიაში თემა რთულია, მეორეში მარტივი. პირველი სერიის თემას ართულებს თემის ნიშნები.

სხვადასხვა თემისნიშნიანი ზმნებიდან თემთა გამოყოფით მოსწავლეებისათვის ნათელი უნდა გაეხადოს, რომ ქართულში ზმნათა დიდ უმეტესობას ორ-ორი თემა აქვს: რთული და მარტივი. არის მხოლოდ რამდენიმე ერთთემიანი ზმნა: **წერ, ტეხ, ჭამ, ქსოვ, თხოვ** და სხვ.ეს ზმნები პირველი და მეორე სერიის მიხედვით განსხვავებას ვერ გვიჩვენებენ.

უთემისნიშნო ზმნების (**ვწერ, ვტეხ, ვქსოვ, ვთხოვ** და სხვ) შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს ამ ზმნებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ შეცდომებს. ხშირად თემისნიშნიან ზმნათა ანალოგიით უთემისნიშნო ზმნების თემის ნიშნით წარმოდგენას; მაგალითად: **ვწერავ, ვტეხავ**. ასეთ ზმნათა რაოდენობა მცირეა, სულ 12- მდეა, ასე რომ შესაძლებელია მათი ზეპირად დასწავლაც მოხდეს დროთა განმავლობაში.

თემისა და თემის ნიშნების სწავლების უკანასკნელი საფეხური თემის ნიშნების გარკვევაა მესამე სერიაში. თემის ნიშანთა მიხედვით მესამე სერია მეტად მრავალფეროვანია. მთავარია მესამე სერიასთან დაკავშირებით მოსწავლემ იცოდეს, რომ **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები ყოველთვის ინარჩუნებენ თემის ნიშანს მესამე სერიის პირველ თურმეობითში.

ზოგიერთ ზმნას პირველი სერიიდან მესამე სერიაში გადაჰყვება **ებ** თემის ნიშანიც, რომელიც გაჰყვება მას მესამე სერიის სამივე მწკრივში. მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში ეს **ებ** თემისნიშნიანი ზმნები ჩაირთავენ **ინ** სუფიქსს. ამიტომ ამ მწკრივში ითქმის და იწერება: **გამე-კეთებ-ინ-ა, დამე-ლაგებ-ინ-ა** და ა.შ.

## ძირის სწავლება

ფუძის, თემისა და თემის ნიშნების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ ძირის სწავლება რაიმე არსებით სირთულეს არ ხვდება. ძირის შესწავლის საფუძველზე მოსწავლეთათვის გასაგები უნდა გახდეს: 1. ძირი ზმნის უმარტივესი, უაფიქსო, უცვლელი ნაწილია; 2. ძირი ზმნის ყოველგვარი ფორმის საყრდენია, საფუძველია; 3. იგი ძირითადად ერთგვარადაა წარმოდგენილი ზმნის ყოველ ფორმაში, მწკრივებსა და სერიებში; 4. ძირი შედგება ერთი ორი ან რამდენიმე ბგერისაგან; ეს ბგერები შეიძლება იყოს მხოლოდ თანხმოვანი (ქ- მი-ქ-ი-ა) თანხმოვნები(თბ-ა-თბ-ობ) ან თანხმოვნები და ხმოვნები (წერ,ხატ და სხვ.).

ძირის გასაცნობად ზმნა უნდა ვცვალოთ სერიებისა და მწკრივების მიხედვით ( ვ-ხატ-ავ, და-ვ-ხატ-ავ-დი, ვ-ხატ-ავ-დე, და-ვ-ხატ-ავ, და-ვ-ხატ-ავ-დე, და-ვ-ხატ-ო, და ა.შ. და საერთო უცვლელი ნაწილის გამოყოფით გავაცნოთ ძირი; მივცეთ მისი დახასიათება. პირველ ხანებშია აუცილებელია ძირის გამოსაყოფად ზმნის მწკრივთა ფორმებში წარმოდგენა, შემდეგ კი საკამრისი იქნება ზმნის სამივე სერიის ძირითადი ფორმების მიხედვით ცვლა და ძირის გამოყოფა. ასეთ ძირითად ფორმებად შეიძლება მივიჩნიოთ პირველი სერიიდან აწმყოს ან მყოფადის მწკრივის ფორმა, მეორიდან წყვეტილი და მესამიდან თურმეობითი.

## გარდამავლობა

გარდამავლობის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: იგი გასაგებს ხდის მოსწავლეთათვის ქართული ენის ერთ მეტად საინტერესო თავისებურებას. გარდამავლობის შესწავლა ქართული სინტაქსის, ქართული ფრაზის გარკვევის ძირითადი საფუძველია; მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერგატიული კონსტრუქციისათვის.

გარდამავალ ზმნასთანა დაკავშირებული წინადადების სამგვარი კონსტრუქცია: **ნომინატიური** (სახელობითბრუნვიანი), **ერგატიული** (მოთხრობითბრუნვიანი) და **დატიური** (მიცემითბრუნვიანი). მაშასადამე ფრაზის კონსტრუქცია ქართულში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარდამავლობაზე. ამაშია მისი შესწავლის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.



გარდამავლობის რაობის სწავლებისას ძირითადი გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა ფორმისა და შინაარსის მიხედვით შედარება-შეპირისპირებაა. შესადარებლად პირველ რიგში ორპირიანი ზმნები შეირჩევა, შემდეგ- სამპირიანი და ერთპირიანი ზმნები.

სასურველია, შესაპირისპირებელი გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ალებულ იქნეს ერთი ძირისა და ისიც ფრაზაში, მაგალითად; **დედა შვილს მალავს, დედა შვილს ემალება- ბიჭი მიწას ბარავს, ბიჭი მიწას ეპარება.** „გარდამავალი ზმნები აღნიშნავენ, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტულ მოქმედებას, რომელიც ეხება საგანს და იწვევს მასში რაიმე ცვლილებას ან წარმოქმნის თვით საგანს, როგორც მოქმედების პროდუქტს. ზმნის ფორმა, რომელშიც სუბიექტის მოქმედება არ ეხება ობიექტს, გარდაუვალია. შინაარსის მიხედვით გარდამავლობის დახასიათება დაუკავშირდება გრამატიკული ნიშნების გაცნობა.

გარდამავლობაში გასარკვევად შინაარსი მხოლოდ დამხარე საშუალებაა, მარტო შინაარსის მიხედვით გარდამავლობის გარკვევა ბევრ შემთხვევაში გაუგებრობას შექმნიდა; მაგალითად: ზმნებში **ეხვევა** (დედა შვილს), **ეალერსება**, **ეყრდნობა** და სხვა შინაარსის მიხედვით სუბიექტის მოქმედება უშუალოდ ეხება ობიექტს, მაგრამ ზმნები გარდაუვალია.

მაშასადამე, გარდამავლობაში გასარკვევად აუცილებელია შინაარსისა და ფორმის მთლიანობაში განხილვა. არსებითი მნიშვნელობა ფორმას, გრამატიკულ ნიშნებს ენიჭება.

ფორმის მიხედვით გარდამავლობის გასარკვევად ძირითადი პირდაპირი, ბრუნვაცვალებადი ობიექტის ქონაა. **მალავს** და **ემალება** ზმნებთან სათანადო სახელების შეწყობითა და ზმნების სერიების მიხედვით ცვლით გაირკვევა, რომ მალავს ზმნა გარდამავალია, რადგანაც მასთან შეწყობილი ობიექტი შვილი პირდაპირია, იგი ბრუნვაცვალებადია სერიების მიხედვით: პირველი სერიის მწკრივებში იგი მიცემით ბრუნვაშია, მეორე და მესამე სერიის მწკრივებში- სახელობითში.

**ემალება** ზმნა კი გარდაუვალია, რადგანაც ამ ზმნის ობიექტი ირიბია, იგი უცვლელია სერიების მიხედვით და დგას მიცემით ბრუნვაში დასკვნა: გარდამავალია ზმნა, რომელსაც მხოლოდ ირიბი ობიექტი ახლავს.

სხვადასხვა სახის ნიმუშებზე ვარჯიშობისა და ორპირიანი გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებს ეძლევათ საბოლოო დასკვნა: ყოველი ზმნა, რომელსაც პირდაპირი ობიექტი ახლავს, გარდამავალია. პირდაპირი ობიექტი ბრუნვაცვალებადია სერიების მიხედვით, მისი ბრუნვებია: პირველ სერიაში-მიცემითი, ხოლო მეორე და მესამე სერიაში სახელობითი.

ამ დებულების საფუძველზე მოსწავლეთათვის ადვილად მისაწვდომი გახდება სამპირიანი ზმნების გარდამავლობა და ერთპირიანი ზმნების გარდაუვლობა. სამპირიანი ზმნები ჩვეულებრივ გარდამავალია, ერთპირიანი- კი ყოველთვის გარდაუვალი.

სამპირიან ზმნებზე ვამბობთ ჩვეულებრივ გარდამავალია, რადგანაც არის რამდენიმე ზმნა, რომელიც სამ პირს შეიწყობს, მაგრამ გარდაუვალია. ასეთებია: **უყვება, ჰპირდება, ეკითხება, ეხვეწება** და ა.შ.

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების წყვეტილის მწკრივის ფორმებზე დაკვირვებით მოსწავლეთათვის ნათელი გახდება, რომ გარდამავალ ზმნებს მესამე პირის მრავლობით რიცხვში სუბიექტის ნიშნად მოუდის **ეს**, ხოლო გარდაუვლებს-**ნენ**. ჩვეულებრივ, **ეს** დაბოლოება დამახასიათებელია გარდამავალი ზმნისთვის და მისი ერთ-ერთი გარეგნული ნიშანია. ვამბობთ „ჩვეულებრივ“, რადგანაც ეს ნიშანი ზოგჯერ გარდაუვალ ზმნასაც მოუდის; მაგალითად: **ცხოვრობს ის, იცხოვრეს მათ, შეხედავს ის, შეხედეს მათ, შეხედეს მათ** და სხვ.

ცხადია, ეს ამჟამად არ შეიძლება გარდამავალი ზმნის სპეციფიკად იქნეს მიჩნეული, თუმცა თავისი წარმოშობით იგი გარდაუვალ ზმნაშიც გარდამავალი ზმნებიდან მოდის

## ქცევა

ქცევა სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შორის ან ობიექტურ პირთა შორის კუთვნილებითი ურთიერთობაა. ქცევათა სწავლების თანმიმდევრობისათვის ამოსავალი უნდა იყოს მარტივიდან რთულისაკენ გადასვლა. ამ წესის დაცვით ქცევათა სწავლება იმ ქცევით უნდა დავიწყოთ, რომელშიც ფორმა და შინაარსი უკეთაა გამოხატული და ამოსაცნობად უფრო მარტივია. ასეთად კი სათავისო ქცევა უნდა მივიჩნიოთ:

1. სათავისო ქცევაში პირთა შორის კუთვნილებითი ურთიერთობა უკეთაა გამოხატული: ვიღებავ, იღებავ, იღებავს, ვიქარგავ, იქარგავ, იქარგავს.
2. სათავისო ქცევაში პირდაპირი ობიექტი განეკუთვნება სუბიექტს, ის სუბიექტისთვისაა დანიშნული. მოსწავლეთათვის სუბიექტი მთავარია და ობიექტის მისთვის განკუთვნიებასაც ადვილად სწვდება.
3. სათავისო ქცევის ფორმა მხოლოდ და მხოლოდ ორპირიანია.
4. სათავისო ქცევის ზმნა ყოველთვის გარდამავალია, მოქმედებითი გვარისაა.
5. სათავისო ქცევაში ყველაზე უკეთაა გამოხატული ქცევის ნიშანი. ეს ნიშანია ი, რომელიც უცვლელია პირისა და რიცხვის მიხედვით.
6. სათავისო ქცევის ფორმაში ობიექტი ჩვეულების მესამე პირია.

შემდეგი ადგილი ქცევათა რიგში საარვისო ქცევას ეთმობა. საარვისო ქცევის მეორე ადგილზე გადატანა გამართლებულია შემდეგით:

1. საარვისო ქცევაში ქცევისთვის დამახასიათებელი პირთა შორის კუთვნილება-დანიშნულებითი ურთიერთობა არაა გამოხატული. ობიექტი არავის კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა დანიშნული. ამდენად ქცევათა არსის, მათი რაობის საარვისო ქცევით გაცნობა მოსწავლეთათვის გასაგებს ვერ გახდოდა ქცევის კატეგორიას, მის მნიშვნელობას.
2. საარვისო ქცევას ორგვარი წარმოება ახასიათებს- წარმოება ა ნიშნით ( **აშენებს, აშენებს, აწერს და უნიშნოდ წერს, კერავს და სხვ.**)
3. საარვისო ქცევის ფორმა აქვს, როგორც გარდამავალს ისე გარდაუვალ ზმნებსაც **დულს, დულდება- გარდაუვალისა; ადულებს-გარდამავალი).**
4. გვარის მიხედვით ის ყველა გვარის ზმნაში გვხვდება (**დულს საშუალო გვარისაა, დულდება ვნებითისა, ხოლო ადულებს მოქმედებითისა).**
5. პირის მიხედვით ის შეიძლება იყოს ერთპირიანი (**დულს**), ორპირიანი (**კერავს**) და სამპირიანი (**სთხოვს, სწერს**).

ბუნებრივად მესამე ადგილი სასხვისო ქცევას ეთმობა. მიუხედავად იმისა, რომ პირთა შორის კუთვნილება-დანიშნულებით ურთიერთობა ამ ქცევაში უკეთ მოჩანს, ვიდრე საარვისოში, ის მაინც ბოლოს უნდა გაეცნოს. ეს გამოწვეული სირთულით, რომელიც ამ ქცევას ახასიათებს, ეს სირთულებია:

1. სასხვისო ქცევა სხვდასხვა პირისთვის ორ ნიშანს იყენებს: პირველი და მეორე პირისათვის ი-ს, ხოლო მესამე პირისათვის უ-ს ( **იკეთებ გიკეთებს უკეთებს**).
2. განსხვავებულია პირთა შორის კუთვნილება-დანიშნულებითი ურთიერთობა გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებში. თუ გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტია ირიბის კუთვნილება ან დანიშნულია მისთვის, გარდაუვალში სუბიექტი განეკუთვნება ან დანიშნულია ირიბი ობიექტისათვის.
3. ე-თავსართიან ვენებითი გვარის ზმნებში მას უნიშნო წარმოება ახასიათებს.

თუ ამას დავუმატებთ, რომ სასხვისო ქცევა მოუდს, როგორც გარდამავალ მოქმედებითი გვარის ისე გარდაუვალ ვენებითი და საშუალო გვარის ზმნებს და არის როგორც ორპირიანი ისე სამპირიანი, ცხადი გახდება ამ ქცევის შედარებითი სირთულე და მისი მისი სწავლების ბოლოს გადატანის საჭიროება.

ქცევის სწავლების პირველი საფეხური მისირობის გარკვევაა. რადგანაც ქცევის ბუნებისა და თვისების გამორკვევა უფრო გარდამავალი ზმნების საშუალებით არის შესაძლებელი. ამიტომ ქცევის რაობის გასაცნობად საილუსტრაციოდ შერჩეული უნდა იქნეს მოქმედებითი გვარის ზმნები; ამასთანავე; ისეთები, რომლებშიც მხოლოდ პირთა შორის კუთვნილება-დანიშნულებითი ურთიერთობა იქნება გამოხატული.

ქცევის განსაზღვრისათვის სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები უნდა შეუპირისპირდეს საარვისოს; მაგალითად: **იკერავს, უკერავს, კერავს, იხატავს, უხატავს, ხატავს**. ამ ზმნათა შეპირისპირებითა და შინაარსობრივი ანალიზით გაირკვევა, რომ პირველ მაგალითებში (**იკერავს, იხატავს**) სუბიექტი თავისათვის მოქმედებს პირდაპირი ობიექტი, რომელზედაც სუბიექტი მოქმედებს, განეკუთვნება (ან დანიშნულია) მას (სუბიექტს); მეორე შემთხვევაში (**უკერავს, უხატავს**) სუბიექტის მოქმედების საგანი, პირდაპირი ობიექტი, სხვისთვისაა (ირიბი ობიექტისათვის) დანიშნული, ირიბი ობიექტის კუთვნილებაა; მესამე შემთხვევაში (**კერავს, ხატავს**) არ ჩანს, თუ ვისთვის ხდება მოქმედება, ვის განეკუთვნება პირდაპირი ობიექტი- პირველ, მეორე თუ მესამე პირს. ეძლევა განსაზღვრა და ეცნობა ტერმინები: ქცევა სათავისო, სასხვისო და საარვისო (სათავისო, ე.ი დანიშნული თავისთვის; სასხვისო, ე.ი სხვისთვის დანიშნული და საარვისო, ე.ი არ ჩანს, თუ ვის განეკუთვნება პირდაპირი ობიექტი).

## სათავისო ქცევა

ქცევის გაგებისათვის მნიშვნელოვანია ქცევის ფორმანტების გაცნობა. „ქცევის შინაარსი ფორმანტმა უნდა აღნიშნოს და არა ფუძემ“ მხოლოდ შინაარსით, ფუძის მიხედვით ქცევის განსაზღვრა ბევრ შემთხვევაში შეცდომაში შეგვიყვანდა, არის რიგი ზმნები, რომლებიც შინაარსით პირდაპირი ობიექტის სუბიექტისთვის დანიშნულებას გადმოგვცემს; მაგალითად: **ყლაპავს, სვამს, ჭამს** და სხვ. მაგრამ სათავისო ქცევისა არაა, რადგანაც მათ არ გააჩნიათ სათავისო ქცევის ფორმანტი, ამიტომ ქცევის შესწავლისას ყურადღება ფორმანტებზე უდა გამახვილდეს. ეს სრულებით არ ნიშნავს შინაარსის უგულებელყოფას „ვერც მარტო მაწარმოებელი და ვერც მარტო მნიშვნელობა უმაწარმოებლოდ ქცევას ვერ შექმნის“, ე.ი. ქცევის კატეგორიის ამოცნობა შინაარსისა და ფორმის ამოცნობით უნდა მოხდეს.

სათავისო ქცევის ნიშნების გაცნობისათვის ვიყენებთ შეპირისპირების ხერხს, ვუპირისპირებთ ერთმანეთს სათავისო და საარვისო ქცევის ფორმებს. საილუსტრაციოდ ვარჩევთ ისეთ მაგალითებს, რომლებშიც საარვისო ქცევა უნიშნოა. ასეთი ფორმების სათავისო ქცევის ფორმებთან შეპირისპირებისას ადვილად გამოიყოფა სათავისო ქცევის ნიშანი; მაგალითად **იკერავს, კერავს, იხატავს, ხატავს, იწერს, წერს**.

საპირისპირო ფორმათა ჯერ შინაარსის, ხოლო შემდეგ ფორმის მიხედვით ანალიზისა და საერთო და განმასხვავებელ ნაწილთა გამოყოფით (იკერავს), მოწაფეთათვის ნათელი გახდება, რომ:

1. სათავისო ქცევის ნიშანია ი, რომელიც უცვლელია პირისა და რიცხვის მიხედვით (**ვიწერ, იწერ, იწერს, ვიწერთ, იწერთ, იწერენ**).
2. სათავისო ქცევა ყოველთვის ორპირიანი გარდამავალი, მოქმედებითი გვარის ზმნაა და ასეთ ზმნებში ობიექტი ყოველთვის მესამე პირია.

სათავისო ქცევის შესწავლა სრული არ იქნება, თუ არ გაირკვა მისი ხმარების არე:

- ა) როცა სუბიექტი მოქმედებს საკუთარ სხეულზე ან სხეულთა ნაწილზე (**ვიჭრი, ვიბან**);
- ბ) როდესაც პირდაპირი ობიექტი სამკაული, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი ან იარაღია, რომელიც ტანზე აქვს კაცს; მაგალითად: **ვიცვამ, ვისხამ**, ე.ი. სუბიექტი თავისთვის მოქმედებს;

გ) როდესაც პირდაპირი ობიექტი მისი კუთვნილებაა (ხარს იკლავს-თვას ხარს კლავს);

დ) როცა მოქმედება სუბიექტისკენაა მიმართული: ისესხა (ფული), იყიდა (წიგნი) და სხვ.

### საარვისო ქცევა

საარვისო ქცევის ფორმების გაცნობისას ამოსავალი სათავისო ქცევა უნდა იყოს, სათავისო ქცევის ფორმების შედარებ-შეპირისპირება საარვისოსთან. საილუსტრაციოდ ნიმუშებად შერჩეული უნდა იქნეს როგორც ორპირიანი, ისე სამპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნები, ამასთანავე ნიშნიანობა და უნიშნოც: კერავს, აკეთებს, აშენებს, სთხოვს, წერს.

ამ ფორმათა შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე გაირკვევა, რომ კერავს, აკეთებს, აშენებს და სხვები საარვისო ქცევის ფორმებია, ხოლო შემდეგ ამ ფორმანტა ამავე ზმნების სათავისო ქცევის ფორმებთან შეპირისპირებისა და საერთო განმასხვავებელ ნაწილთა გამოყოფით. გაირკვევა, რომ საარვისო ქცევა ქართულში ორგვარად იწარმოება ა ნიშნით და უნიშნოდ ანუ 0 (ნულ) ნიშნით. ეს ნიშანი ა (თუ უნიშნობა) უცვლელია პირისა და რიცხვის მიხედვით (ვაკერებ, აკერებ, აკერებს, ვაკერებთ, აკერებთ, აკერებენ); მოქმედებითი გვარის ზმნებში საარვისო ქცევა მოუდის, როგორც ორპირიან, ისე სამპირიან ზმნებს (აკეთებს, კერავს-ორპირიანია; აკერებს, სთხოვს, სწერს-სამპირიანი).

### სასხვისო ქცევა

სასხვისო ქცევის ფორმის მიხედვით გაცნობამდე უნდა გაირკვეს ამ ქცევის ხმარების სხვა შემთხვევაც: როდესაც სუბიექტი ირიბი ობიექტის საგანზე მოქმედებს, ე.ი. როდესაც პირდაპირი ობიექტი ირიბი ობიექტის კუთვნილებაა, მისი საგანია; მაგალითად: უტებს, უგრებს, უნგრებს, უწუხებს, რომლებშიც რომლებშიც პირდაპირი ობიექტის ირიბისადმი განკუთვნიება-დანაშინულებაა გამოხატული; მაგალითად: უშენებს, უშხადებს, უხატავს და სხვ. ასეთი შეპირისპირება გასაგებს გახდის, რომ ზმნებში-უტებს, უწუხებს, უვარცხნის და სხვებში- პირდაპირი ობიექტი, რომელზედაც

მოქმედება წარმოებს, ირიბი ობიექტისავს საგანია; მაგალითად: **უწყებებს** ის მას გულს, აქ გული პირდაპირი ობიექტი- ირიბი ობიექტისავე საგანია.

სასხვისო ქცევა ჩვეულებრივ ორ ნიშანს იყენებს: **ი-სა** და **უ-ს**, ეს ნიშნები პირების მიხედვითაა განაწილებული. პირველსა და მეორე ირიბობიექტურ პირს სასხვისო ქცევის ნიშნად **ი** მოუდის, ხოლო მესამეს-**უ**. მიუხედავად ამისა, სასხვისო ქცევის სპეციფიკურ ნიშნად **უ** უნდა ჩაითვალოს, ამიტომაც სასხვისო ქცევის ფორმის მიხედვით გაცნობა ამ ნიშნით უნდა დავიწყოთ და პირველ რიგში სუბიექტური წყობის, ე.ი. ზმნებით გავანცოთ, რომლებშიც ობიექტადმესამე პირია გამოყენებული; მაგალითად: **ვუშენებ, უშენებ, უშენებს**, ხოლო შემდეგ **ი/უ** ნიშნიანი ობიექტური წყობის ზმნებით, რომლებშიც ობიექტად სამივე პირია მოცემული-პირველი, მეორე და მესამეც (**მიშენებს, გიშენებს, უშენებს**).

ამჯერად სასხვისო ქცევის ფორმის სხვა ქცევებთან (სათავისო და საარვისოსთან) შეპირისპირებითა და საერთო ნაწილისა და განმასხვავებელ ნიშანთა გამოყოფით გაირკვევა, რომ სასხვისო ქცევა ორ ნიშანს იყენებს: პირველ და მეორე ირიბობიექტურ პირში **ი-ს**, ხოლო მესამე ობიექტურ პირში- **უ-ს**, ამ ნიშნების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებისათვის გასაგები უნდა გახდეს, რომ მოქმედებითი გვარის ზმნების სასხვისო ქცევა ყოველთვის სამპირიანია (**უშენებს ის მას მას** და ა.შ.).

### გვარი

სწავლების თვალსაზრისით გვარი ქართული ზმნის ერთ-ერთი ურთულესი კატეგორიაა. ამ სირთულეს ქმნის როგორც ის, რომ ამა თუ იმ გვარს არა აქვს საკუთარი, სპეციფიკური ნიშანი ( გარდა ვნებითი გვარისა), ისე ისიც, რომ ერთი გვარი ძალიან წააგავს მეორეს მთელი რიგი ნიშნებით. ძირითადი კრიტერიუმი ამ გვართა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად განსაკუთრებით მოქმედებითისა და საშუალისა გარდამავლობაა., გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა, გარდაუვალი ზმნა ან ვნებითი ან საშუალი გვარისა.

## მოქმედებითი, საშუალო და ვნებითი გვარი

გვარის რაობის გასაცნობად ამოსავალი მოქმედებითი გვარი უნდა იყოს, მოქმედებით გვარში უკეთაა წარმოდგენილი როგორც თვით მოქმედება, ისე ამ მოქმედების მიმართება ობიექტისადმი. ვნებითი და საშუალო გავრი მხოლოდ მოქმედებებთან შეპირისპირებით მიეცემა, როგორც მისი კონვერსიული ფორმა, გვარის რაობის საილუსტრაციოდ პირველ ხანებში აღებული უნდა იქნეს ისეთი ზმნა, რომელსაც ყველა გვარის ფორმა აქვს.

უმჯობესია საილუსტრაციო ნიმუშები ფრაზებში მიეცეს. მაშინ უკეთ გამოჩნდება, რომელი პირი (სუბიექტური და ობიექტური) რა მიმართებაშია ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან. გაირკვევა ზმნაში წარმოდგენილი მოქმედი და სამოქმედო პირი მათი დამოკიდებულება ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან. ამ ზმნათა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე ნათელი გახდება, რომ პირველ შემთხვევაში ( **აგორებს**) ზმნით გამოხატული მოქმედება გამომდინარეობს სუბიექტისაგან და მიმართულია პირდაპირი ობიექტისადმი; მეორე შემთხვევაში ( **გორდება**) მოქმედება სუბიექტისაგან კი არ გამომდინარეობს, არამედ თვით სუბიექტია განმცდელი მოქმედებისა, ე.ი. მოქმედება სუბიექტისადმი მიმართული; ხოლო მესამე შემთხვევაში ( **გორავს**) სუბიექტი მოქმედია, მაგრამ მისი მოქმედება არავისადმი არაა მიმართული და არც თვით სუბიექტის მიერ განიცდება იგი. გაკეთდება დასკვნა: ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მიმართებას სუბიექტისა თუ ობიექტისადმი, გვარი ეწოდება.

გაირკვევა სახელწოდებებიც: მოქმედებითი, ვნებითი, საშუალო. მოქმედებითი ეწოდება მას იმიტომ, რომ ამ გვარის ზმნებში სუბიექტი მოქმედია, მისი მოქმედება უშუალოდ ეხება პირდაპირ ობიექტს (**მოსწავლე კითხულობა წიგნს**). ტერმინი ვნებითი მიგვითითებს, რომ სუბიექტი თვითონ არის ქმედების საგანი, თვითვე განიცდის მოქმედებას, ვნებას (**სახლი ინგრევა, ადამიანი კვდება**), ასეთ ზმნებში სუბიექტი უმოქმედოა, პასიურია: ამიტომ ასეთ ზმნებს პასიურს უწოდებენ. ტერმინი საშუალო გვიჩვენებს, რომ ამ გვარის ზმნები არც აეც მოქმედებითია და არც ვნებითი; მას საშუალო ადგილი უჭირავს ამ ორ გვარს შორის. აქედანაა მისი სახელწოდებაც საშუალო.



## გვარი გარდამავლობისა და პირიანობის მიხედვით

გვარის შესწავლასვე უკავშირდება ზმნების გარდამავლობისა და პირიანობის მიხედვით დაჯგუფება. ეს აუცილებელია, როგორც ცალკეულ გვართა გრამატიკული ნიშნების მიხედვით შესწავლისას, ერთი გვარის მეორეში გადაყვანისას, ე.ი. კონვერსიის მოვლენაში მოსწავლეთა გასარკვევად. საილუსტრაციოდ უნდა შევარჩიოთ ისეთი ზმნები, რომელთაც სამივე გვარის ფორმა ახასიათებთ, აგრეთვე ისეთებიც, რომელნიც მხოლოდ ორი გვარის ფორმას იჩენენ. ამოსავალი ამ შემთხვევაშიც ორ და სამპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნები იქნება და მისი შედარება-შეპირისპირება მისსავე კონვერსიულ ფორმებთან. მაგალითად: **ადუღებს უდუღებს ხატავს უხატავს დუღდება უდუღდება იხატება ეხატება დუღს უდუღს.**

შესწავლის საფუძვლევზე პირველ რიგში გაირკვევა ამ ზმნათა გვარი, ხოლო შემდეგ დახასიათდება ცალკეული გვარის ზმნები პირიანობისა და გარდამავლობის მიხედვით და მიეცემა წესი: მოქმედებითი გვარისაა ორ და სამპირიანი გარდამავალი ზმნები, ვნებითი და საშუალი- ერთი ან ორპირიანი გარდაუვალი.

ამავე და სხვა მაგალითების საფუძველზე მოსწავლეთათვის გასაგები უნდა გავხადოთ, რო სამი გვარის ერთი ძირისაგან მიღება შესაძლებელია, მაგრამ შდევარებით იშვათად (**აწუხებს, წუხდება, წუხს**); უმეტეს შემთხვევაში ზმნის ერთი ძირისაგან ორი გვარი იწარმოება, მოქმედებითი და ვნებითი ან მოქმედებითი და საშუალი; მაგალითად: **წერს-იწერება უწერს-ეწერება მალავს-იმალება უმალავს-ემალება** საშუალი გვარის ფორმებს ვერ აწარმოებს ან, პირიქით, აკლია ვნებითი: **აცხოვრებს-ცხოვრობს აცეკვებს-ცეკვავს აჩივლებს** ჩივის და სხვ.

**კონვერსია-** მოქმედებითი გვარის გადაქცევა ვნებითად ან საშუალად და პირიქით კონვერსია ნიშნავს მობრუნებას, მოქცევას. ესაა ერთი გვარის მეორედ გადაქცევა ქართულში კონვერსიის მიხედვით კარგად უპირისპირდება ერთმანეთს მოქმედებითი და ვნებითი.

მოქმედებითის ვნებითად გადაქცევისას სუბიექტური პირი იკარგება და პირდაპირი ობიექტი სუბიექტად წარმოგვიდგება, ირიბი ობიექტი კი ირიბადვე რჩება. ამის გამო ვნებითი გავრი ერთი პირით ნაკლებია სათანადო ვნებითზე; ვნებითის მოქმედებითად გადაქცევისას კი სუბიექტური პირი მოქმედებითში პირდაპირ

ობიექტად იქცევა, ხოლო სუბიექტად მოქმედებითშიახალი პირი გაჩნდება(კაბა იკერება-მკერავი კაბას კერავს), რის გამოც მოქმედებითი ერთი პირით მეტია სათანადო ვნებითზე.

კონვერსიის მოვლენაში მოსწავლეების გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ის გასაგებს ხდის მოსწავლეებისათვის ზმნის ერთი გვარის მეორით შეცვლის შესაზღვებლობას საჭიროების შემთხვევაში. და ამავე დროს მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით გვარების ერთიმეორისაგან გარჩევაში.

კონვერსიის მოვლენის შესწავლის საფუძველზე მოსწავლეებისათვის გასაგები უნდა გავხადოთ, რომ გვართან მაშინ გვაქვს საქმე, თუ ზმნას ორი საპირისპირო გვარის ფორმა მაინც მოეპოვება (კრეფს-იკრიფება; ცურავს-აცურებს) თუ ზმნას ასეთი საპირისპირო ფორმები არ მოეპოვება, მაშინ ის უგვაროა, ქართულში ასეთი ზმნებია: არის, იცის, აქვს და სხვ.

კონვერსიის მოვლენის შესწავლასთან დაკავშირებით საჭიროა, მოსწავლეებს გავაცნოთ, რომ ქართული ენა უმთავრესად აქტიური ფორმების ენაა, ამოტომაც უმჯობესია მეტყველებისას მოქმედებითი გვარის ფორმები გამოვიყენოთ.

### სტატიკური ვნებითი

კონვერსიის მოვლენასთან დაკავშირებით საჭიროა, მოსწავლეებს წარმოადგენა მიეცეთ სტატიკურ ვნებითებზე. სტატიკური ვნებითის გაცნობა აუცილებელია უღლების ჯგუფების უკეთ გასათვალისწინებლად, რამდენადაც უღლების მეოთხე ჯგუფში სტატიკური ვნებითები და ზოგიერთი საშუალო გვარის ზმნაა გაერთიანებული.

შესწავლის თვალსაზრისით სტატიკური ვნებითები რაიმე სირთულეს არ წარმოადგენენ. დინამიკური და სტატიკური ვნებითები ერთმანეთს შეუპირისპირდება: მაგალითად, სურათი კედელზე იკიდება და სურათი კედელზე ჰკიდია, იკიდება და ჰკიდია ზმნათა შიარსობრივი ანალიზით გაირკვევა, რომ ერთში მოქმედების პროცესია მეორეში კი შედეგი.

## ვნებითი გვარის წარმოება

ვნებითი გვარის გასაცნობად ამოსავალი მოქმედებითი გვარი უნდა იქნეს- მოქმედებითი გვარის ფორმებთან შედარება-შეპირისპირება მისი კონვერსიული ფორმებისა.

## ხატავს-იხატება უხატავს-ეხატება

ამ ზმნათა შეპირისპირებით გაირკვევა, რომ მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს ი და ე თავსართები, რომელთაც არ ახასიათებს ამავე ზმნების მოქმედებითის ფორმებს. გაკეთდება დასკვნა, რომ ი და ე ვნებითი გვარის მაწარმოებელია.

ასევე გაეცნობა ვნებითების ბოლოსართოვანი წარმოებაც. დონიანი ვნებითის გაცნობისას მოსწავლეთათვის გასაგები უნდა გავხადოთ, რომ:

1. დონიანი ვნებითები ძირითადად ნასახელარია **კაცი კაცდება, შავი შავდება** და ა.შ.
2. ვნებითის მაწარმოებლად **დ** უშუალოდ სახელის ფუძეს დაერთვის **თეთრდება, ქალდება**.
3. **იზრდება იხდება** და სხვა ამგავრ ზმნებში **დ** ვნებითის მაწარმოებელი კი არაა, არამედ ფიძისეული.

უნიშნო ვნებითების გაცნობამდის მოსწავლეებისათვის გასაგები უნდა გავხადოთ, რომ ვნებითი გვარის ზმნებს ძირითადად **ე**ბი დაბოლოება მოუდის, ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს აწმყოს პირველი და მეორე პირის ფორმებში.

## ვიხატები იხატები იხატება ვწითლდები წითლდები წითლდება.

ვნებითი წარმოების მიხედვით სამგავრია **ი/ე ნიანი დონიანი** და **უნიშნო**. ნიანი ვნებითები ყოველთვის ერთპირიანია, ენიანი ორპირიანი გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე ზმნა, რომელთაც მეორე პირის გაგება ამჟამად დაკარგული აქვთ: **ემზადება, ემგზავრება, ეხატება**. დონიანი და უნიშნო ვნებითები ერთპირიანიცაა და ორპირიანიც.

ვნებითი გვარის ზმნების ნიშნების შესწავლასთან დაკავშირებით მართლწერის საკითხებსაც უნდა მიექცეს ყურადღება.

1. თუ სახელის ფუძე **დ-ზე** ბოლოვდება და ვნებითი დონით იწარმოება ორი **დ** უნდა დაიწეროს: **დიდება, დედდება**.

2. ენიან ვნებითზე შე ზმნისწინის დართვისას ორი ე იწერება: შეეხიზნა, შეევედრა.
3. ინიან ვნებითებზე მი ზმნისწინის დართვისას ორი ი იწერება: მიღება, მიიჩნევა.

### საშუალი გვარი

უფრო რთულია საშუალი გვარის გაცნობა. ამ სირთულეს ქმნის, როგორც, მისი მსგავსება მოქმედებითთან, ისე გარკვეული ნიშნის უქონლობა და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის თავისებურებანი, რაც ამ გვარის ზმნებს აქვს. ეს თავისებურებანი კი არაერთია.

საშუალი გვარის ძირითად ნიშნებად მიჩნეული უნდა იქნეს: გარდაუვლობა, თემის ნიშნის მონაცვლება აწმყოდან მყოფადში გადაყვანისას, მეშველი ზმნებით წარმოება აწმყოს პირველ და მეორე პირში და მათი უმეტესობის სახელთაგან წარმოქმნა **ობ** თემის ნიშნით.

მაშინ როცა მოქმედებითსა და ვნებითი გვარის ზმნებს აწმყოდან მყოფადში გადაყვანისას თემის ნიშანი უცვლელად მიჰყვებათ **აკეთებს, გააკეთებს, შლის წაშლის, აპობს დააპობს, ვიხატები დავიხატები, გვაცდები დაგვაცდები**, საშუალი გვარის ზმნებს ეცვლებათ თემის ნიშანი: **ცხოვრობს იცხოვრებს, ცურავს იცურავებს, ტირის იტირებს** და სხვ.

აქვე წარმოდგენა უნდა მივცეთ იმაზეც რომ ამ ჯგუფის ზმნებს აწმყოს პირელი და მეორე პირის ფორმებში უმეტესად მეშველი ზმნა დაერთვის; მაგალითად: **ვწევარ, წევხარ**.

აქვე გავაცნობთ, რომ საშუალი გვარის ზმნები უმეტესად ნასახელარია, სახელისგან მათ აწარმოებს **ობ** დაბოლოება: **კაცი კაცობს, დარაჯი დარაჯობს, ცხარე ცხარობს** და სხვ

## კონტაქტი

კონტაქტი მკაფიოდ გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა ქართულში. კონტაქტი სხვა ენებსაც ახასიათებს, მაგრამ ქართული ზმნის კონტაქტი არსებითად განსხვავებულია, ქართულში კონტაქტი მოეპოვება, როგორც პირიან ზმნას, ისე სახელზმნასაც.

კონტაქტის რაობის გასაცნობად სასურველია ორივე კონტაქტის ფორმები ერთი და იმავე ზმნით იყოს წარამოდგენილი, მაგალითად: **ნიკამ ბურთი იყიდა- ნიკამ დედას ბურთი აყიდინა.**

**იყიდა აყიდინა** ზმნებზე დაკვირვებით და მათთან შეწყობილ პირთა მოქმედების ჩამდენობის მიხედვით გარჩევით გაირკვევა, რომ **იყიდა** ზმნაში სუბიექტი თავადვეა მოქმედი, მოქმედებას უშუალოდ სუბიექტი ასრულებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, **აყიდინა** იგივე მოქმედება, სხვა პირის საშუალებით სრულდება. დასკვნა ქართულში კონტაქტი ორგვარია: **უშუალო და შუალობითი.**

კონტაქტის რაობის გაცნობასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა უნდა გამახვილდეს სუბიექტურ პირზე უშუალო და შუალობითი კონტაქტის ფორმებში. მოსწავლეებისათვის გასაგები უნდა გახდეს, რომ შუალობითი კონტაქტის ზმნებში სუბიექტი ხელმძღვანელი, საქმის მოთავა და არა მისი უშუალო შემსრულებელი. მაგალითად **ნიკამ დედას ბურთი აყიდინა** სუბიექტი ნიკაა და არა დედა, თუმცა ბურთს დედა ყიდულობს ე.ი. მოქმედების ჩამდენი დედაა და არა ნიკა.

შინაარსობრივ ანალიზს უნდა დაუკავშირდეს მისი გრამატიკული ნიშნები. შუალობითი კონტაქტის ფორმებთან შეწყობილი პირებიდან ხელმძღვანელი ბრუნვაცვალებადია **აყიდინებს** ის **აყიდინა მან უყიდინებია** მას. მაშასადამე გრამატიკულად ნიკა არის სუბიექტი, რეალურად მოქმედების შემსრულებელი დედას კი უცვლელია სერიების მიხედვით და მუდამ მიცემითშია. ცხადია ის არ შეიძლება იყოს სუბიექტი, იგი ირიბი ობიექტია.

ამგვარად, შუალობითი კონტაქტის ფორმებში ხელმძღვანელი, სუბიექტია, მოქმედების შემსრულებელი ირიბი ობიექტი, ხოლო ის, რაც სრულდება პირდაირი ობიექტი.

## კონტაქტის წარმოება

კონტაქტის მაწარმოებელთაგან სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელოში მხოლოდ ორია წარმოდგენილი: მარტივი **ინ** და რთული **ევინ**, მაგრამ გამოცდილება ადასტურებს, რომ ერთგვარი ზოგადი წარმოდგენა მოსწავლეებს მესამე **ევ**-მაწარმოებელზეც უნდა ჰქონდეს. ჯერ ერთი, **ევ** მაწარმოებლიანი ზმნები ხშირად გვხვდება მოსწავლეთა მეტყველებაში, მაგალიტად: **ჭამს -აჭმევს, სვამს -ასმევს, იცვამს-აცმევს** და სხვ.

მეორე **ევინ** მაწარმოებელი სახელმძღვანელოში რთულადაა დასახელებული და გაყოფილია **ინ** და **ევ** მაწარმოებლად. ამ მაწარმოებელის სირთულის გასაგებად **ევ** მაწარმოებელზეც უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა, მით უფრო, რომ გაცნობის თვალსაზრისით ის არავითარ სირთულეს არ შეიცავს.

კონტაქტის მაწარმოებელთა გაცნობისას ერთმანეთს შეუპირისპირდება უშუალო და შუალობითი კონტაქტის ფორმები. დასაპირისპირებლად ისეთი ნიმუშები უნდა შევარჩიოთ, რომლებიც ნათლად წარმოგვიდგენენ კონტაქტის მაწარმოებლებს. ცნობილია, რომ უშუალო კონტაქტიდან შუალობითის წარმოებისას ზმნის ფორმა არა მარტო კონტაქტის მაწარმოებელს დაირთავს, არამედ თემის ნიშანსა და ა პრეფიქსსაც: მაგალიტად: **აკეთებს -აკეთებინებს, წერს აწერინებს**. დამატებითი ნიშნების დართვა ერთგვარად აბრკოლებს კონტაქტის მაწარმოებლის გამოყოფას. ამიტომ პირველ რიგში ისეთი ნიმუშები უნდა მივაწოდოთ, რომლებშიც ასეთ გართულებას ადგილი არ ექნება. ამ შემთხვევაში უშუალო კონტაქტის ზმნა შეიძლება ავიღოთ ,მომავალი მწკრივის ფორმით, ხოლო შუალობითისა წყვეტილის:მაგალიტად:

**გააკეთებს გააკეთებინა**

**ააგებს ააგებინა**

**დააჩეხავს დააჩეხვინა**

ზმნების შინაარსობრივი დახასიათებით გაირკვევა, რომ გააკეთებს, ააგებს, დააჩეხვინებს უშუალო კონტაქტისაა, ხოლო ზმნები გააკეთებინა, ააგებინა, დააჩეხვინა შუალობითი კონტაქტისაა.

ფორმათა ანალიზის საფუძველზე გაირკვევა, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმებში ზმნას ჩაერთო **ინ**, ეს **ინ** შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელია.

ასევე გაეცნობა ევ და ევინ მაწარმოებლები აჭმევს ასმევს დაათლევინა დააჭრევინა და ა.შ, ევინ მაწარმოებლის შემადგენელ ნაწილებად დაყოფით მოსწავლეებისათვის გასაგები გახდება, რომ ევინ რთულია, ხოლო ევ და ინ მარტივი.

შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელთა შესწავლასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს მართლწერის საკითხიც: კონტაქტის ფორმები უნდა ვთქვათ და ვწეროთ: დააბარინა, გამოაჭრევინა, დააღვეინა და ა.შ. და არა დააბარია, გამოაჭრევია, დააღვეია და ა.შ რაც ფართოდაა გავრცელებული კილოებში.

კონტაქტზე დაკვირვებით მოსწავლეთათვის გასაგები უნდა გახდეს რომ შუალობითი კონტაქტის ფორმები ჩვეულებრივ სამპირიანია, გარდამავალია და მოქმედებითი გვარისაა. შუალობითი კონტაქტის ფორმები იშვიათად მოუდის გარდაუვალ ე-თი ნაწარმოებ ვნებითი გვარის ორპირიან ზმნებს: ვეკვლევინები, ველანძღვინები, ვეთრევინები და ა.შ. მაგრამ ეს ფორმები თანამედროვე ქართულში კილოებიდანაა შემოსული.

### თავისებური ზმნები

პირველი საკითხი, რომელიც თავისებური ზმნების სწავლებისას დაისმის, ეს თვით მოვლენის („მონაცვლეობა“) და ტერმინების („შენაცვლება“, „მონაცვლეობა“, „მონაცვლე“) გაცნობაა.

იმისთვის, რომ მოსწავლეებისათვის გასაგები გახადოთ, თუ რა არის შენაცვლება, საჭირო იქნება არის ზმნის უღლება. უღლების საფუძველზე მოსწავლეებისათვის გასაგები გახდება, რომ ამ ზმნას საკუთარი ფორმა მხოლოდ აწმყოს მწკრივში აქვს , უწყვეტელი და წმყოს კავშირებითი მას საერთოდ არ გააჩნია. მყოფადის წრეში იგი სხვა ზმნას ინაცვლებს- იქნება, იქნებოდა, იქნებოდეს. ამ ზმნათა დახასიათებით გაირკვევა, რომ არის ზმნა საშუალო გვარისაა, იქნება კი ვნებითისა. მაშასადამე, მყოფადის წრეში არის საშუალო გვარის ზმნას შეენაცვლა იქნება ვნებითი გვარისი ზმნა. აქ უნდა განმარტება: „რომელიმე ზმნის დანაკლისი ფორმების შევსებას სხვა ფუძის ზმნით შენაცვლება ეწოდება; ზმნა, რომელიც ავსებს დანაკლის ფორმებს, მონაცვლეა. მაშასადამე, იქნება ზმნა მინაცვლე არის ზმნისა, ამავე ზმნის მონაცვლეა წყვეტილში

იყო. ამგვარად არის იქნება იყო მონაცვლე ზმნებია, ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან მწკრივებში.

შენაცვლების ამ საერთო წესის გაცნობისას შემდეგ უნდა გავაცნოთ რიცხვში მონაცვლეობა: ვარდება- ცვივა, აგდებს- ყრის, მოიბა -მოისხა, მოკლა -დახოცა და სხვ.

რიცხვში მონაცვლე და საერთოდ მონაცვლე ზმნები საკმაოდ ბევრია ქართულში. ზოგიერთი მათგანი, რომლებიც ხშირად იხმარებიან, შეიძლება პირდაპირ მივცეთ მოსწავლეებს დასასწავლად.

ასევე მწკრივების მიხედვით ინაცვლებენ ფუძეს ზმნები ვზივარ, დავჯექი, მოვდივარ მოვალ, ვეუბნები ვეტყვი ვუთხარი, დავდივარ ვივლი ვიარე, მოვიტან მიმაქვს წავიღებ, ვშვრები ვიზამ ვქენი, ვიტყვი ვთქვი ვამბობს, ვსვამ დავლევ და სხვა.

რიცხვში მონაცვლე ზმნების მართებულად ხმარების დასაუფლებლად საჭიროა ვარჯიშობა, სახელდობრ: ცალკეული ზმნების დასახელება, მათი გადაყვანა მრავლობითში ან სხვა მწკრივში; შერჩეული ტექსტიდან სათანადო ზმნების გამოყოფა და მათი დახასიათება; ამ ზმნების მიხედვით ფრაზების შედგენა და მათი ერთი ფორმიდან მეორეში გადაყვანა; რიცხვში მონაცვლე ზმნების მხოლოდითი რიცხვიდან მავლობითში გადაყვანა და ამის მიხედვით გამართვა ტექსტისა და ა.შ.

ამასთანავე რიცხვში და მწკრივში მონაცვლე ზმნებზე შედგენილი ტაბულა უნდა გაიკრას კლასში, რომ მოსწავლეებს თვალწინ ჰქონდეთ ეს ზმნები. ტაბულა გაკეთდება ცალკე რიცხვში მონაცვლეზე და ცალკე მწკრივში მონაცვლეზე.

ვარჯიშობასვე დაუკავშირდება წერითი სამუშაოც. ერთი ფორმის მეორეში გადაყვანა, კარნახი ზმნას შეუცვალონ ფორმა, ტექსტის გადაწერა , რომელშიც ზმნები საწყისი ფორმით იქნება მოცემული , მოსწავლემ იგი საჭირო ფორმით უნდაშეუწყოს ფრაზას, ისეთი მოთხრობის შინაასის გადმოცემა ,რომელშიც საკმაო რაოდენობით იქნება რიცხვში და მწკრივში მონაცვლე ზმნები გამოყენებული.

## უღლება

ზმნისთვის ძირითადი დამახასიათებელი უღლებაა. მასში თავს იყრის ზმნის ყველა კატეგორია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, გვარი, ქცევა და კონტაქტი. ზმნის ფორმათა ცლილებას პირისა და რიცხვის მიხედვით უღლება ჰქვია.



უღლებს სწავლება პირველი ჯგუფის, ე.ი. მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლებით უნდა დავიწყოთ, მეორე, მესამე და მეოთხე ტიპის უღლება უნდა გავაცნოთ პირველი ჯგუფის უღლებასთან შეპირისპირებით.

1. პირველ უღლებას განეკუთვნებიან მოქმედებითი გვარის ორ და სამიპირიანი ზმნები, რომელთაც თემის ნიშნებად მოუდით **ი ამ ებ ობ ავ** ზოგიერთი უთემისნიშნო და ხმოვანმონაცვლე ზმნები.
2. პირველი უღლების ზმნებთან შეწყობილი სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ბრუნვაცვალებადა სერიების მიხედვით.
3. პირველი უღლებს ზმნები მიმართული ფორმებია მათ შეეწყობა პირდაპირი ობიექტი.
4. უწყვეტელსა და ხოლმეობითში ამ ზმნებს მწკრივთა მაწარმოებლად მოუდით **დ-ი** ხოლო აწმყოსა და მყოფადის კავშირებითში **დ-ე** წყვეტილში **ე** ან ? ხოლო კავშირებითში **ო ე** და **ა**.
5. წყვეტილის მესამე პირში ამ ჯგუფის ზმნებს სუბიექტის მესამე პირისა და რიცხვის ნიშნად აქვთ **ეს**.
6. მესამე სერიის მწკრივებში პირველი უღლების ზმნები არაერთ თავისებურებას იჩენს ეს უმთარესად არის ინვერსია, პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლა.

### ვნებითი გვარის ზმნათა უღლება

მეორე უღლების შესწავლისას უნდა გავარკვიოთ, რომ ამ ჯგუფს განეკუთვნებიან ერთ და ორპირიანი დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები ვდნები ვემიჯნები, რომელთაც ყველა მწკრივში თავ-თავისი ფორმა აქვთ.

ეს ზმნები უღლებისას შემდეგ თავისებურებებს იჩენენ:

1. აწმყოსა და მყოფადში მათ, ისე როგორც პირველი უღლების ზმნებს მწკრივის მაწარმოებელი საგანგებო ნიშანი არ აქვთ.
2. ამ ზმნების უწყვეტელისა და ხოლმეობითის მწკრივებს აწარმოებს **ოდ-ი** ხოლო აწმყოსა და მყოფადის კავშირებითს **ოდ-ე**.

3. მეორე სერიის მწკრივებში წყვეტილსა და მეორე კავშირებითი დინამიკური ვნებითების მაწარმოებელი იგივეა , რაც მოქმედებითი გვარის ზმნებისა, მაგალითად წყვეტილში ე და ნართაული ი ან **ნული**, ხოლო კავშირებითი ა და ო და ე, აქედან ე და **ნული** წყვეტილში მოუდიტ პრეფიქსიან ი ე ვნებითებს, ხოლო ნართაული ი სუფიქსიანსა და უნიშნოს.
4. არსებითი განსხვავება პირველი და მეორე უღლების ზმნებში თავს მესამე სერიაში იჩენს ეს განსხვავება შემდეგია: ვნებითი გვარის ზმნებს ინვერსია არ ახასიათებთ. ამ უღლების ზმნები ფორმებს ერთნაირად იკეთებს. თუ მეშველზმნიანია ყველა მწკრივში მეშველი ზმნით იქნება ნაწარმოები თუ არა ფორმები მაინც ერთგავრ უღლებას წარმოადგენენ.
5. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნები მესამე სერიის მწკრივებში იუღლებიან ვარ ვიყავ ვიყო მეშველი ზმნებით, რომლებიც დაერთვიან ნაზმნარ სახელს **გავუჩინარებულვარ გაუჩინარებულხარ გაუჩინარებულა**.
6. მეშველი ზმნა არის არიან პირველი თურმეობითის მესამ პირის ორსავე რიცხვში შეკვეცილი ფორმით, ან უერთდება ნაზმნარ სახელს **გავუჩინარებულან** და ორივე ერთ ზმნად წარმოგვიდგება.
7. მეშველზმნიანი ფორმები თანამედორვე ქართულში ერ სიტყვად იწერება **გავუჩინარებულხარ**.
8. პირველ თურმეობითში ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნას ორი სუბიქტური პირველი პირის ნიშანი აქვს: **გავუჩინარებულვარ** მეორე თურმეობითში და მესამე კავშირებითში მეშველ ზმნას ეს ნიშანი (ე) ჩამოშორებული აქვს .
9. ორპირიანი ვნებითი წარმოების მიხედვით ძირითადად მიჰყვება ამავე ზმნების აწმყოს წრის მწკრივებს, განსხვავებას გვიჩვენებს მხოლოდ პირველი თურმეობითი.

პირველ თურმეობითში ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნებიც მეშველზმნიანია (**გავუჩინარებულვარ, გაუჩინარებულხარ, გაუჩინარებია**). მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში მეორე უღლების ზმნებს მაწარმოებლად მოუდიტ **ოდ-ი ოდ-ე ე.ი.** ისევე იწარმოებიან, როგორც უწყვეტელი და აწმყოს კავშორებითი (**გავუჩინარებოდი, გავუჩინარებოდე**) ამ მწკრივებშიც ორპირიანი ზმნები შეიძლება ზოგჯერ მეშველი

ზმნითაც იქნეს ნაწარმოები.; მაგალითად: დავწოლოდი ან დავწოლიყავ, შევხებოდი ან შევხებიყავ და სხვ., მაგრამ ტანამედროვე ქართულში ოდიანი ფორმები უფრო გავრცელებულია და მისაღები; ამდენად ეს უნდა ვიხმაროთ.

### თემის ნიშანმონაცვლე ზმნების უღლება

„საშუალი გვარის ზმნები მწკრივთა ფორმების წარმოების თვალსაზრისით ორ ჯგუფად იყოფა. ერთი მიჰყვება მოქმედებითი გვარის ზმნებს, მეორე კი ვნებითი გვარისას“.

„მიჰყვება; აქ შემდეგს ნიშნავს: თუ საშუალი გვარის ზმნა მოქმედებითი გვარის მიხედვით ივსებს დანაკლის ფორმებს, ცხადია, მწკრივთა ფორმების წარმოებისას მოქმედებითს გაჰყვება, თუ ვნებითის მიხედვით-ვნებითს. ამისდა მიხედვით საშუალი გვარის ზმნების ორი ჯგუფია: საშუალმოქმედებითი და საშუალვნებითი. ეს ზმნები ორი ტიპის უღლებას განეკუთვნებიან, მედიოაქტიური ზმნები მესამე ტიპის უღლებას, ხოლო მედიოპასიური კი მეოთხეს.

მესამე უღლებას განეკუთვნებიან თემის ნიშანმონაცვლე ზმნები, რომელთაც საკუთრივ მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ, დანარჩენი ფორმები შევსებული აქვთ მოქმედებითი გვარის ზმნათა სათავისო ან სასხვისო ქცევათა მიხედვით, მათი თავისებურებები შემდეგია:

1. აწმყოს წრის მწკრივებიდან მყოფადის წრის მწკრივებში გადაყვანისას ამ ზმნებს თავში უჩნდებათ ი ერთპირიან და უ ორპირიანებს: **ყვირის, იყვირებს, ღალატობს, უღალატებს.**
2. თემის ნიშნად მყოფადის ფორმებში ამ ზმნებს **ებ** მოუდით, რადგანაც სათანადო მოქმედებითს, რომლისაგანაც მომდინარეობს მყოფადის წრის მწკრივთა ფორმები, თემის ნიშნად **ებ** აქვთ.
3. მეორე სერიის მწკრივები ამ ზმნებს ნაწარმოები აქვთ მყოფადის წრის მწკრივთა ფორმების მიხედვით.
4. ამ ზმნებს ზმნისწინი საერთოდ არ დაერთვის, მაგრამ თუ დაერთვის ასპექტს ვერ აწარმოებს, გვიჩვენებს მხოლოდ მიმართულებას.

5. აწმყოს მწკრივში ამ ზმნებს მაწარმოებელი არ აქვთ . უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში მოუდის მაწარმოებლად **დი დე** ან **ოდი ოდე**, თუ ზმნას თემის ნიშნად აქვს **ავ ებ ობ** ან უთემისნიშნოა, მაშინ ამ მწკრივების მაწარმოებელი იქნება **დი დე ვბტუნავ ვბტუნავდი ვბტუნავდე ბზრიალებ ბზრიალებდი ბზრიალებდე**. ოდი და ოდე მოუდით მაშინ, თუ ზმნა ი თემისნიშნიანია ვყვირი ვყვიროდი კივი კიოდი.
6. თუ ზმნას ფუძის ბოლოში **ვ** აქვს მაშინ **ოდი ოდე** მაწარმოებლების დართვისას ეს **ვ** იკარგება **წივის წიოდა ჩხავის ჩხაოდა**.
7. ზოგიერთი საშუალი გვარის ზმნა აწმყოს მწკრივის პირველ და მეორე პირში დაირთავს მეშველ ზმნას **ვწუხვარ წუხხარ ვდუმვარ დუმხარ** ასეთ ზმნათა რიცხვი მეტად მცირეა. საერთოდ მესამე უღლების ზმნებს მეშველი ზმნა არ მოუდით.
8. ნანესხები ფორმები სრულიად ისევე აწარმოებენ მყოფადის წრისა და მეორე სერიის მწკრივთა ფორმებს, როგორც სათანადო მოქმედებითნი, მაგალითად ხოლმეობითში მისი მაწარმოებელია **დ-ი ვიყვირებდი ვილაპარაკებდი ვიჩივლებდი** და სხვ. მყოფადის კავშირებითში **დე ვიყვირებდე ვიცხოვრებდე** და სხვ.

წყვეტილში მას მაწარმოებლად მოუდის **ე** (ვიყვირე ვიცხოვრე) ხოლო კავშირებითში **ო** (ვიყვირო, ვიცხოვრო, და ა.შ.).

9. წყვეტლში სუბიექტის მესამე პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში ამ ზმნებს **ეს** მოუდით.
10. მესამე სერიაში ამ უღლების ზმნები ინვერსიულადაა ნაწარმოები (მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმათა სესხების საფუძველზე).ერთი თავისებურება,რომელიც ამ ზმნებს მოქმედებითი გვარის **ებ** თემისნიშნიანი ზმნებისგან განასხვავებს ,ეს **ებ** თემის ნიშნის ჩამოშორებაა ზოგიერთი ზმნისაგან; მაგალითად: **იცხოვრებს უცხოვრია, ტრიალებს უტრიალია, იცოცხლებს უცოცხლია, ითამაშებს უთამაშია** და სხვ. მოქმედებითში **კი ებ** თემის ნიშანი ზმნებს ჩვეულებრივ შენარჩუნებული აქვთ.

11. მესამე სერიაში ორპირიანი საშუალო გვარის ზმნების ობიექტური პირი თანდებულიანი ხდება და ზმნასთან პირიანობის მიხედვით კავშირს წყვეტს. ამიტომაც ორპირიანი საშუალო გვარის ზმნა მესამე სერიაში ერთპირიანი ხდება.

### **მწკრივნიაკლი ზმნების უღლება**

მეოთხე უღლებას ეკუთვნის საშუალო გვარის ის ზმნები, რომლებიც დანაკლის ფორმებს ვნებითი გვარის ფორმების მიხედვით ივსებენ და სატატიკური ვნებითები. ეს ზმნები მრავალ თავისებურებას იჩენენ: საშუალო-ვნებით ზმნებში შედის მდგომარეობის **დგას ზის წევს**, გრძნობის **შია სწყურია სძულს უყვარს** და სხვ ყოლა-ქონების **ჰყავს აქვს** და სხვა ზმნები.

მეოთხე უღლების ზმნათა ძირითდი დამახასიათებელია ის, რომ:

1. წარმოებისას აკლიათ ან პირველი ან მეორე სერიის ესა თუ ის მწკრივი. პირველი სერიიდან შეიძლება აკლდეს უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი; თუ პირველი ჯგუფის მწკრივები აკლია მოეპოვება მეორის და პირუკუ.
2. მეოთხე უღლების ზმნების აწმყოს პირველსა და მეორე პირში მეშველი ზმნით იწარმოება : ვწერივარ, ვუყვარვარ, მოვწონვარ, და სხვ.
3. ამ უღლების ზმოგიერთ ზმნას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვება სხვა მწკრივებს ის ვერც სესხებით ივსებს; მაგალითად: **შესწევს მოსდგამს შესტრფის** .

## II თავი

### ქართული ენის სწავლების იტორიისათვის

*„ქართული ენა სკოლაში ძირითადი სასწავლო დისციპლინა და სხვა საგანთა სწავლების საფუძველია. ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქართული ლინგვისტიკური აზროვნების ისტორიას. ცნობილია, რომ უძველესი ქართული „გრამატიკები“ მხოლოდ წმინდა მეცნიერული მიზნით არ იქმნებოდა. ენის თეორიულ ასპექტში კვლევასთან ერთად ისინი წმინდა პრაგმატულ მიზანსაც ისახავდნენ – ესწავლებინათ მოსწავლეებისათვის მშობლიური ენის აგებულება. საქართველოში გრამატიკის სწავლება ტრადიციულად ითვლებოდა ენის დაუფლების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად. ამიტომაც გრამატიკის სახელმძღვანელოების შექმნას ჩვენი მეცნიერები და პედაგოგები სწავლების დაწყებითი საფეხურიდანვე იწყებდნენ.“ [მ. მაღლაკელიძე, 2013: 102]*

ქართულის, როგორც მშობლიური ენის სწავლებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს და მისი სწავლების გარეშე შეუძლებელია მოსწავლემ სრულფასოვნად შეძლოს გარაესამყაროს შეცნობა. მშობლიურ ენაზე სწავლება ძველ სკოლებში ფაქტობრივად არ ხდებოდა და მასზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. ცარიზმი, პირველ რიგში, ამას ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან ზუსტად ხვდებოდა, რომ ერის გამოღვიძებისა და თვითგამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი სწორედ ენაა. (თალაკვაძე, მ. 1959).

ქართული ენა განსაკუთრებით შეავიწროვეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ის ფაქტობრივად გამოაძევეს სასწავლო დაწესებულებებიდან. ამას ადასტურებს იაკობ გოგებაშვილის სიტყვებიც: „საქალაქო პროგიმნაზიაში ხელსაქმისთვის დადებულია 306 გაკვეთილი, ტანციობისთვის და გიმნაზისტიკისათვის 196 და ქართული ენისათვის მხოლოდ 26 გაკვეთილი“.

ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, აკაკი წერეთელსა და სხვა მოწინავე ქართველებს კარგად ჰქონდათ გააზრებული თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა მშობლიურ ენაზე სწავლებას ერისთვის და ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში იბრძოდნენ ამისათვის. ენა და აზროვნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და არ არსებობს ეს ორი მოცემულობა ერთმანეთის გარეშე. ენის განვითარება აზროვნების

განვითარებასაც იწვევს ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშობლიური ენის გამართულ სწავლებას. (თალაკვაძე, მ. 1959).

გრამატიკის სწავლების მეთოდთა წარმოადგენს ქართული ენის გრამტიკის სწავლების თეორიას, მისი საგანია გაარკვიოს გრამატიკის სწავლების მიზანი და საჭიროება სწავლების სისტემაში. და ასევე განიხილოს გრამტიკის სწავლების თეორული და პრაქტიკული საკითხები, შეიმუშაოს გრამატიკის სწავლების ორგანიზაციის ფორმები და პრინციპები. შეაფასოს და გაწეროს გრამტიკის სწავლების მეთოდები და ხერხები. <sup>2</sup>გრამატიკის სწავლებას აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გრამატიკის შესწავლით მოსწავლე ეუფლება ქართული ენის გრამატიკულ წყობას, მის თავისებურებებს, სიტყვათა ცვლილებებისა და სიტყვათა წინადადებებად შეკავშირების წესებს,ენაში არსებულ კანონებს წესების მიხედვით. (თალაკვაძე, მ. 1959).

ქართული ენის სწავლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საკმაოდ მრავალფეროვანი ისტორია აქვს. 1925 წელს გამოიცა შვიდწლიანი შრომის სკოლის გეგმა, რომელშიც ქართული ენისთვის გამოყოფილია ცალკე საათებიც, მაგრამ მასში ქართული ენის გრამატიკიული მასალა სრულად არ იყო წარმოდგენილი. 1928 წლის გრამატიკის პროგრამა მთლიანად ემყარება ფორმალურ გრამატიკულ მიმართულებას, რომლის ძირითადი მახასიათებელია ენობრივი მოვლენების განხილვა. 1934 წლიდან პროგრამას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ახასიათებს, არაა უფორმო მეტყველების ნაწილები შეტანილი დიფერენცირებულად, მიუხედავად არაერთი ნაკლისა პროგრამა თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან შეინიშნება ცდა მასალის სისტემატურობის პრინციპით დალაგებისა. 1937 წლის პროგრამაში ენობრივი მასალა უფრო მეტად დაზუსტებული და განტვირთულია რთული და ძნელი მასალისაგან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 198 წლის პროგრამაში მეტყველების ნაწილებადაა გამოყოფილი: ზმნიზედა, ნაწილაკი, შორისდებული, თანდებული და კავშირი. (თალაკვაძე, მ. 1959).

1940 წლის პროგრამა ბევრად უფრო სისტემურია და დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი პროგრამა. იგი ემყარება აკადემიკოს ა.შანიძის გრამატიკის სახელმძღვანელოში მოცემულ დებულებებს. ამ პროგრამაში პირველად ცალკეა

---

<sup>2</sup> მ.თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდთა 1959.გვ. 12.

გამოყოფილი სახელთ წარმოება, ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს მის დიფერენცირებულობაზე. მეოცე საუკუნის განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა ქართული ენის სწავლების ფორმა, შინაარსი და ხანგრძლივობა. ამ პერიოდში ქართული ენის ძირითადი საპროგრამო მასალა ორი დარგით - მორფოლოგიითა და სინტაქსით არის წარმოდგენილი. მე-5 კლასში ბრუნებადი სახელები, სახელთა წარმოქმნა და ზმნის ზოგიერთი კატეგორია ისწავლება: პირი და რიცხვი, ზმნისწინი, ასპექტი დრო და კილო,, მე-6 კლასში ზმნის შემდგომი კატეგორიები. (თალაკვაძე, მ. 1959).

„1946 წლიდან 1955 წლამდე საქართველოს სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით გრამატიკის კურსი გადანაწილდა ოთხ წელზე. V-VI კლასებში ისწავლებოდა მორფოლოგია, VII-VIII კლასებში - სინტაქსი. 1951-1955 წლებში ქართული ენა ისწავლებოდა IX-XI კლასებშიც და ეთმობოდა კვირაში ერთი საათი. IX კლასში გათვალისწინებული იყო ძველი ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები, X-ში სინტაქსის, სტილისტიკისა და პუნქტუაციის გამეორება, XI-ში მოსწავლეებს ეძლეოდათ ზოგადი ცნობები ენის შესახებ, საკითხები ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან. 1956დან 1970 წლამდე ქართული ენა ისწავლებოდა V-VIII კლასებში.” (ფურცელაძე, ნ )

1975-1976 სასწავლო წლიდან IX კლასში შემოღებული იყო ქართული ენის საკვანძო საკითხების სწავლება (კვირაში ერთი საათი).

XX საუკუნის 90-იან წლებში, XXI საუკუნის 10-იან წლებამდე, გრამატიკა დამოუკიდებელ დისციპლინად ისწავლებოდა, ეთმობოდა ცალკე საათ(ებ)ი და სწავლების სისტემური ფორმა იყო პრიორიტეტული. V-დან VII კლასის ჩათვლით პროგრამა მოიცავდა მორფოლოგიის საკითხებს, VIII-IX კლასებში - სინტაქსის, X-XI-ში ისწავლებოდა ძველი ქართული ენა, ასევე სტილისტიკა, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ.

„ 2006 წლიდან ამოქმედდა ეროვნული სასწავლო გეგმა. მართალია, მასში არ იკითხება პირდაპირი მითითება ქართული ენის სწავლების ფორმის შეცვლის, ან თუნდაც ქართული ენის, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინის, გაუქმების შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დროიდან ბევრი ცვლილება განხორციელდა, ნელ-ნელა, ეტაპობრივად, თავდაპირველად ზოგიერთ კლასში, შემდეგ კი სამივე საფეხურზე



*ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება გახდა ინტეგრირებული, საბოლოოდ კი, 2011 წლიდან ქართული ენა, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინა, საერთოდ გაუქმდა "[ნათია ფურცელაძე].*

### III თავი

#### ქართული ენის სწავლების სამართლებრივი ასპექტები

ქართული ენის სწავლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არაგულირებს შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტები: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი დაწყებითი და საბაზო საფეხური და ქართული ენისა და ლიტერატურის მაწავლებლის პროფესიული სტანდარტი.

საქართველოს ზოგადი განათლების კანონში გვაქვს მე-4 მუხლი, რომელსაც ჰქვია სწავლების ენა და ის შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

*„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული ან აფხაზეთი. 2. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება ხორციელდება ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე, მეორე სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა. 3. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა. 4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა.“*

ქართული ენის სწავლების საგნობრივ სტანდარტში მოცემულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს დაწყებით და საბაზო საფეხურზე.

## *დაწყებითი საფეხურის სტანდარტი*

### **I-IV კლასების სტანდარტი**

ბ) ენის გრამატიკული ასპექტი:

თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადებების ამოცნობა და გამოყენება; სასვენი ნიშნების ამოცნობა და გამოყენება ნასწავლ კონტექსტებში (მაგ., ჩამონათვალში, დიალოგში); სიტყვათა ფორმაცვალების კანონზომიერებათა აღმოჩენა (მაგ., ზმნის უღლება, სახელის ბრუნება, მხოლობითისა და მრავლობითის ფორმების წარმოება); სივრცული, დროითი და მიზეზშედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების ამოცნობა და გამოყენება; მართლმეტყველებისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

### **V-VI კლასების სტანდარტი**

ბ) ენის გრამატიკული ასპექტი:

სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება (სახელთა ბრუნვის ფორმები და მათი ფუნქციები); ზოგიერთი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია (არსებითი სახელის ჯგუფები; ზმნის დრო, კილო, ასპექტი); წინადადებათა მოდალობები; წინადადების ძირითადი წევრები; ძირითადი სინტაქსური მიმართებები სიტყვებს შორის (შეთანხმება ზმნასა და სახელს შორის პირსა და რიცხვში); სახელისა და ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორიები და მათი სინტაქსური ფუნქციები წინადადებაში.

*საბაზო საფეხურის სტანდარტი:*

### **გრამატიკის საკითხები**

#### ***მორფოლოგია***

**ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:**

- ✓ სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია.
- ✓ ზმნა: ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები.
- ✓ სახელზმნები (საწყისი და მიმღობა).

**ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:**

- ✓ ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის);
- ✓ თანდებული (ცალკე მდგომი და შერწყმული);
- ✓ კავშირი და მისი ჯგუფები;
- ✓ ნაწილაკი და მისი ჯგუფები;
- ✓ შორისდებული და მისი ჯგუფები.

### **სინტაქსი**

- ✓ სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები - შეთანხმება, მართვა, მირთვა;
- ✓ წინადადების წევრები: მთავარი და არამთავარი წევრები;
- ✓ წინადადება: წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
- ✓ განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
- ✓ პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

აღნიშნულ ენობრივ-გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერა, პუნქტუაცია

შემდეგი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელშიც მოცემულია ის ძირითადი ცოდნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საბაზო-საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ეს დებულება გაწერილია 56-ემუხლში, რომელიც ფორმულირებულია შემდეგი სახით:

**მუხლი 56. საბაზო ან/ და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა:**

გ) გრამატიკა:

გ.ა) მორფოლოგიადასინტაქსი; სახელები; სახელთაბრუნება; მრავლობითირიცხვის წარმოება; არსებითი, ზედსართავი, რიცხვითისახელების წარმოება და ფუნქციები; ნაცვა ლსახელის ჯგუფები, წარმოება და თავისებურებები; სახელთაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები ძველ ქართულში; ზმნა; ზმნის პირი და პირიანობა; ზმნის დრო, კილოდა ასპე

ქტი, ქცევა, კონტაქტი, გარდამავლობა, გვარი; ზმნის წინი და მისი ფუნქციები (მიმართულება, ასპექტი, სიტყვა წარმოება); ფორმა უცვლელი მეტყველების ნაწილები; წინადადება; სინტაქსური კავშირის სახეები; წინადადებების კლასიფიკაცია შინაარსისა და შედგენილობის მიხედვით; მარტივი წინადადება; შერწყმული წინადადება; რთული წინადადება: თანწყობა და ქვეწყობა; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური თავისებურებანი.

## IV თავი

### ზმნის სწავლების მეთოდური ტენდენციები გრიფირებული სახელმძღვანელოების მაგალითზე

2018 წელს მთლიანად განახლდა და ორ ნაწილად გაიყო დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები. მე-5 და მე-6 კლასის ახალგამოცემულ სახელმძღვანელოებში ლიტერატურა და გრამატიკა დაყოფილია და გამოცემულია ცალკე წიგნად.

საბაზო საფეხურზე განახლებული და გრიფმინიჭებულია მე-7 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო სამი საავტორო ჯგუფით, მე-7 კლასის ეს სახელმძღვანელოები 2019 წლის სექტემბრიდან შევა სკოლებში და შესაბამისად ჩვენ მოგვიწია ახალი სახელმძღვანელოების განხილვა, ვინაიდან ძველმა გამოცემებმა გრიფი ავტომატურად დაკარგა. მე-8 და მე-9 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები ამ ეტაპზე ისევ გასაახლებელია.

1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები:

- ✓ შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, ავტორები : გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე.
- ✓ შპს „გამომცემლობა მერიდიანი“, ავტორები : ნათელა მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი, ელენე მაღლაკელიძე, ირინა ნადირაშვილი, სოფიკო მეხაშიშვილი.
- ✓ შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“, ავტორები : ვახტანგ როდონაია, ლალი ვაშაკიძე, მარიამ მირიანაშვილი, ავთანდილ არაბული.
- ✓ შპს „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი“ : ნანა სახეჩიძე, ნინო ხაჭვანი, ლანა ჭელიძე, ანა არველაძე.
- ✓ შპს „გამომცემლობა ტრიასი“ : ირინე იაშვილი, ლელა ქისტაური, ნინო მესხორაძე, ხათუნა რაზმაძე, ნინო მხეიძე, მაგდანა აბესაძე.

მე-5, მე-6 კლასები:

- ✓ შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ” , ავტორები : გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე.
- ✓ შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე”, ავტორები : ვახტანგ როდონაია, ლალი ვაშაკიძე, მარიამ მირიანაშვილი, ავთანდილ არაბული.

მე-7 კლასი:

- ✓ დიანა ანფიმიადი, ზინა გაბიჩვაძე, ივანე ამირხანაშვილი, გამომცემლობა: „არტანუჯი“
- ✓ ნინო შარაშენიძე, ლია თუშური, ჯუანშერ წიქარაშვილი, გამომცემლობა: „დიოგენე“
- ✓ შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე”, ავტორები : ვახტანგ როდონაია, ლალი ვაშაკიძე, მარიამ მირიანაშვილი, ავთანდილ არაბული.

მე-8 და მე-9 კლასი:

- ✓ ვახტანგ როდონაია, ავთანდილ არაბული, ნინო ნაკუდაშვილი, მარინე ხუციშვილი, მანანა გიგინეიშვილი, ლაურა გრიგოლაშვილი, ლალი დათაშვილი (გამომცემლობა „სწავლანი“);
- ✓ ნათელა მაღლაკელიძე, თამარ ღონღაძე, ნანა ღონღაძე, თაია ცხადაია, დარეჯან კვანჭიანი. (გამომცემლობა „მერიდიანი“);

მე-8, მე-9 კლასებში მორფოლოგია აღარ ისწავლება, კერძოდ, ზმნა და მისი კატეგორიები, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის საგანია და შესაბამისად საჭიროდ არ მივიჩნიეთ ამ სახელმძღვანელოების ანალიზი.

სახელმძღვანელოების ანალიზისას ჩვენ შევიმუშავეთ ზოგადი ინდიკატორები, რის საფუძველზეც დავამუშავეთ სხვადასხვა საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელო. ეს ინდიკატორებია:

- ✓ სახელმძღვანელოს აგებისას რამდენად არის გათვალისწინებული სწავლების პრინციპები (დიდაქტიკური და ზოგადპედაგოგიკური).
- ✓ საგნობრივი მხარე, რამდენად სრულყოფილია საგნობრივი მხარე სახელმძღვანელოებში.
- ✓ ეხმიანება თუ არა თანამედროვეობას და რამდენად არის აგებული თანამედროვე სწავლების მეთოდების მიხედვით.

- ✓ გადის თუ არა მაღალ სააზროვნო უნარებზე სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები.

**საავტორო ჯგუფი:** ვ. როდონაია, მ.მირიანაშვილი, ლ. ვაშაკაძე, ა. არაბული. ამ საავტორო ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების ანალიზისას გამოჩნდა, რომ ავტორი მეტ-ნაკლებად მიჰყვება სწავლების პრინციპებს.

მაგალითად, მეორე კლასის სახელმძღვანელო ემყარება მისაწვდომობის პრინციპს, სასწავლო მასალა გადმოცემულია მარტივი ენით და გათვალისწინებულია ასაკი, მაგრამ დარღვეულია სისტემატურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპი, მაგალითად: სახელების სწავლება იწყება საკუთარი სახელებით, შემდეგ მოსდევს თავი „სულიერი და უსულო“, მაგრამ არსად არ არის ნახსენები ტერმინი არსებითი სახელი, ხოლო მესამეში გადადის პირდაპირ პირის ნაცვალსახელებზე. მეოთხე კლასში ჯერ ისწავლება კუთვნილებითი ნაცვალსახელი და შემოდის ტერმინი არსებითი სახელი, რომელიც ისწავლება თავისი ჯგუფებით, მას მოჰყვება ბრუნება, მრავლობითი რიცხვი და საკუთარი და საზოგადო არსებითი სახელები.

მეორე კლასში საერთოდ არა რის ნახსენები ზმნა, ხოლო მესამე კლასში შემოტანილია მიმართულების მაჩვენებელი სიტყვები, ისე რომ ზმნისწინს არ ახსენებს: **აქეთ, იქით- აქეთ და იქით**. მოყვანილია ზმნები, როგორებიცაა: **მირბის მორბის დარბის, მიხტის მოხტის დახტის**. მოსწავლეებს ასწავლიან მიმართულების გამომხატველ ზმნებს, ტერმინის გარეშე. დავალებებიც ამ კუთხით აქვს მოყვანილი უნდა ამოიცნონ მოსწავლეებმა რომელი მიმართულების ზმნებია.

მესამე კლასშივე იწყებენ სწავლას ზმნის, თავისი განმარტებით, მოყვანილია წინადადება **ბიჭი ვენახს ბარავს და დასმულია კითხვები რას აკეთებს ბიჭი?** და აქვეა ახსნილი რას ეწოდება ზმნა, დავალებებიც შესაბამისად მიუთითებს კითხვებზე რას აკეთებს, რომელია მოქმედება. ვფიქრობ, აქ კარგად არის განმარტებული ბავშვისთვის გასაგებ ენაზე. შემდეგ მოდის დრო, მესამე კლასშივე ისწავლება რიცხვში მონაცვლე და მიმართულების გამომხატველი ზმნები. ისწავლება ზმნის დრო და ზმნისწინი, ემყარება გამეორების პრინციპს.

ამრიგად, როდონაიას საავტორო ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, ჩემი აზრით, იყენებს სწავლების სხვადასხვა პრინციპს, გრამატიკული მასალა



შეტანილია ინტეგრირებულად, გამომდინარეობს შესასწავლი ტექსტიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც არის დაწყებით საფეხურზე, არის მარტივი ენით დაწერილი მრავალფეროვანი ილუსტრაციებით დატვირთული, სხვადასხვა უნარებზე გათვლილი დავალებები, რომლებიც ძირითადად თამაშის პრინციპზეა აგებული, არის დავალებები, რომლებიც მაღალსააზროვნო უნარებს მოითხოვს, თუმცა ზედმიწევნით არ იცავს სისტემურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპს.

ამ საავტორო ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები გამოირჩევა მრავალფეროვანი დავალებებით, თანამედროვე მეთოდებით როგორებიცაა: **იმუშავეთ ჯგუფურად, იმუშავეთ წყვილებში, ნახეთ მულტფილმი, ნახეთ ფილმი.**

დავალების რვეულები გამოირჩევა მრავალფეროვანი დავალებებით, არის სხვადასხვა უნარების გამომუშავებაზე გათვლილი, ძირითადად გამოყენებული აქვთ თამაშით სწავლება, რაც, ჩემი აზრით, უფრო სახალისოს და საინტერესოს ხდის. ზოგიერთი დავალება არის მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილი მაგალითად ხშირად იყო დავალება „სამი წინადადებით გადმოეცით შინაარსი“ ამ ტიპის დავალებები მეორე, მესამე კლასებში. ხშირადაა დასახატი დავალებები, რომლებიც გათვლილია შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის.

**საავტორო ჯგუფი:** ნათელა მაღლაკელიძე, თამარ ღონღაძე, ნანა ღონღაძე, თაია ცხადაია, დარეჯან კვანჭიანი; გამომცემლობა „მერიდიანი“; სახელმძღვანელოს აგებისას არ არის გათვალისწინებული ასაკთან შესაბამისობა, გრამატიკული მასალა არ არის მისაწვდომი და მარტივად გასაგები კონკრეტული ასაკის მოსწავლეებისათვის. მე-2 კლასიდან იწყებენ რთული გრამატიკული კატეგორიების შესწავლას, როგორცაა **მახილის წინადადება, კითხვითი წინადადება, ბრძანებითი წინადადება და თხრობითი წინადადება**, შემოტანილია ტერმინებით და შესაბამის მოსწავლის რვეულში დავალებები აღნიშნულ საკითხებზე არის რთული ენით დაწერილი, მაგალითად: მოცემული აქვს მახილის წინადადებები, რომლებშიც მოსწავლეებმა ემოცია უნდა გამოიციონ სწორად, მოცემული წინადადებები საკმაოდ რთულია და მოითხოვს ბევრად უფრო დიდი ასაკობრივ მზაობასა და ლექსიკური მარაგის ფლობას, რომ სწორად დაიჭიროს ბავშვმა ემოცია. რაც შეეხება სისტემურობის პრინციპს მეტ-ნაკლებად არის

დაცული, არსებითი სახელით იწყებს მესამე კლასს შემდეგ მიჰყვება რიცხვითი სახელი, ზედსართავი და შემდეგ ზმნა.

მოსწავლის წიგნში არცერთ კლასში არა არის წესის ქვემოთ მოცემული შესაბამისი დავალებები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება ცოდნის განმტკიცებაში, დავალებები, ან არ არის, ან არის მწირი და მშრალი.

მოსწავლის რვეულში აქვს შეტანილი სხვადასხვა ტიპის დავალება, მაგალითად **დიახ/არა** ტიპის დავალება, სადაც ტექსტიდან გამომდინარე უნდა შეუსაბამოს მოსწავლემ სწორია არასწორიას მაგალითს, მაგრამ გრამატიკული დავალებები არ შეესაბამება თანამედროვე მეთოდოლოგიას, საერთოდ არ იყენებს თამაშით სწავლების პრინციპს, რაც თავისთავად მოსწაყენს და დამღლელს ხდის გრამატიკულ საკითხებს, სახელმძღვანელო მთლიანად გათვლილია წესების დაზეპირებაზე, მაგალითად მე-4 კლასის სახელმძღვანელოში პირდაპირ აქვს მოყვანილი წესები და აწერია დაიმახსოვრეთ, არ გვხვდება შესაბამისი დავალება ან თვალსაჩინოება ან კონკრეტული აქტივობა. მაგალითად პირდაპირ შემოაქვს მე-4 კლასში ყველა ბრუნვა იქვე წესი და არის ერთადერთი დავალება, აბრუნეთ სახელი და გვარი ერთად, რაც ასევე გაუმართლებელია, ბრუნების სწავლების დასაწისში, ვინაიდან სახელი და გვარის ერთად ბრუნება არც ისე მარტივია მე-4 კლასელისთვის.

მესამე კლასში გვხვდება ამგვარი დავალება, სათაურით გააგრძელებ:

**ბიჭი ზის - ბიჭები სხედან**

**მოხუცი ზის - მოხუცები.....**

მოსწავლეებმა არ იციან თავისებური ზმნები, მანამდე არსად არ უსწავლიათ, ნასწავლი აქვთ მხილოდ ზმნის რიცხვი, ჩემი აზრით თავისებური ზმნების ამგვარი სწავლება დაუშვებელია, რადგან მოსწავლეებისათვის გაურკვეველი რჩება რატომ იცვლის ფორმას ზმნა.

ახალი მასალის ახსნას იწყებს დავალებებით, მაგალითად მოცემულია დავალება, მიიღეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან რიგობითი რიცხვითი სახელი ბოლოს კი ახსნილია რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერა.

ზედსართავი სახელის განმარტება არ აქვს მოცემული, მაგრამ შემოტანილი აქვს ტერმინი და ასეთი ტიპის დავალება, რომელი ზედსართავი სახელით ახასიათებს

მწერალი, დაუსვით კითხვა როგორი? მოსწავლემ არ იცის ზედსართავი სახელის განმარტება მხოლოდ კითხვას პასუხობს. ესეც არასისტემურია, რადგანაც ზოგჯერ შემოქმედს პირდაპირ ტერმინი და წესი და ზოგჯერ ტერმინი განმარტების გარეშე. მე-4 კლასი მთლიანად დატვირთულია წესებით.

**საავტორო ჯგუფი:** ირინე იაშვილი, ლელა ქისტაური, ნინო მესხორაძე, ხათუნა რაზმაძე, ნინო მხეიძე, მაგდანა აბესაძე. შპს „გამომცემლობა ტრიასი“ : საავტორო ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო არის მრავალფეროვანი ილუსტრაციებით, თანამედროვე მეთოდებითა და აქტივობებით შედგენილი.

დაცულია ასაკთან შესაბამისობა, იყენებენ თვალსაჩინოების პრინციპს, სახელმძღვანელოში გრამატიკული ნაწილი საერთოდ არ გვხვდება, გრამატიკული დავალებები მთლიანად გატანილია პირველიდან მეოთხე კლასამდე, ეს დავალებები არის მრავალფეროვანი, სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა უნარებზე გათვლილი, მაგალითად მეორე კლასში თუ გრამატიკულ რიცხვს ასწავლიან ერთი და ერთზე მეტი ამგვარი განმარტებით, მესამე კლასში უკვე შემოდის ტერმინი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი.

გრამატიკული კატეგორია არსად არ არის შემოტანილი წესით, თუმცა იყენებენ ტერმინებს არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი და ა.შ.

მოსწავლეები თავად დავალებებიდან გამომდინარე მიდიან დასკვნამდე, ეს არის გათვლილი აღმოჩენებით სწავლებაზე, მეხუთე-მეექვსე კლასში გვხვდება გრამატიკის ცალკე სახელმძღვანელო, მეხუთე კლასში მთლიანად შეტანილია ფონეტიკიდან დაწყებული ყველა სახელი, ხოლო მეექვსე კლასში იწყება ნაცვალსახელით და შესულია მთლიანად ზმნა.

მეხუთე მეექვსე კლასში უშუალოდ გრამატიკის წიგნებში დავალებები მეტ-ნაკლებად მრავალფეროვანია და შედარებით მწირი რაოდენობისაა, კარგი იქნებოდა ერთ საკითხზე უფრო მეტი დავალება, რაც ცოდნის განმტკიცებაში დაეხმარებოდა მოსწავლეებს.

**საავტორო ჯგუფი:** ნანა სახეჩიძე, ნინო ხაჭვანი, ლანა ჭელიძე, ანა არველაძე. შპს „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი“, საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელოში დაცულია ასაკთან შესაბამისობა, მაგრამ მკვეთრად დარღვეულია

სისტემურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპი, პირველი მეოთხე კლასის სახელმძღვანელოებში ძალიან მწირია გრამატიკული მასალა, მთლიანად მეოთხე კლასში მხოლოდ ზმნის პირი და დრო არის შეტანილი. მოსწავლის რვეულებში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის დავალებები, აქტიურად იყენებს კოგნიტურ სქემებსა და ორგანიზატორებს, სააზროვნო დავალებებს, მაგრამ ვიმოეორებთ ძალიან მწირია და მშრალი აღნიშნული გრამატიკული დავალებები.

**საავტორო ჯგუფი:** მე-7 კლასის სახელმძღვანელოში, რომლის ავტორებიც არიან დიანა ანფიმიადი, ზინა გაბიჩვაძე, ივანე ამირხანაშვილი გამომცემლობა არტანუჯი, მთლიანად შესულია ზმნა,

სახელმძღვანელო გამორჩეულია იმით, რომ მთლიანად შესულია თანამედროვე მაგალითები და აქტივობები, მოყვანილი აქვს თანამედროვე მწერლებისა და პოეტების შემოქმედებიდან ლექსები, ტექსტები, მაგალითად რატი ამაღლობელის ლექსი „ყოფნა ზმნა“, გიორგი ლობჯანიძის ლექსი: „არაბულის მასწავლებელი“ და სხვ.

იცავს სისტემურობისა და თანმიმდევრობის პრინციპს, სახელმძღვანელოში შეტანილი ზმნის კატეგორიები დალაგებულია ისე, რომ მეთოდურად კარგად მიჰყვება ერთმანეთს და ერთმანეთიდან გამომდინარეობს.

სახელმძღვანელო არის ასაკთან შესაბამისი. არ გვხვდება ფაქტობრივი ან საგნობრივი კუთხით დაშვებული შეცდომები. ვისურვებდით, რომ ყოფილიყო უფრო მეტი პრაქტიკული სავარჯიშო და ასევე განსხვავებული სირთულის.

**საავტორო ჯგუფი:** ლია თუშური, ნინო შარაშენიძე, ჯუანშერ წიქარაშვილი, გამომცემლობა შპს „დიოგენე“, საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელოში შეტანილია არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნიდან რამდენიმე საკითხი პირის ნიშნები, გარდამავლობა, ზმნისწინი და მართლწერის საკითხები.

ავტორი მიჰყვება და იცავს სისტემურობისა და თანმიმდევრობის პრინციპს, იწყებს სახელების სწავლებიდან და თანმიმდევრულად მიჰყვება ზმნამდე.

ჩემი აზრით სახელმძღვანელოში მოცემული გრამატიკული მასალა მართალია ამომწურავად არის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ზედმეტად ბევრი თეორიული ინფორმაციაა მოტანილი, რაც ასაკთან შესაბამისობაში არ არის.

დავალებები არის მრავალფეროვანი, გაასწორეთ, ჩასვით, რედაქტირება გაუკეთეთ, დააკავშირეთ, ამოწერეთ და ა.შ. მაგალითად: არსებითი სახელების მართლწერის შემდეგ მოყვანილია ტექსტი, რომელშიც ეუბნებიან მოსწავლეს, რომ უნდა იპოვოს 10 შეცდომა და გაასწოროს, ეს დავალება ჰგავს ეროვნული გამოცდების ტექსტის რედაქტირებას და ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო და საჭირო უნარებს ავითარებს.

მოტანილია ტექსტი, რევაზ ინანიშვილის „გოგონა რომელსაც ღამე შეუყვარდა“ მითითებულია, რომ ამოწერონ ტექსტიდან ზედსართავი სახელები მიუწერონ რომელია ზედსართავი სახელი და რომელი პირისა დარიცხვის ფორმაა.

ავტორს მოტანილი აქვს ასეთი დავალება: მოცემულ ტექსტში დაშვებულია შეცდომები ზოგი უნებურად ზოგი გრამატიკული უნდა იპოვონ გაასწორონ და დააჯგუფონ ეს შეცდომები.

## V თავი

### ზმნის სწავლების თანამედროვე მიდგომები, მეთოდური გზამკვლევის ანალიზი.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში, დღესდღეობით, გვაქვს მხოლოდ ორი საგნობრივი გზამკვლევი მასწავლებელთათვის. ერთი, 1-6 კლასის ჩათვლით დაწყებითი საფეხურისა და მეორე 7-12 კლასის საბაზო და საშუალო საფეხურის, ორივე მათგანი შედგენილია 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და წარმოადგენს ერთგვარ დამხმარე სახელმძღვანელოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის. აღნიშნული გზამკვლევები გამოცემულია ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. დაწყებითი საფეხურის გზამკვლევი გახლავთ 2011 წელს გამოცემული, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურის - 2013 წელს.

დაწყებითი საფეხურის გზამკვლევის ძირითადი ნაწილი მე-3 თავი დათმობილი აქვს რეკომენდაციებს სტანდარტის შედეგების მისაღწევად კლასების მიხედვით და მე-4 თავი, რომელშიც მოცემულია სტანდარტის მისაღწევი შედეგების შესაბამისი სანიმუშო აქტივობები ასევე კლასების მიხედვით.

მოცემული აქტივობები დაყოფილია ქართული ენისა და ლიტერატურის სამი მიმართულების კითხვის, წერისა და ზეპირმეტყველების განსავითარებლად. დაწყებითი საფეხურის გზამკვლევაში არ გვხვდება არცერთი სანიმუშო აქტივობა ზმნის შესახებ, მაშინ როცა მე-6 კლასში იწყება ზმნის სრულყოფილი შესწავლა.

2013 წელს გამოცემულ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ გზამკვლევაში, რომელიც გახლავთ 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი (VII-XII კლასებისათვის), არის მეორე თავი, რომელსაც ჰქვია „საგნის სწავლების შინაარსობრივი საკითხები საბაზო და საშუალო საფეხურებზე“ მასში არის ქვეთავი „ენის საკითხები ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში“ ამ ქვეთავში მიმოხილულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ლექსიკოლოგიიდან, მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან, სათანადო მეთოდითა და აქტივობით დამუშავებული .

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ზმნა, ზმნიდან განხილულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი საკითხი, სერიები და მწკრივები, ისიც ძალზედ ცალსახად, ერთი სანიმუშო ტაბულითა და ერთი ზმნის გარჩევის ცხრილით: „სერიებისა და მწკრივების ტრადიციული ფორმით მიწოდება მოსწავლეთათვის შექმნის სხვადასხვა სახის სირთულეს. ამიტომ უმჯობესია მოსწავლეები სპეციალურად შერჩეული ტექსტის მიხედვით დააკვირდნენ ზმნის დროს, კილოსა და ასპექტს ისე, რომ ყურადღება მიაქციონ, როდის ხდება მოქმედება, რა მიმართებაა ზმნით გამოხატულ მოქმედებასა, თქმის მომენტსა და მოქმედების შედეგს შორის. ამ თვალსაზრისით ყველაზე შედეგიანი წარსული დროის ზმნებზე დაკვირვება იქნება“ (ბოლქვაძე, თ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ამ ცხრილის გამოყენებით განსაზღვრონ რას გამოხატავს ქვემოთ მოცემულ ტექსტში გამოყენებული თითოეული ზმნის ფორმა. *„მე კასპიდან ვბრუნდებოდი გიგლას მანქანით. გიგლამ გზისკენ მიმახედა. ფერდობზე შვლის ქანდაკება იდგა. გამიკვირდა, რადგან თბილისიდან მომავალს ეს ქანდაკება არ შემიმჩნევია. მანქანის გაჩერება ვთხოვე გიგლას. მივუახლოვდი თუ არა, სასწაული მოხდა. ქანდაკება „დაფრთხა და ფრუტუნითა და ჩლიქების თქარათქურით ჯაგნარში შევარდა. განა მარტო იყო, მთელი ჯოგი მიჰყვა თან. მალე გავიგე იქაურობა ნაკრძალად გამოუცხადებიათ და შვლის ჯოგიც კარგა ხანა გამოცენილა და მომრავლებულა“* (ნ.დუმბაძე).

იქვეა მოცემული მითითება, თუ როგორ უნდა იმუშაონ მოსწავლეებმა: *„მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ წყვილებად, წაიკითხონ ტექსტი და თითოეულ ზმნასთან დაკავშირებით გააკეთონ კომენტარი: ცხრილის მიხედვი რა კითხვას პასუხობს ზმნა და როგორია ზმნით გამოხატული მოქმედების დამოკიდებულება თქმის მომენტთან და მოქმედების შედეგთან.“*

ცალკე საუბრისა და დაკვირვების საგნად უნდა იქცეს ფუძემონაცვლე ზმნები. ცალ-ცალკე უნდა გამახვილდეს ყურადღება პირში მონაცვლე, დროში ფუძემონაცვლე და რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნებზე, რაც საბოლოოდ შეიძლება ჩამოყალიბდეს ცხრილის სახით, რომლის ცარიელი უჯრები მოსწავლეებმა უნდა შეავსონ.

გთავაზობთ გზამკვლევაში მოცემულ ცხრილებს:

5.1

	ზმნები	პირში მონაცვლე	დროში ფუძემონაცვლე		რიცხვში ფუძემონაცვლე
			იყო	იქნება	
	არის	გახლავს			
	ვაგდებ				
	მიდის				
	თქვა				
	დაჯდა				
	ხარ				
	ჭამა				
	აბია				
	აძლევ				
0	ვტებ				

როცა მოსწავლეებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ კონკრეტულ ტექსტებში გამოყენებული მნების პირიანობის, რიცხვის, დრო-კილოსა და ასპექტის დაგდენა, სასურველია ზმნის გარჩევა ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით.




5.2

ზმნა	პირთა რაოდენობა			გარდამავლობა		რიცხვი		დრო			კილო			ასპექტი	
	ერთპირიანი	ორპირიანი	სამპირიანი	გარდ.	გარდაუკ.	მხ.რ	მრ.რ	ახლანდელი	წარსული	მომავალი	ბრძანებითი	თხოვრებითი	კავშირებითი	სრული	უსრული
ააღწევდა	+	-	-	-	+	+	-	-	+	-	+	-	-	+	-
დაჰყვებოდა															
მოთვლის															
შეებრძლოა															
დაძლია															
მიაპობდა															
მიიწევდა															

ელექტრონულ ჟურნალში mastsavlebeli.ge არის რამდენიმე ძალიან საინტერესო, საჭირო და გამოსაყენებელი სტატია გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით, ამ სტატიებში ყურადღება გამახვილებულია ფუნქციური გრამატიკის სწავლებაზე. როგორც წესი, აღნიშნულ სტატიებში განხილული გრამატიკული საკითხები დამუშავებული და მოწოდებულია თანამედროვე მეთოდებით, სტრატეგიებით, აქტოვობებითა და კოგნიტური სქემებით.

მაგალითად ვხვდებით ასეთ სტატიას **„პრაქტიკული გრამატიკის სწავლება სააზროვნო სქემებით“**, რომლის ავტორიც გახლავთ ნინო მასურაშვილი, ავტორი გვიხსნის თუ როგორ ასწავლის ენას მხოლოდ სქემების გამოყენებით და აღნიშნავს: „ენა მეცნიერებაა და მხოლოდ ლოგიკასა და გაგებაზე ვერ იქნება დამყარებული, აუცილებელია გარკვეული ცოდნის დამახსოვრება. სქემა თუ დიაგრამა საშუალებას იძლევა, მინიმალური ვერბალური მარაგით უფრო თვალსაჩინოდ და გასაგებად ავხსნათ ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური საკითხები“.


5.3



ავტორი გვთავაზობს, რომ გარკვეული ცოდნის დაგროვების შემდეგ შეგვიძლია მოსწავლეებს დავავალოთ თავად შექმნან ასეთი სქემები, მაგალითად რეფლექსიის სახით, შეაჯამონ ნასწავლი მასალა და სქემატურად წარმოადგინონ.

„სქემით ან დიაგრამით შესაძლებელია შემაჯამებელ ან მიმდინარე ნაწერში დაშვებული შეცდომების კლასიფიცირება. თუ სამიზნე ზეპირმეტყველებაა, მოსმენის შედეგად ჩანიშნული ხარვეზების მიხედვით შეუძლიათ მყისიერად ააგონ მოსახერხებელი და მარტივი სქემა ნებისმიერი ფორმით და დიზაინით. განზოგადება, აღქმა, გაანალიზება, ასე უფრო მარტივია.“

5.4



კიდევ ერთი საინტერესო სტატია გახლავთ ნინო ლომიძის „გრამატიკის რევიზია უიმორის საშუალებით“ სტატიაში არის ასეთი აქტივობა „**გამონაკლისის დამახსოვრების სავარჯიშო**“

„სავარჯიშო გამომიყენებია ირიბი ობიექტის ნიშნების შესწავლის დროს. როგორც ცნობილია, ირიბი ობიექტის ნიშნებს დაირთავს ზმნა, რომელიც შეიწყობს ირიბ ობიექტს, თუმცა წესიდან რამდენიმე გამონაკლისიც არსებობს. ეს ის ზმნებია, რომლებსაც ირიბი ობიექტი არ შეეწყობა, მაგრამ ს- და ჰ- პრეფიქსის დართვა მაინც სავალდებულოა.

ეს ზმნებია: გასტანს, გამოსცემს, გასცემს, გასწევს, ასწევს, სჩადის, დასძენს, დაჰყო (დრო).

გამონაკლისი ზმნების გაცნობის და წესების გააზრების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ პატარა ამბავი, რომელშიც გამოყენებული იქნება ყველა დასახელებული ზმნა. ისინი შეზღუდულები არ არიან არც ჟანრში, არც თემატიკაში, არც მოცულობაში. ერთადერთი პირობაა, ისეთი ამბის (სიუჟეტის) მოფიქრება, სადაც ყველა ზმნა „იმონაწილეებს“. შედეგად, საჭირო დროს მოსწავლეებს აუცილებლად გაახსენდებათ თავისივე მოფიქრებული მოთხრობა, ისინი ადვილად აღიდგენენ სიუჟეტის მეშვეობით ზმნებს და უშეცდომოდ გამოიყენებენ დასახელებულ სიტყვებს. უნდა აღვნიშნო, რომ არაერთი საინტერესო, მოულოდნელი და მხატვრულად ღირებული ტექსტი წამიკითხავს ამ ზმნების გამოყენებით.“

იგივე სავარჯიშო ავტორს გამოყენებული აქვს კუმშვად-კვეცადი სახელების დამახსოვრების მიზნითაც.

შემდეგი სტატია, რომელსაც გთავაზობთ ეს არის თამთა დოლიძის „**ქართული ენის გაკვეთილები: ზმნისწინი**“ სტატიაში ავტორი გვთავაზობს საინტერესო და ძალიან მხიარულ აქტივობას ზმნისწინის სხვადასვა ფუნქციის გასაცნობად.

„ზმნა გრამატიკის, ასე ვთქვათ, ყველაზე მსუყე ნაწილია, თუმცა დაწყებით საფეხურზე მისი სწავლა ფაქტობრივად არ სცდება მოქმედების მიმართულებას, ზმნის ცვალებადობაზე დაკვირვებას, სხვადასხვა დროსა და პირში მის ჩასმას.

წარმოიდგინეთ, რომ შედიხართ მესამე ან მეოთხე კლასში და თქვენი გაკვეთილის თემა ზმნისწინია. პირადად მე პირველივე მცდელობის დროს მივხვდი, რომ დაფაზე

ჩამოწერილი თავსართების დასწავლა მხოლოდ დროებით შედეგს გამოიღებდა, ამიტომ მოსწავლეთა ნაწილი ე.წ. მხარნაქცევ ზმნებად ვაქციე, ნაწილს კი მათთვის გეზის შეცვლა დავავალე. „ზმნისწინები“ გზააზნეულ მოქმედებებს მიმართულებას უცვლიდნენ. მოსწავლეები ხან ერთი „ნაპირიდან“ მეორეზე გადახტნენ, ხან კი მაგიდის ქვეშ შეძვრნენ-გამოძვრნენ... ასე გამოიკვეთა ზმნისწინის მთავარი დანიშნულება – მიმართულების მართვა.

ზევიდან ქვევით: და/ჩა (და/ჩა – ვარდა; და/ჩა-ხტა, და/ჩა-ენარხცა, და/ჩა -ასხა...)

ქვევიდან ზევით: ა/ამო (ა/ამო-ვიდა, ა/ამო-ვარდა, ა/ამო-ვიდა, ა/ამო-იყვანა...)

გარედან შიგნით: შე/შემო (შე/შემო-ვიდა, შე/შემო-ვარდა, შე/შემო-იარა...)

შიგნიდან გარეთ: გა/გამო (გა/გამო-ვიდა, გა/გამო-იხედა, გა/გამო-ვიდა...)

მოსწავლეებმა ისიც დაიმახსოვრეს, რომ ზმნისწინი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის ნაწილია და ის სიტყვის თავში უნდა ვეძებოთ.

აქტივობის დასასრულს მოქმედების დაწყებისა და გაგრძელების ადგილის გარკვევა აღარავის უჭირდა.

მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების თავსართების გამოყოფითა და მათზე დაკვირვებით მოსწავლეებმა ზმნისწინების კლასიფიკაციაც შეძლეს. გაირკვა, რომ ზმნისწინი ორი ტიპისაა – მარტივი და რთული, ამასთან, რთული ზმნისწინები მარტივებზე „მო“-ს დართვით მიიღება (ა-მო, ჩა-მო, შე-მო, გა-მო, წა-მო, გად-მო...)

ამის შემდეგ დაფაზე არეულად ჩამოვწერე ზმნები, რომლებიც საერთოდ არ დაირთავს ზმნისწინს (უყვარს, აქვს, ჰყავს და სხვ.), მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც ზმნისწინის გარეშე არ გამოიყენება (მოდის, გავიგე, გადაფრინდა და სხვ.) და ზმნები, რომლებიც ზმნისწინითაც და მის გარეშეც გვხვდება. მათი საერთო ნიშნებით დაჯგუფების შემდეგ მოსწავლეები თავადვე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არსებობს:

ზმნები, რომლებიც საერთოდ არ დაირთავს ზმნისწინს;

ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდ არ გამოიყენება;

ზმნები, რომლებსაც შეუძლია, ზმნისწინი დაირთოს ან არ დაირთოს.

ვფიქრობ, მოსწავლეებს აუცილებლად დააინტერესებთ ზმნის ქცევის კვლევა, რადგან თავსართები, მოქმედების მიმართულებასთან ერთად, დროზეც მოქმედებს.

ზოგი ზმნისწინი მოქმედების დასრულებაზე მიუთითებს, ზოგი კი მოქმედების პროცესს აღწერს.

დაფაზე ჩამოვწერთ ზმნის წყვილებს, მაგალითად:

ვხატავ / დავხატე

ვდებ / დავდე

ვამზადებ / გავამზადე

პირველ მწკრივში ჩამოთვლილი მოქმედებები დაუსრულებელია, მეორეში – დასრულებული, შესაბამისად, მოქმედება სხვადასხვა დროში მიმდინარეობს. შეგვიძლია, ზმნები ერთმანეთში ავურიოთ და მოსწავლეებს მათი საერთო მახასიათებლების მიხედვით დალაგება ვთხოვოთ, მერე კი სიტყვის შინაარსზე დაკვირვების საშუალებაც მივცეთ.

ზმნისწინი აწმყოს ფორმებისგან მომავალ დროსაც აწარმოებს, მაგალითად:

ხატავს –> დახატავს

შლის –> წაშლის

წერს –> დაწერს

ზმნისწინს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლაც შეუძლია, მაგალითად:

მო-იგო (თამაში) –> გა-იგო (ამბავი)

ჩა-აგო (ხმალი ქარქაშში) –> წა-აგო (თამაში) –> და-აგო (ლოგინი)

მიმაჩნია, რომ წარმოდგენა, თითქოს გრამატიკის გაკვეთილები აუცილებლად რთული და მოსაწყენი უნდა იყოს, ნელ-ნელა აუცილებლად შეიცვლება, თუ ენობრივ მასალას სახალისო აქტივობებით და ნოვაციური მიდგომებით გავამდიდრებთ.“<sup>3</sup>

---

<sup>3</sup> <http://mastsavlebeli.ge/?p=12878>

## VI თავი

### მცირე მეთოდოლოგიური გზამკვლევი

გთავაზობთ ჩვენ მიერ შეთავაზებულ სანიმუშო აქტივობებს მასწავლებლებისათვის, ქვემოთ მოცემული აქტივობები კვლევის პროცესში გადავამუშავეთ და ჩვენებურად მოვარგეთ კონკრეტულ საკითხს.

მასწავლებლებს თვისუფლად შეუძლიათ გადააკეთონ და მოარგონ საკუთარ გაკვეთილს ასახსნელი მასალის მიხედვით.

#### 1. ფერადი ბარათები გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების სწავლებისას:

##### *აქტივობის აღწერა:*

მასწავლებელი წინასწარ გაამზადებს ორი ფერის ფორმატის ფურცელს, ამზადებს ასევე პატარა ფურცელზე წვრილი ასოებით დაწერილ ზმნებს, გარდამავალსა და გარდაუვალს, დაკეცავს და ჩაყრის ყუთში, მოსწავლეები მორიგეობით მიდიან იღებენ ზმნებს, პირობითად თითო ბავში იღებს 6 პატარა გაკეცილ ფურცელს, ანუ 6 ზმნას, ჯდება და ფორმატის ფურცელზე, რომელსაც აქვს ორი გრაფა, მწვანე მხარეს აკრავს გარდამავალ ზმნებს, ხოლო წითელ მხარეს გარდაუვალ ზმნებს, ზმნების რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე, მასწავლებლის სურვილზე და დროის ფაქტორზე. ზმნებს შერჩევით ამოიღებენ მოსწავლეები, ისე რომ ვერ ხედავენ რა წერია ფურცელზე.

მაგალითად, ყუთში ჩაყრილი ზმნები შეიძლება იყოს შემდეგი: წერს, დახატა, ეფერება, შეუკერა, ჩანს, ეზრდება, ეთამაშა, ეალერსება, ზრდის, მიუტანა, გადააგდო, იცინის, ცხოვრობს, ჭამს, გდია, სცემს, უყვება, შეუჭამა, დაუუთოვა, უვარჯიშია.

- ისე რომ ყუთში მოთავსებული ზმნები იყოს ყველა ტიპის.

*აქტივობის მიზანი:* აქტივობის მიზანია, სწორად დააღაგონ ზმნები, თუ ამას სწორად მოახერხებს მოსწავლე ეს ნიშნავს, რომ მან იცის სწორად პირების შეწყობა, იცის რამდენპირიანი ზმნა არის გარდამავალი და რამდენპირიანი გარდაუვალი, იცის ორპირიანი ზმნის შემთხვევაში როდის არის ზმნა გარდამავალი და როდის გარდაუვალი, იცის ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, იცის გარდამავლობის მნიშვნელობა ქართულის ზმნის შემთხვევაში. აქტივობა არის სახალისო და მრავალფეროვანი,

ვინაიდან აქვს თამაშის ფორმა და არის ფერადი, რაც მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას ზრდის.

**2. თავისებური ზმნებისა და პირის ნიშნების სწავლება ერთობლივად ჩასმის ხერხის გამოყენებით: (გახსენება/შეჯამება):**

*აქტივობის აღწერა:*

მასწავლებელი წინასწარ ადგენს რამდენიმე წინადადებას, დავუშვათ 5-7 -ს, რომლებშიც გამოტოვებულია ზმნის ადგილი, მოსწავლემ სათანადო სწორი ფორმით უნდა ჩასვას სიტყვა. ჩასასმელი ზმნები მოცემულია წინადადებების თავში.

მაგალითად: მოცემული ზმნები და წინადადებები შეიძლება იყოს ასეთი: თქმა, მიცემა, არის, გდია, ასხია, მოკვდა, ვარდება.

1. ჩემს ძმას ....., რომ სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ჩემთან გამოველო.
2. ნიკას მამა ყოველ დღით 5 ლარს .....
3. ოცი წლის შემდეგ ჩვენ აუცილებლად ..... ერთად.
4. ნინოს ოთახში ჭუჭყიანი ტანსაცმელი აქეთ-იქით .....
5. ეზოში მდგარ ვაშლის ხეს მხოლოდ ერთი ცალი ვაშლი .....
6. ბებიას წიწილები სულ .....
7. შემოდგომით ხეებს ფოთლები .....

*აქტივობის მიზანი:* მოსწავლეები ერთდროულად მოახერხებენ, როგორც პირის ნიშნების სწორი ფორმით გამოყენებას ასევე თავისებური ზმნების მართლწერის წესების გახსენებას.

**3. ზმნისწინის სწავლება კომიქსით**

*აქტივობის აღწერა:*

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს კომიქსის დახატვას და სთხოვს ნასწავლი ზმნისწინების გამოყენებას. მაგალითად, მოსწავლეებმა უნდა შექმნან კომიქსი ისეთი სიუჟეტით, რომელშიც გამოყენებული იქნება ზმნისწინი სხვადასხვა ფუნქციით, მაგალითად, მიმართულების გამოხატვა.

*აქტივობის მიზანი:* ეს აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარის განვითარებას, სახალისო თვალსაჩინოების მეშვეობით მოსწავლეები უფრო კარგად გაიაზრებენ ზმნისწინის ფუნქციას. ეს აქტივობა არის თანამედროვე

მოსწავლეებისათვის, რაც ხელს უწყობს მოტივაციის გაზრდასა და ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

#### **4. გვარის სწავლება ჯგუფური სამუშაოს მეთოდით (პროექტით სწავლება)**

##### ***აქტივობის აღწერა:***

მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად, უკვე შესწავლილ გვარს უნაწილებს: 1-ლი ჯგუფი- მოქმედებითი გვარი, მე-2 ჯგუფი- ვნებითი გვარი, მე-3 ჯგუფი- საშუალო გვარი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დიდი ფორმატის ფურცელზე ჩამოწერონ ძირითადი საკითხები სათანადო გვარის შესახებ, ასევე პრობლემური მონაკვეთები და მაგალითები. შემდეგ შექმნილი რესურსი უნდა წარუდგინონ ერთმანეთს და კლასში გამოაკრან. აღსანიშნავია, რომ ამ აქტივობის წინ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს შეფასების კრიტერიუმების, როგორებიცაა: მასალის ფლობა, ვიზუალური მხარე, შემოქმედებითობა და პრეზენტაციების უნარი. თითოეულ კრიტერიუმს ექნება შესაბამისი ქულა, აქტივობის ბოლოს ჯგუფები თავადვე შეაფასებენ ერთმანეთს და დაუწერენ ქულებს.

***აქტივობის მიზანი:*** აქტივობის მიზანია, გვარის სრულად გაგება-გააზრება, ინფორმაციის გენერირება, ამასთანავე ეს აქტივობა ხელს უწყობს სხვადასხვა უნარების განვითარებას, როგორიცაა: შემოქმედებითი უნარი, ჯგუფში მუშაობის უნარი, პრეზენტაციების უნარი, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება კი ხელს უწყობს თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების უნარის განვითარებას. მოსწავლეები ობიექტურად აფასებენ, როგორც საკუთარ თავს ასევე თანაკლასალებს. ასევე ჯგუფში თემაზე მუშაობისას სწორად განსაზღვრავენ მოკლედ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფასა და ფორმატზე გადმოტანას ისე, რომ თვალსაჩინო და ამომწურავი იყოს.

#### **5. ქცევა ბარათებით სწავლება**

##### ***აქტივობის აღწერა:***

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს, რომელზეც ჩამოწერილია ზმნები სხვადასხვა ქცევის ფორმით: სასხვისო, სათავისო, საარვისო, პარალელურად დაფაზე ჩამოკიდებულია ეგრედწოდებული ჯიბეები, რომლებიც შეგვიძლია



ქალაქისგანაც დავამზადოთ, მოსწავლეები ორი წუთის განმავლობაში ფიქრობენ, ბარათებს უკან აწერენ სახელს და გვარს და შესაბამის ჯიბეში აგდებენ, შემდეგ მასწავლებელი ჩამოხსნის ამ ჯიბეებს და მოსწავლეებთან ერთად დაახარისხებს, შემდეგ დაიწყება განხილვა, ვინ შეძლო და სწორად მოათავსა ბარათები სამივე ჯიბეში.

**აქტივობის მიზანი:** ამ აქტივობის მიზანია ქცევის სწავლება თამაშით, განსხვავებული მიდგომა, როგორც წესი მოსწავლეებს უფრო მეტად ახალისებთ, ახალი მასალის ახსნა ხდება უფრო დინამიური, ერთი შეხედვით უბრალოდ დასასწავლი მასალა, რომელიც რეალურად უნდა დაიზიპირო ბევრად უფრო საინტერესოდ მიეწოდებათ.

### 6. ზმნის გარჩევის სწავლება წერილით

#### აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს მისწერონ წერილი მათთვის სასურველ ობიექტს, დაიცვან წერილის სტრუქტურა, ოღონდ ისე რომ ამ წერილში წერილის ობიექტს აუხსნან როგორ ხდება ზმნის გარჩევა, ასე ვთქვათ ასწავლონ ზმნის გარჩევა.

**აქტივობის მიზანი:** აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ და სხვას აუხსნან ზმნის გარჩევა, პარალელურად იცავენ და იხსენებენ წერილი სწერის სტრუქტურას. ამ აქტივობის დადებითი მხარე ის გახლავთ, რომ როდესაც სხვას ასწავლი შენ სწორედ მაშინ სწავლობ ყველაზე კარგად, გარდა ამისა აქტივობა განსხვავებულია და ძალიან სახალისო მოსწავლეებისათვის.

### 7. ტაბულა სერიებისა და მწკრივების სწავლებისას

#### აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეავსონ მოცემული ტაბულა.

საწყისი	აწმყოს მწკრივი	უწყვეტ ელი	აწმყოს კავშირები თი	მყოფადი	ხოლმეო ბითი	მყოფადის კავშირები თი	წყვეტი ლი	მეორე კავშირები თი	I თურმეობი თი	II თურმეობი თი	III კავშირები თი
			ვხატავდე								
								შევჭამო			
					ვიმღერე ბდი						
სწავლა										მესწავლა	

*აქტივობის მიზანი:* ეს ტაბულა მოსწავლეებს ეხმარება საკითხის შეჯამებაში. ერთი მხრივ უკვე ნასწავლი მასალა უნდა გადაიტანონ ტაბულაში, მეორე მხრივ ხდება ნასწავლი ცოდნის სქემატურად წარმოდგენა.

## კვლევითი ნაწილი

### კვლევის ზოგადი აღწერა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამაგიდე კვლევის პროცესში მისი თვისებრივი ვარიანტით ვიხელმძღვანელო. კვლევის შემდეგ ეტაპზე კი, იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა სუბიექტური ინტერპრეტაცია, გამოვიყენეთ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან. ვფიქრობთ, იმ მასწავლებლების მოსაზრებები, რომლებიც წლების განმავლობაში ასწავლიან გრამატიკას სკოლებში და პრაქტიკაში იყენებენ ზმნის სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს საშუალებას მოგვცემს მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვექმნას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

### კვლევის დიზაინი და მეთოდი

საკითხის შესწავლისთვის გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. რესპონდენტებად მიზნობრივად შეირჩენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებლები, თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობის მიერ კონფიდენციალურობის მოთხოვნის გამო, თავს ვიკავებთ მათი ვინაობის დასახელებისგან. რაც შეიძლება მეტი თვისებრივი მონაცემის შეგროვების მიზნით გვსურდა, მასწავლებელთა მაქსიმალური რაოდენობისგან ინფორმაციის მიღება, თუმცა გარკვეული მიზეზებიდან (დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ არ „ცნობდა“, არ იყენებდა ზმნის სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს და, შესაბამისად, უარს ამბობდნენ კვლევაში მონაწილეობაზე, ზოგი მუდმივად მოუცლელი იყო და ა.შ.) გამომდინარე მხოლოდ 35 მასწავლებლის გამოკითხვა მოხერხდა. კვლევის შეზღუდვა იყო ისიც, რომ იმ სკოლების გარდა, რომლებთანაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მემორანდუმი აქვს გამფორმებული, ფაქტობრივად, არც ერთ სკოლის დირექტორს არ სურდა კვლევაში მონაწილეობა. დაბოლოს, კვლევის ყველაზე დიდი შეზღუდვაა ის, რომ როცა დირექტორები იგებდნენ ჩვენი კვლევის მიზანს, ცდილობდნენ, მხოლოდ იმ პედაგოგებს გავსაუბრებოდით, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე კარგად ფლობდნენ საკითხს. დირექტორის უშუალო ნებართვის (და მასთან

შეთახმების) გარეშე კი, თითქმის არც ერთი მასწავლებელი არ იყო თანახმა ჩვენთან ინტერვიუზე.

ინტერვიუს დღებითი მხარე ისაა, რომ გამოკითხვის დროს ვსამდით საორიენტაციო კითხვებს და თუ საჭიროება მოითხოვდა დამატებით კიდევ ისმებოდა შეკითხვები საკითხის უკეთ გააზრებისთვის.

გთავაზობთ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს კითხვარს, რომელიც გამოვიყენეთ საორიენტაციო კითხვებისათვის:

1. რა ინფორმაციას ფლობთ სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ? თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე გაგვიზიარეთ რა მიმართებები არსებობს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებს/სტრატეგიებს შორის? რომელს ანიჭებთ უპირატესობას ტრადიციულ თუ ინოვაციურს? რატომ?
2. თქვენი სასწავლო გამოცდილებიდან გამომდინარე, რომ გვითხრათ სასწავლო პროცესში როდის რომელი მეთოდი/სტრატეგიაა მეტად უპირატესი **ტრადიციული თუ ინოვაციური?**
3. გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, კონკრეტულად სწავლების რომელ სტრატეგიებს მიდგომებს იცნობთ ზმნის სწავლებისას?
4. როგორც წესი, კათედრები თავად თანხმდებიან კონკრეტულ რუბრიკებზე. რომ გაგვიზიაროთ, რა კონკრეტული რუბრიკები, სქემები, მეთოდები, სტრატეგიები ან რეკომენდაციები აქვს შემუშავებული თქვენს სკოლას, ანუ თუ გაქვთ რაიმე ერთიანი მიდგომა?

და თუ აქვს თქვენს სკოლას ეს ერთიანი მიდგომა ზმნის სწავლებისათვის?

5. თქვენი დაკვირვებით უფრო მეტად რომელ მეთოდს/სტრატეგიას ტრადიციულს თუ ინოვაციურს გაჰყავს მასწავლებელი მიზანზე ზმნის სწავლებისას?
6. თუ შეგიძლიათ, რომ გაგვიზიაროთ როგორ იყენებთ თქვენ მიერ შემუშავებულ მეთოდებს/სტრატეგიებს ზმნის სწავლებისას?

როგორია ამ მხრივ თქვენი მეთოდური გამოცდილება

თქვენ როგორ ასწავლით ქცევას?

თქვენ როგორ ასწავლით კონტაქტს?

- თქვენ როგორ ასწავლით ასპექტს?
- თქვენ როგორ ასწავლით ზმნისწინს?
- თქვენ როგორ ასწავლით სერიებსა და მწკრივებს?
- თქვენ როგორ ასწავლით პირსა და რიცხვს?
- თქვენ როგორ ასწავლით დროს?
- თქვენ როგორ ასწავლით კილოს?
- თქვენ როგორ ასწავლით ფუმეს, თემასა და ძირს?
- თქვენ როგორ ასწავლით გარდამავლობას?
- თქვენ როგორ ასწავლით გვარს?
- თქვენ როგორ ასწავლით უღლებას?
- თქვენ როგორ ასწავლით თავისებურ ზმნებს?
- თქვენ როგორ ასწავლით სახელზმანს?

მოდი ერთად ვიფიქროთ თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე რომელი სტრატეგიები ან აქტივობები გაგვიყვანს უკეთეს შედეგზე?

1. არსებობს ცნობილი მეთოდები/სტრატეგიები, თქვენ თუ შეგიცვლიათ თქვენებურად რომელიმე მათგანი ან თუ შეგიქმნიათ თავად ზმნის სწავლებისას? გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება
2. როგორც წესი, ზმნის სწავლების პროცესში, რომელია ყველაზე გავრცელებული პრობლემა, რომელსაც თქვენ ყველაზე ხშირად აწყდებით სწავლებისას?
3. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად?
4. როგორ გგონიათ, თქვენ მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები/სტრატეგიები რამდენად ეხმარება მოსწავლეს მიღებული გრამატიკული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენოს?

წარმოგიდგინთ კვლევის შედეგების თვისებრივ ანალიზს:

გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები ერთმანეთს არ გამოირიცხავდა, მათი გამოყენება კომბინირებულად გაცილებით უფრო ნაყოფიერია და ასევე იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენება დამოკიდებული იყო, ასახსნელ

მასალასა და გაკვეთილის ფაზებზე. ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ ტრადიციული მეთოდების ერთგული გახლავთ, მასწავლებლების მხოლოდ მცირე ნაწილისთვის იყო ინოვაციური მეთოდები უპირატესი.

ინტერვიუს პროცესში უშუალოდ უნდა დაესახელებინათ კონკრეტული აქტივობა, გზა, ხერხი, სტრატეგია, მიდგომა, რომელსაც იყენებდნენ **ზმნის** სწავლების პროცესში. ძირითადად მასწავლებელთა უმეტესობას უჭირდა კონკრეტიზება, ზოგიერთმა კი შემლო პასუხის გაცემა. გთავაზობთ მათ პასუხებს:

*„ქცევის სწავლებისას ან ზოგადად ზმნის სწავლებისას ძალიან კარგია ლიტერატურული ტექსტის მოშველება, მაგალითად ქცევის სწავლებისას ტექსტში მოყვანილ ზმნებს უნდა დავაკვირდეთ ვისთვის ხდება მოქმედება, შემდეგ სქემატურად შეგვიძლია ეს ზმნები ჩამოვწეროთ და დავაკვირდეთ რა განსხვავებაა მათ შორის“*

*„ზმნასთან დაკავშირებით კარგად ამართლებს კროსვორდი, სულაც არ არის აუცილებელი ჰორიზონტალურად იყოს ზმნა, გვერდები უნდა ივსებოდეს ზმნებით“*

*„გრამატიკულ საკითხზე კროსვორდი, ბარათებით მუშაობა, გვირილის ფურცლები, მზის სხივი,“*

*„ზმნის სწავლებისას ვიყენებ პირამიდას, ანაგრამას, სიტყვის ჯაჭვს“*

*„ხშირად ვიყენებ კოგნიტურ სქემებს, ვმუშაობ ბარათებზე“*

*„ვაკეთებ ჩამონათვალს, შეავსე, დაუკავშირე, ჩასვი“*

*„ ზმნის სწავლებისას თამაშით სწავლება, გაკვეთილზე ადგომა-დაჯდომის სახით, მოქმედებასა და მდგომარეობას გამოხატავს“*

*„მაგალითად მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები რომლებზე სამივე ქცევის ბარათებია გადანაწილებული, პირობითად ააშენა, აიშენა, აუშენა და ქცევის მიხედვით უნდა დააჯგუფოს“*

*„ჯგუფში მუშაობა T დიაგრამის სახით ფურცლებზე გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების დახარისხება“*

*„ოთახში მიმოხეული იყო მოქმედებითი გვარისა და ვნებითი გვარის ზმნები მოსწავლეებს უნდა მოეძებნათ და დაეჯგუფებინათ დაფაზე“*

*„ჯგუფებს უნდა მიეწერათ კონკრეტული პირისთვის წერილი, სადაც უნდა მოეკითხათ მეგობარი და უნდა ესწავლებინათ როგორ უნდა გაარჩიო ზმნა, უნდა*

აეხსნათ, საინტერესო ის იყო რომ აქვთ შეფასების კრიტერიუმები: წერილის შინაარსი წერილის ფორმა, ენობრივი მხარე და ზმნის გარჩევა“

„ულლების სწავლებისას მოსწავლეებს ვთხოვდი ერთი და იმავე სიტყვის მოძებნას ტექსტში, შემდეგ ვაკვირდებოდი ფორმის ცვალებადობას და ვხსნიდით ულლებას შემდეგ დაფაზე ვაწერინებდი სიტყვებს და ნახავდნენ რა განმასხვავებელი ნიშნები იყო ამ ფორმებს შორის და რა ჰქონდათ საერთო, და შემდეგ მიდიოდნენ დასკვნამდე, რომ ეს იყო ულლება“

„ზმნის ახსნისას ვიყენებ როლურ თამაშებს“

„ჯგუფური მუშაობა, ზმნების საშუალებით წინადადებები უნდა შეადგინონ“

„ინდივიდუალური დავალება ტექსტში მოძებნონ ზმნები მხოლოდ აწმყო დროში“

„თამაშებს ვიგონებ სხვადასხვა მეტყველების სწავლებისას, მაგალითად მერვე კლასეში შემაჯამებელ დავალებად გამოვყავი სამი კლასი და თითოეულ ჯგუფს ჰქონდა ათლარიანი ბიუჯეტი, უნდა ეყიდათ საკანცელარიო ნივთები და უნდა შეექმნათ სასწავლო რესურსი, ერთმა ჯგუფმა შექმნა გრამატიკული დაფა გააკეთეს 35 ბარათი მიაწებეს დაფას და ზედ ჩამოწერეს თავისებური ზმნები, რიცხვში მონაცვლე, პირშიი მონაცვლედა ფუძედრეკადი ზმნები. მეორე ჯგუფმა სკივრივით დაამზადა, რომელსაც სამი ფანჯარა ჰქონდა და სამი ზმნა ჰქონდა მიწებებული და თუ ამოიცნობდნენ სწორად გარდამავალი იყო თუ გარდაუვალი, რაღაც ტკბილეულით დააჯილდოვებდნენ“

„ჯგუფური მუშაობა, ზმნების საშუალებით წინადადებები უნდა შეადგინონ“

„ინდივიდუალური დავალება ტექსტში მოძებნონ მოძებნონ ზმნები მხოლოდ აწმყო დროში“

როგორც წესი კათედრები თავად თანხმდებიან სწავლების ერთიან მიდგომებზე, მასწავლებლებს ვეკითხებოდიტ ჰქოდათ მათ ერთიანი მიდგომა ზმნის სწავლებისთვის? აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად არცერთ სკოლაში არ არსებობს ზმნის კატეგორიის სწავლების ერთიანი მიდგომა, რითაც იხელმძღვანელებენ მასწავლებლები. უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი მიდგომის არქონა, მნიშვნელოვნად

განსაზღვრავს, იმას, რომ სკოლებში გრამატიკის სწავლება არასისტემური და ქაოტურია.

აბსოლიტური უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ესგ-თი გათვალისწინებულ მიზნებზე გაჰყავდა ტრადიციულსაც და ინოვაციურსაც ერთად, დამოკიდებული იყო ასახსნელ მასალაზე, მათგან რამდენიმე ფიქრობდა, რომ მიზანზე მხოლოდ ინოვაციურ მეთოდს გაჰყავდა, რადგან ინოვაციური მეთოდებით ჩატარებული გაკვეთილები იყო უფრო მეტად სახალისო და საინტერესო. რაც შესაბამისად იწვევდა მოსწავლეების აქტიურობას და ჩართულობას.

მასწავლებლებს ვეკითხებოდით, რომელი იყო ყველაზე მეტად გავრცელებული პრობლემები, მასწავლებელთა უმეტესობა ასახელებდა: **პირის ნიშნებს, თავისებურ ზმნებს, სერიებსა და მწკრივს.**

ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებს ვკითხეთ, რა მექანიზმები ჰქონდათ შემუშავებული ამ პრობლემების გადასაჭრელად, შეიძლება ითქვას, რომ უმეტესობას არ გააჩნდა კონკრეტული ხედვა პრობლემის მოსაგვარებლად, მათგან ძალიან მცირე რაოდენობას ჰქონდა შემუშავებული კონკრეტული აქტივობები და მიდგომები ამ პრობლემების მოსაგვარებლად. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა თვლიდა, რომ მათ მიერ ნასწავლი თეორიული მასალა რეალიზდებოდა პრაქტიკაში, ისინი მაინც ასახელებდნენ პრობლემებს, რომლებიც მოსწავლეების უმრავლესობას ჰქონდა.



## დასკვნები:

- ✓ გრამატიკის სწავლებას საკანონმდებლო ბაზაში სათანადო ყურადღება არ ექცევა. ფორმულირებულია ძალზედ ზოგადად. გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ მასწავლებლებისთვის შეთავაზებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები საკმაოდ მწირია, ფაქტობრივად არ არსებობს თანამედროვე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, როგორც რაოდენობრივად, ასევე - ხარისხობრივად.
- ✓ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში საკითხების უმეტესობა ფაქტობრივად, დაუმუშავებელია. მაგალითად, როგორ უნდა ისწავლებოდეს ზმნის კონკრეტული კატეგორია, რომელი მეთოდით, ხერხით, აქტივობით არის შესაძლებელი ზმნის კატეგორიების სწავლება უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი და მისწავდომი მოსწავლეებისათვის. ხშირად ერთი შეხედვით კარგად დამუშავებული საკითხებიც კი ტოვებს გარკვეულ კითხვებს, მაგალითად, რომელ მეთოდს/სტრატეგიას გაჰყავს მასწავლებელი უკეთ მიზანზე.
- ✓ გარდა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების ნაკლებობისა და ხარვეზებისა, პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები ქართულ პედაგოგიურ სივრცეში სათანადოდ არ არის გააზრებული. მათზე წერენ ცოტას, იშვიათად და ხარვეზებით;
- ✓ დღემდე არ არსებობს ზმნის სწავლების ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომა და შესაბამისად მასწავლებლები ქაოტურად ასწავლიან; გამოკითხული მასწავლებლების უმრავლესობა არ იყენებს ზმნის სწავლების სქემებსა და რუბრიკებს; გამოკითხული მასწავლებლების უმრავლესობა არ იყენებს სპეციალურ აქტივობებსა და ინსტრუმენტებს ზმნის სწავლების პროცესში;
- ✓ პრაქტიკული კვლევის დროს გამოიკვეთა ტენდენცია: მასწავლებელთა საკმაოდ დიდ ნაწილს საერთოდ არ ესმის თანამედროვე სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით გრამატიკის სწავლება, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას უჭირს კონკრეტიზება, ანუ დაასახელება კონკრეტული აქტივობის, სტრატეგიის ან მეთოდის რომელიმე გრამატიკული კატეგორიის სწავლებისას. ბევრი მათგანისათვის ინოვაციური მეთოდები ასოცირდება უბრალოდ თამაშთან და ფიქრობენ, რომ რეალურად ცოდნას არ იძლევა, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი

ფიქრობს, რომ ინოვაციური მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლეებში ინტერესის აღძვრასა და მასალის შეგნებულად დასწავლას.

- ✓ პედაგოგიურ საზოგადოებას, ფაქტობრივად, არ აქვს საჭირო რესურსები. უმრავლესობას გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით არანაირი ტრენინგი არ გაუვლია. იგივე პრეტენზიები აქვთ მეთოდური ლიტერატურის მიმართაც. აღნიშნავენ, რომ არ არის საკმარისი საათობრივი დატვირთვა გრამატიკის სწავლებისას.
- ✓ სახელმძღვანელობის ანალიზმა გვაჩვენა, რომ მეთოდიკური თვალსაზრისით სახელების სწავლება არასისტემურია, თანამიმდევრობა დარღვეულია და არ მიჰყვება სწავლების ერთიან პრინციპს. ასაკთან შესაბამისობა არა არის გათვალისწინებული.
- ✓ პრობლემას ქმნის ასევე მოსწავლეთა რაოდენობა, მცირეკონტიგენტთან კლასებში უკეთ ხდება გრამატიკული მასალის მიწოდება, ვიდრე მრავალრიცხოვან კლასებში.

## რეკომენდაციები:

- ✓ საჭიროა შეიქმნას ესგ-ის ცენტრის, შეფასებისა და გამოცდების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფ. გან. ცენტრის ბაზებზე ერთიანი მაკოორდინირებელი მეთოდური გამოცემების რედკოლეგია, რომელიც ითანამშრომლებს სხვადასხვა საგნის სპეციალისტებთან და უზრუნველყოფს ამა თუ იმ საგანში ერთიანი, მეცნიერულად შემოწმებული მეთოდიკური პროდუქტის შექმნას, რომელიც გაითვალისწინებს როგორც სწავლების ისტორიულ გამოცდილებას და დაგროვილ ცოდნას, ისე გაამდიდრებს მეთოდიკურ პროდუქტს თანამედროვე კვლევების შედეგებზე დაფუძნებული უახლესი მეცნიერული მიღწევებით გაჯერებული სტრატეგიებითა და აქტივობებით.
- ✓ აუცილებელია შეიქმნას ისეთი მეთოდიკური გზამკვლევი, რომელიც სრულად მოიცავს ზმნის ყველა კატეგორიას და მასში მოცემული იქნება კონკრეტული საკითხისათვის შესაბამისი სტრატეგიები, სწავლების ხერხები, გზები, აქტივობები;
- ✓ ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, გადაისინჯოს ეროვნული სასწავლო გეგმა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- ✓ სახელმწიფომ მასწავლებლებს უნდა შესთავაზოს გაცილებით მეტი და უფრო დახვეწილი მეთოდიკური სახელმძღვანელო ზმნის სწავლებასთან დაკავშირებით;
- ✓ აუცილებელია სახელმძღვანელოების აგებისას საავტორო ჯგუფებმა იმუშაონ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს შინაარსობრივ მხარეზე, არამედ გაითვალისწინონ ისეთი მეთოდიკური საკითხები, როგორებიცაა ასაკთან შესაბამისობა, სიტემურობა და თანმიმდევრულობა, მარტივიდან რთულისკენ გადასვლა.
- ✓ საავტორო ჯგუფებმა უნდა გამოიყენონ თანამედროვე მეთოდებითა და აქტივობებით შედგენილი სხვადასხვა ტიპი სავარჯიშოები, რომლებიც იქნება გათვლილი სხვადასხვა ტიპი საააზროვნო უნარებზე.
- ✓ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ წახალისოს პროფესიული საზოგადოება, რომ გაცილებით მეტი სამეცნიერო ნაშრომი და სტატია შესთავაზონ მასწავლებლებს;
- ✓ სასურველია შემცირდეს მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში, რაც ხელს შეუწყობს გრამატიკის სწავლებისას ეფექტური მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებას.

- ✓ სასურველია გადაისინჯოს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობისათვის შექმნილი ტრენინგ-მოდულები, ექსპერტებისა და
- ✓ გარემონიტორების მხრიდან შემოწმდეს მათი შინაარსი და გადაცემის ფორმები

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანფიმიადი დ., გაბიჩვაძე ზ., ამირხანაშვილი ი., ქართული ენა და ლიტერატურა VII კლასი, გამომცემლობა „არტანუჯი“;
2. გაგუა, კ. „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდის საკითხები“, თბ., 1941;
3. გორდელაძე ნ., კუხიანიძე თ., ქართული ენა და ლიტერატურა II კლასი, სრული კომპლექტი. შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
4. გორდელაძე ნ., კუხიანიძე თ., ქართული ენა და ლიტერატურა III კლასი, სრული კომპლექტი. შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
5. გორდელაძე ნ., კუხიანიძე თ., ქართული ენა და ლიტერატურა IV კლასი, სრული კომპლექტი. შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.
6. გორდელაძე ნ., კუხიანიძე თ., ქიტოშვილი თ., ჩხენკელი გ., ქართული ენა და ლიტერატურა V კლასი, სრული კომპლექტი. შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
7. გორდელაძე ნ., კუხიანიძე თ., ქიტოშვილი თ., ჩხენკელი გ., ქართული ენა და ლიტერატურა VI კლასი, სრული კომპლექტი. შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
8. თალაკვაძე, მ. ქართული ენის სწავლების მეთოდისა, თბ., 1959;
9. თედორაძე, თ. თამაშების როლი გრამატიკის სწავლებისას, სამეცნიერო ჟურნალი ენა და კულტურა;
10. იაშვილი ი., ქისტაური ლ., მესხორაძე ნ., რაზმაძე ხ., მხეიძე ნ., აბესაძე მ., ქართული ენა და ლიტერატურა II კლასი, სრული კომპლექტი. შპს "გამომცემლობა ტრიასი";
11. იაშვილი ი., ქისტაური ლ., მესხორაძე ნ., რაზმაძე ხ., მხეიძე ნ., აბესაძე მ., ქართული ენა და ლიტერატურა III კლასი, სრული კომპლექტი. შპს "გამომცემლობა ტრიასი";
12. იაშვილი ი., ქისტაური ლ., მესხორაძე ნ., რაზმაძე ხ., მხეიძე ნ., აბესაძე მ., ქართული ენა და ლიტერატურა IV კლასი, სრული კომპლექტი. შპს "გამომცემლობა ტრიასი";
13. ლორთქიფანიძე, დ. დიდაქტიკა, განვითარებისა და სწავლების თეორიები, თბ., 1981;
14. მაღლაკელიძე, ნ. ქართული ენის სწავლების მეთოდისა/დიდაქტიკა I-VI კლასები, თბ., 2013;

15. მაღლაკელიძე, ნ. გრამატიკის როლი ქართული ენის სწავლების სისტემაში, სამეცნიერო ჟურნალი ენა და კულტურა;
16. მაღლაკელიძე ნ., ყურაშვილი ც., მაღლაკელიძე ე., ნადირაშვილი ი., მეხაშიშვილი ს., ქართული ენა და ლიტერატურა II კლასი, სრული კომპლექტი. შპს „გამომცემლობა მერიდიანი“;
17. მაღლაკელიძე ნ., ყურაშვილი ც., მაღლაკელიძე ე., ნადირაშვილი ი., მეხაშიშვილი ს., ქართული ენა და ლიტერატურა III კლასი, სრული კომპლექტი. შპს „გამომცემლობა მერიდიანი“;
18. მაღლაკელიძე ნ., ყურაშვილი ც., მაღლაკელიძე ე., ნადირაშვილი ი., მეხაშიშვილი ს., ქართული ენა და ლიტერატურა IV კლასი, სრული კომპლექტი. შპს „გამომცემლობა მერიდიანი“;
19. მაღლაკელიძე ნ., ღონღაძე თ., ღონღაძე ნ., ცხადაია თ., კვანჭიანი დ., ჯაში ნ., თოდუა ნ., კუცია ნ., ქართული ენა და ლიტერატურა, VIII კლასი, სრული კომპლექტი. შპს „გამომცემლობა მერიდიანი“;
20. მაღლაკელიძე ნ., ღონღაძე თ., ღონღაძე ნ., ცხადაია თ., კვანჭიანი დ., ჯაში ნ., თოდუა ნ., კუცია ნ., ქართული ენა და ლიტერატურა, IX კლასი, სრული კომპლექტი. შპს „გამომცემლობა მერიდიანი“;
21. როდონაია ვ., ნაკუდაშვილი ნ., არაბული ა., ხუციშვილი მ., ქურციკიძე ე., ქართული ენა და ლიტერატურა, V კლასი, სრული კომპლექტი. შპს „გამომცემლობა სწავლანი“;
22. როდონაია ვ., ნაკუდაშვილი ნ., არაბული ა., ხუციშვილი მ., ქურციკიძე ე., ქართული ენა და ლიტერატურა, VI კლასი, სრული კომპლექტი. შპს „გამომცემლობა სწავლანი“;
23. როდონაია ვ., ნაკუდაშვილი ნ., არაბული ა., ხუციშვილი მ., ქურციკიძე ე., ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასი, სრული კომპლექტი. შპს „გამომცემლობა სწავლანი“;
24. როდონაია ვ., ნაკუდაშვილი ნ., არაბული ა., ხუციშვილი მ., გიგინეიშვილი მ., გრიგოლაშვილი ლ., დათაშვილი ლ., ქართული ენა და ლიტერატურა, VIII კლასი, სრული კომპლექტი. შპს „საგამომცემლო სახლი სწავლანი“;

25. როდონაია ვ., ნაკუდაშვილი ნ., არაბული ა., ხუციშვილი მ., გიგინეიშვილი მ., გრიგოლაშვილი ლ., დათაშვილი ლ., ქართული ენა და ლიტერატურა, IX კლასი, სრული კომპლექტი. შპს „საგამომცემლო სახლი სწავლანი“
26. სახეჩიძე ნ., ხაჭვანი ნ., ჭელიძე ლ., არველაძე ა., ქართული ენა და ლიტერატურა, II კლასი, სრული კომპლექტი. შპს "აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი";
27. სახეჩიძე ნ., ხაჭვანი ნ., ჭელიძე ლ., არველაძე ა., ქართული ენა და ლიტერატურა, III კლასი, სრული კომპლექტი. შპს "აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი";
28. სახეჩიძე ნ., ხაჭვანი ნ., ჭელიძე ლ., არველაძე ა., ქართული ენა და ლიტერატურა, IV კლასი, სრული კომპლექტი. შპს "აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი";
29. ფურცელაძე ნ., ქართული ენის სწავლების პრობლემები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში;
30. შარაშენიძე ნ., თუშური ლ., წიქარაშვილი ჯ., ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასი, სრული კომპლექტი. შპს „გამომცემლობა დიოგენე“;
31. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი და საბაზო საფეხურის) 2018-2024 წწ;
32. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის I-VI კლასები, 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით;
33. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის VI-XII კლასები, 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით;
34. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
35. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
36. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი;
37. <http://mastsavlebeli.ge/?p=20506&fbclid=IwAR1Baacwe8m4rXzWwAkr0i0dv31G0rhDQOwfB53lTf9rFyzxf2LpFhyMdsE>
38. <http://mastsavlebeli.ge/?p=12439&fbclid=IwAR12rhabESod4JdnJk3mn UIxiffAMk1VgDM1yDMaLML4BQDRLB3kTbQUNeU>
39. <http://mastsavlebeli.ge/?p=12878>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Psychology and Education Sciences

Master Program "Teacher Education"

Salome Kilasonia

Study on the use of teaching strategies in Georgian language on the  
study of verbs

The thesis is submitted to gain the Master's degree in Teacher Education

supervisor: Zakaria Kitiashvili  
Doctor of Education Sciences,  
TSU Associate Professor

Tbilisi  
2019